დაარქმევენ თუ არა წალკის სოფელს "სააკაშვილს"? A3

ფოტორეპორტაჟი აღლუმიდან A8

ამერიკული მარკეტინგი, რუსული დიპლომატია და ყვავილოვანი რევოლუცია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 27 მაისი, 2004 წელი. №124 (673)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### აჭარა არჩევნებისთვის ემზადება

აჭარაში არჩევნებისადმი ინტერესი დიდია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ - საერთაშორისო ორგანიზაციებშიც. ევროსაბჭო კვლავაც სერიოზულ დახმარებას ჰპირდება საქართველოს, თუმცა მთავარი მაინც ისაა, თუ როგორ მოემზადებიან არჩევნებისთვის ცენტრალური ხელისუფლება და აჭარის დროებითი ადმინისტრაცია.

A3

## ეკონომიკა

### საქართველოში ენერგოვალების მომსახურების სააგენტო შეიქმნება

ენერგოსექტორში ცვლილებები იგეგმება. უკვე მეორედ, ენერგეტიკული ობიექტებისათვის აკიდებული ვალების გორგლის გასახსნელად ხელისუფლებას საგანგებო უწყების შექმნა უწევს.

A4

## ეკონომიკა

### საქველმოქმედო აქცია ფოთში

სააქციო საზოგადოება "ფოთის გემთსაშენის" ხელმძღვანელობამ გუშინ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, საქველმოქმედო აქცია გამართა.

A4

## უცხოეთი

### ვლადიმირ პუტინი: რუსეთი არჩეული კურსიდან არ გადაუხვევს

თუკი გუშინწინ ამერიკელ ხალხს აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიმართა, თავის ოკეანსგაღმელ კოლეგას არც ვლადიმირ პუტინი ჩამორჩა და რუსეთის მოქალაქეების წინაშე ვრცელი მოხსენებით წარდგა.

A5

## საზოგადოება

### რა პირობებში იკვებებიან ჩვენი შვილები

თბილისის საკრებულოს ინიციატივითა და მონაწილეობით, განათლების საქალაქო სამსახურის მიერ შექმნილმა კომისიამ დედაქალაქის სკოლებში ბავშვთა კვებასთან დაკავშირებული საკითხები შეისწავლა. შესწავლილი მასალა რეაგირებისთვის განათლების საქალაქო სამსახურს გადაეცა.

A6

## სამართალი

### დედოფლისწყაროში საშინელი დანაშაული მოხდა

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში მომხდარმა საზარელმა ტრაგედიამ სოფლის აღშფოთებული მოსახლეობა სამართალდამცველებთან მიიყვანა. "იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცველები საქმეს სასწრაფოდ და ობიექტურად არ გამოიძიებენ, დამნაშავეს თავად დავსჯით," - ასეთია აღშფოთებული მოსახლეობის ულტიმატუმი.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 23 |
| ქუთაისი | 21 |
| ბათუმი | 17 |
| სოხუმი | 15 |
| ფოთი | 18 |
| თელავი | 23 |
| ზუგდიდი | 21 |
| გორი | 21 |
| ახმეტა | 23 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3113 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4516 |
| რუბლი | 0.0663 |

# გამარჯვებული ხალხის აღლუმი



გოჩიტა ბუხაიძის ფოტო

*სამხედრო აღლუმი, რომელიც რესპუბლიკის მოედნის ნაცვლად, ორთაჭალაში, სამასი არაგველის ძეგლთან გაიმართა, საკმაოდ შთამბეჭდავი გახლდათ. ბოლო აღლუმი 1997 წელს ჩატარდა. მაშინ თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე იყო, პრეზიდენტი კი - ედუარდ შევარდნაძე.*

**"უახლესი პერიოდის ისტორიაში სამხედრო აღლუმი ასე წარმომადგენლობითი არასოდეს ყოფილა,"** - ასეთი პარალელი გაავლო ბოლო და ადრინდელ აღლუმებს შორის რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა.

რიგითი მაყურებლისათვის კი ეს აღლუმი ძველისგან სხვა ნიშნებითაც განსხვავდებოდა.

აღლუმი, მართლაც, კარგად დადგმული და შთამბეჭდავი იყო. ვაზიანის ბაზაზე ჩვენი შეიარაღებული ძალები აღლუმისათვის რამდენიმე კვირა საფუძვლიანად ემზადებოდნენ. აღლუმის მთავარი მოქმედი პირები კი, ტრადიციულად, კადეტები, კურსანტები, საზღვაო და საჰაერო ძალების ოფიცრები, კომანდოს, თელავის, შავნაბადასა და კახეთის ბატალიონები (რომლებიც "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში იყვნენ ჩაბმულნი), შინაგანი ჯარი და მესაზღვრეები იყვნენ, ახალ ფორმებში გამოწყობილნი. აღლუმში მონაწილეობა 8 ათასამდე სამხედრო მოსამსახურემ მიიღო. სამხედრო ტექნიკიდან 10 ჯავშანტრანსპორტიორი, 50 ტანკი, 19 "ჰაუბიცა", 50-მდე საზენიტო-საარტილერიო დანადგარი, ნაღმტყორცნები, რაკეტის გამშვებები და ა.შ. გამოიყვანეს. აღლუმის მონაწილეებს და მაყურებლებს თავს 6 თვითმფრინავი "სუ 25" და 10 ვერტმფრენი (აქედან 5 "იროკეზი") დასტრიალებდა. თავდაცვის სამინისტროს მიერ აღლუმის ორგანიზებისათვის გამოყოფილი 650 ათასი ლარიდან 450 ათასი სწორედ სამხედრო ტექნიკის შეკეთებას მოხმარდა. თავისი წილი გაიღო თბილისის მერიამაც, მაგრამ აღლუმთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილი მას კვლავაც დასაფარი ექნება - ამჯერად, აღლუმის დროს დაზიანებული საგზაო საფარის რემონტისათვის.

**"ამგვარი აღლუმები არა მხოლოდ არმიაში, არამედ მთლიანად ქართულ საზოგადოებაში მორალური სულის ასამაღლებლად არის საჭირო. იმისათვის, რომ ჩვენს საზოგადოებასა და პარტნიორებს ვაჩვენოთ - ჩვენთვის გამოყოფილი თანხები არმიის მშენებლობას მოხმარდა და ქარისთვის არ გაგვიტანებია,"** - ასეთი აზრი ჰქონდა თავდაცვის მინისტრ გელა ბეჟუაშვილს.

**"საქართველოს, მართალია, არცთუ მრავალრიცხოვანი, მაგრამ საკმაოდ კარგი არმია ჰყავს. მოხარული ვართ, რომ მის ჩამოყალიბებაში ჩვენი წვლილი შევიტანეთ,"** - ამგვარი შეფასება ჩვენმა სამხედრო ძალებმა უკვე საქართველოში აშშ-ს ელჩისგან, რიჩარდ მაილსისგან დაიმსახურეს.

**"ყველა სახელმწიფომ, მით უფრო - ახალგაზრდამ, უნდა აჩვენოს, რომ თავისი არმია ჰყავს. არმიის გარეშე სახელმწიფო არაფერია. საქართველოს არ ეყოლება ისეთი არმია, რომელიც მსოფლიოს შეაშინებს, მაგრამ გვეყოლება არმია, რომელიც ჩვენს საზღვრებს და ქვეყანას კარგად დაიცავს,"**- განაცხადა ელდარ შენგელაიამ.

სცენაზე მდგარი პრეზიდენტი, კათოლიკოს-პატრიარქი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს აღლუმს - სახელმწიფო საკუთარ ძალას წარმოადგენდა, თუმცა სიტყვა მტერი გუშინ არავის უხსენებია.

### ბათუმი

**"აჭარა დღეს სულ სხვაა და მე ბედნიერი ვარ ამ დღით,"** - ეს სიტყვები მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში, სამხედრო-საზღვაო ძალების აღლუმის დასრულების შემდეგ წარმოთქვა.

უმაღლესი მთავარსარდლის წინაშე საზღვაო ძალების და შინაგანი ჯარის 600-მდე წარმომადგენელმა ჩაიარა. აღლუმში მონაწილეობდა საქართველოს საზღვაო ფლოტის ოცდახუთი მცურავი საშუალება. ბათუმში პრეზიდენტ სააკაშვილს კათოლიკოს-პატრიარქი, პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრი და მეუღლე სანდრა რულოვსი ახლდნენ.

წვიმიანი ამინდის მიუხედავად, აღლუმს ბევრი მაყურებელი ჰყავდა. აღლუმის შემდეგ პრეზიდენტი, ტრადიციულად, ხალხში გავიდა.

ბათუმში ხალხი დამოუკიდებლობის დღეს თითქოს უფრო დიდი ზეიმით აღნიშნავდა, ვიდრე დედაქალაქში. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ბათუმობის დღესასწაულიც დაემატა. საღამოს, უკვე გამოდარებულ ქალაქში ხალხი სეირნობდა, ბათუმის ზღვისპირა პარკში და უნივერსიტეტთან კონცერტები გაიმართა, ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე კი დიდი ფეიერვერკი მოეწყო.

*24 საათი*

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ფოტორეპორტაჟი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 რაკურსი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ალლუმზე

ჩემო თანამოქალაქენო!

ჩემო თანამებრძოლებო!

ჩვენი ერის ჯარისკაცებო!

ოთხი თვის წინათ, პირველად წარვდექი ჩემი ერის წინაშე და დავდე ფიცი, რომ დავიბრუნებდით საქართველოს.

დავიბრუნებდით საქართველოს და იმედგაცრუებისა და გათიშულობის წლებს, იმედისა და ერთიანობის ახალი შეგრძნებით ჩავანაცვლებდით.

მე გთხოვეთ, ერთად დავმდგარიყავით, აღგვედგინა კანონიერება და ღირსება, შეგვექმნა სახელმწიფო ინსტიტუტები.

ჩემი ინაუგურაციის დღეს მე აღგითქვით, რომ აღვასრულებდით ჩვენი წინაპრების ოცნებას, იმ გმირების ოცნებას, რომლებმაც თავი გაწირეს თავისუფალი საქართველოსთვის - სიმბოლურია, რომ დღეს სწორედ 300 არაგველის მემორიალთან ვიმყოფებით.

აღგითქვით, რომ შევუდგებოდით ჩვენი დიდი ერის გაერთიანებისა და გამთლიანების პროცესს.

მაშინ მე გთხოვეთ, რომ გერწმუნათ ჩემი და ჩვენი საერთო უკეთესი მომავლისა.

დღეს ყველას შეგვიძლია დავინახოთ, რომ ჩვენმა რწმენამ პირველი შედეგები უკვე გამოიღო.

ოთხი თვის წინათ, ჩვენშიც და უცხოეთშიც, ურწმუნოები სჭარბობდნენ მათ, ვისაც სჯეროდა.

პესიმისტები წინასწარმეტყველებდნენ, რომ პირველივე მცდელობაზე ჩვენ კისერს წავიმტვრევდით, ლაპარაკობდნენ სწრაფი მარცხის გარდუვალობაზე - მათ არ ეგონათ, რომ საქართველოში რაიმეს გამოსწორება შეიძლებოდა.

და მაინც - დღეს მე თქვენ წინაშე ვდგავარ, საქართველო სწორ გზაზე დგას და ამის უარყოფა შეუძლებელია.

დღეს ჩვენს ხალხში ახალი ძალები იკრიბება.

ჩვენი რწმენა არათუ იკლებს, არამედ ძლიერდება.

ჩვენი რწმენა დღეს უკვე კონკრეტულ შედეგებს ეფუძნება.

საქართველოს ხელახლა გაუჩნდა შანსი, გახდეს დიდი სახელმწიფო ისე, როგორც ოდესღაც.

საქართველო შეიძლება გახდეს სახელმწიფო, რომელშიც ჩვენი შვილები იამაყებენ თავიანთი წარმომავლობით, მოქალაქეობით, საკუთარი პასპორტებით.

საქართველო შეიძლება გახდეს სახელმწიფო, რომელიც მეზობელი ქვეყნების პატივისცემისა და აღტაცების ობიექტად იქცევა.

ჩვენი ასეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველი ნიშნები უკვე სახეზეა.

ჩვენ დავიწყეთ კორუფციასთან ნამდვილი ომი და ამ ომში პირველი ბრძოლები უკვე მოვიგეთ. დღესდღეობით, საქართველოს მთავრობის არც ერთ დონეზე აღარ არსებობენ ხელშეუხებელი ადამიანები.

ჩვენ გავანეიტრალეთ და განვაიარაღეთ რამდენიმე შეიარაღებული ბანდა.

სერიოზულად წავიწიეთ წინ შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების საქმეში და მსურს აღვნიშნო, რომ დღეს, როგორც არასდროს, იზრდება ჩვენი შეიარაღებული ძალებისადმი ნდობა.

დღეს ჩვენს შორის იმყოფება თბილისელი მოქალაქე როლანდ ნებიერიძე, რომელიც ხუთი ვაჟის მამაა. ხუთივე ჯარში გასაწვევი ასაკისაა, თუმცა ამ ოჯახიდან აქამდე არც ერთი არ წასულა ჯარში, რადგან სახელმწიფოს ნდობა არ ჰქონდათ. ახლა კი ბატონმა როლანდმა მიიღო გადაწყვეტილება, ხუთივე ვაჟი ერთდროულად გააგზავნოს ქართულ ჯარში.

ჩვენ მივაღწიეთ სერიოზულ წარმატებებს საერთაშორისო ასპარეზზე.

საქართველოს შელახული, ფეხქვეშ გათელილი რეპუტაცია ბოლომდე აღდგენილია.

საქართველო, როგორც არასდროს მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში, პოპულარულია მთელ მსოფლიოში.

ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა დავამყარეთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ვრჩებით მის სამხედრო მოკავშირედ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მივიღეთ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ერაყში ჩვენი კონტინგენტი გასამმაგდეს, რათა ხელი შევუწყოთ და ერთად ამოვუდგეთ მხარში ჩვენს მოკავშირეებს.

ჩვენ მკვეთრად გაგვიუმჯობესდა ურთიერთობა რუსეთთან, ხოლო თურქეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადავედით.

პირველად დაიწყო სერიოზული ლაპარაკი საქართველოზე, როგორც ევროპის კავშირის წევრობის სერიოზულ კანდიდატზე.

რას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ, რომ ჩვენ უნდა დავიბრუნოთ საქართველო?

ვგულისხმობთ, რომ ყველა ცვლილებამ უნდა მიიღოს შეუქცევადი ხასიათი.

ვგულისხმობთ, რომ თითოეულმა ქართულმა ოჯახმა უნდა იგრძნოს ამ ცვლილებების სიკეთე.

ვინ უნდა დაიბრუნოს საქართველო?

ამ კითხვაზე პასუხი თითოეულ ჩვენგანშია.



პრეზიდენტის გამოსვლა ალლუმზე.

საქართველოს დაბრუნება მისი თითოეული შვილის, თითოეული მოქალაქის საერთო საქმე და საერთო პასუხისმგებლობაა.

საქართველოს დაბრუნება თითოეული ჩვენგანის ცხოვრების მთავარი არსი და დანიშნულებაა.

საქართველოს დაბრუნება არის მისი გამთლიანება.

ჩვენ ამისკენ პირველი დიდი ნაბიჯი უკვე გადავდგით აჭარაში.

დღეს აჭარა და ბათუმი თავისუფალია და ეს არის თითოეული იმ აჭარელის, თითოეული იმ ქართველის დამსახურება, ვისაც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი გათავისუფლებისა და გაერთიანების სწამდა.

როდესაც საქართველოს გაერთიანებაზე ვლაპარაკობთ, უნდა დავუბრუნდეთ ქართველი ერის მთავარ საფუძველს: ორმა მმართველმა ირწმუნა, რომ ძალა ერთობაშია, ორი დიდი მეფე ფარნავაზი და ქუჯი დადგა ერთად, საქართველო გახდა მთლიანი.

საქართველო შეიქმნა, როდესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წინამძღოლებმა საქართველო დააყენეს საკუთარ თავზე მაღლა.

მათ გვერდზე გადადეს ეგოიზმი, საკუთარი ინტერესი, ძალაუფლებისადმი ლტოლვა, რათა შეექმნათ მძლავრი, მარადიული, მშვიდობიანი გზით მიღწეული ერთობა.

ძალა ერთობაშია!

ქვეყნების უმრავლესობისაგან განსხვავებით, საქართველო არ შექმნილა დაპყრობისა და ძალის გამოყენების გზით.

სინამდვილეში, ჩვენი ერი, ჩვენი ერთიანობა, ჩვენი კულტურა არის ჩვენი მიწის მკვიდრთა ადამიანური სოლიდარობის, ჰარმონიისა და ურთიერთგატანის, მრავალფეროვნების შერწყმის უნიკალური ნიჭის შედეგი.

დღეს, ჩვენი დამოუკიდებლობის დღეს, მე მსურს კიდევ ერთხელ მოვიხმო ჩვენი წინაპრების სიბრძნე.

სწორედ მათი ტოლერანტობის, ძმური სიყვარულის, ურთიერთთავგანწირვისა და ადამიანური ღირსების პატივისცემის პრინციპებით, ჩვენ ხელახლა უნდა გავაერთიანოთ საქართველო.

მსურს დავადასტურო, რომ არც საქართველო და არც მისი პრეზიდენტი არასდროს არ შეურიგდებიან დაშლილობას.

სწორედ ამიტომ, ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს ვთავაზობთ დაუყოვნებლივ მოლაპარაკებებს ერთიანი სახელმწიფო კავშირების აღდგენის თაობაზე.

ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველანაირი მოდელი მათი ინტერესების გასათვალისწინებლად, მათი მომავალი განვითარების უზრუნველსაყოფად.

მსურს მივმართო ჩვენს ოს ძმებს, გამოვხატო მათ მიმართ ულრმესი პატივისცემა და აღვუთქვა, რომ ქართული სახელმწიფო ყოველთვის გაითვალისწინებს თითოეული მათგანის - საქართველოში მცხოვრები თითოეული ოსის ინტერესს.

მე, საქართველოს პრეზიდენტს მსურს პირველად მივმართო მათ მშობლიურ ოსურ ენაზე, იმ ენაზე, რომლის სახელმწიფოებრივ სტატუსსა და დაცვის გარანტიას ქართული სახელმწიფო შეუქმნის საქართველოში მცხოვრებ თითოეულ ოსს (საქართველოს პრეზიდენტმა სიტყვა ოსურად წარმოთქვა).

მე მინდა, ასევე, მივმართო აფხაზებს და კიდევ ერთხელ ვთავაზობ მოლაპარაკების დაწყებას ფედერალური ურთიერთობების შესახებ და მათი ავტონომიის ფართო, მათ შორის საერთაშორისო გარანტიებზე.

ჩვენ აფხაზ ხალხს მეგობრობის ხელს ვუწვდით და მზად ვარ იგივე აფხაზურად გავიმეორო (საქართველოს პრეზიდენტმა სიტყვა აფხაზურად წარმოთქვა).

და მინდა მივმართო მთელ ქართველ ერს, ვთხოვო, ვიყოთ მიმტევებელი, შეგვეძლოს დავინახოთ არა მხოლოდ სხვისი, არამედ საკუთარი შეცდომებიც.

შევძლოთ, ხელი გავუწოდოთ ყველას, ვისაც მეგობრობა სურს, ვიყოთ მომთმენნი, მაგრამ გვქონდეს უნარი, არასოდეს დავიხიოთ უკან მტრის წინაშე, გაქცეულებმა აღარასდროს ვაჩვენოთ ზურგი მტერს.

როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს დაბრუნებაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ყოველმა მეხუთე მოქალაქემ მიატოვა სამშობლო. ეს ხალხი გაჭირვებამ, ომმა, ნგრევამ, უპერსპექტივობამ გააქცია. მათ უკვე გაუჩნდათ შვილები, რომელთაც არასოდეს უნახავთ საქართველო.

დღეს მათი დაბრუნება, საკუთარ სამშობლოსთან კავშირის აღდგენა, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ისტორიული ამოცანაა.

საქართველოს კონსტიტუცია უფლებას აძლევს საქართველოს პრეზიდენტს, მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.

დღეს მე მივმართავ მთელ მსოფლიოში გაბნეულ ჩვენს თანამემამულეებს, ჩვენს სისხლსა და ხორცს: საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, მე მივიღე გადაწყვეტილება, მივანიჭო საქართველოს მოქალაქეობა უცხოეთში მცხოვრებ ყველა ქართველს, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა, ვისაც ამის სურვილი აქვს და ვინც მოგვმართავს ამ განცხადებით. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვუპასუხოთ მომავლის გამოწვევას.

ჩვენ დიდი ტანჯვა-წვალება გამოვიარეთ. ამ ტანჯვის მთავარი მიზეზი ჩვენი გათიშულობა იყო. მე გთხოვთ, გავერთიანდეთ, ვინაიდან ზუსტად ვიცი, რამდენი რამის გაკეთება შეგვიძლია, როცა ერთად ვართ.

ჩვენ გვეყოფა გამძლეობა, კულტურა და ინტელექტი, რათა უკეთესობისაკენ შევცვალოთ ჩვენი ყოველდღიური საქციელი და ქმედება, რათა ყოველდღიური შრომით, არა მხოლოდ საკუთარი ცხოვრება, არამედ საქართველო ვაქციოთ ჭეშმარიტად ევროპულ სახელმწიფოდ.

ჩვენი სანუკვარი მიზნების მისაღწევად საჭირო ძალა თითოეულ ჩვენგანშია, ჩვენს იმ თვითმყოფადობაშია, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში გადაგვარჩინა და დღემდე მოგვიყვანა.

მე, ჩემს მთავრობასთან ერთად, ვკისრულობ პასუხისმგებლობას, მოვიხადოთ ჩვენი ვალი პატიოსნად, ღირსებით და თითოეული მოქალაქისადმი პატივისცემით.

ამავე დროს, გთხოვთ, მოგვაშველოთ თქვენი ძალა, დაგვიჭიროთ მხარი და თვითონ მიიღოთ მონაწილეობა წარმატების მისაღწევად გასაწევ ტიტანურ შრომაში.

დაე, ღმერთმა მოგვცეს გამძლეობა, სიბრძნე!

დაე, წმინდა გიორგი გაგვიძლვეს ჩვენ ახალი გამარჯვებებისაკენ!

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*

# საქართველოს იმედი - არმია

## პრეზიდენტმა ჯარისკაცებს უმასპინძლა



ქართველი ოფიცრები სახელმწიფო კანცელარიაში.

საქართველოს პრეზიდენტი ყველა იმედს ქართულ ჯარს და ჯარისკაცებს უკავშირებს. გუშინდელ საზეიმო დღეს მიხეილ სააკაშვილმა ქართველი ოფიცრები თავისთან, კანცელარიაში მიიწვია და, საქებარ სიტყვებთან ერთად, გემრიელი პურ-მარილითაც გაუმასპინძლდა. **"სამი დღეა ყველას ვაფრთხილებ, რომ, ტრადიციულად, მხოლოდ პატარ-პატარა ბუტერბროდები კი არა, ნორმალური საჭმელი მოგიტანონ"**, - საგანგებოდ აღნიშნა პრეზიდენტმა.

**"თქვენ ჩემთვის ქართული საზოგადოების ელიტა ხართ"**, - ასე მიმართა ოფიცრებს სააკაშვილმა, რომლის აზრითაც, ჯარისკაცები მთელი ქვეყნის მასშტაბით გამორჩეულად პატივსაცემი და დაფასებული ადამიანები უნდა იყვნენ.

**"დღეს ჩვენს ისტორიაში ყველაზე შთამბეჭდავი ალლუმი ჩატარდა და ეს ყველაფერი თქვენი დამსახურებაა"**, - სააკაშვილი აჭარაში მოვლენების წარმატებულ განვითარებასაც ჯარისკაცების დამსახურებას მიაწერს. მისი აზრით, საქართველოში სამხედრო სამსახური იმდენად პრესტიჟულად უნდა ითვლებოდეს, რომ **"ყველა ბავშვი ოფიცრობაზე ოცნებობდეს"**.

კომპლიმენტები საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ არც ახალი მთავრობის მისამართით დაიშურა: **"საქართველოში დროზე მოვიდა მთავრობა, რომელიც მიხვდა, რას ნიშნავს ჯარი."**

მიღებაზე საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც ბოლოს ხელში, ნაჩუქარი შურდული ეჭირა, სათითაოდ ესაუბრებოდა ოფიცრებს. ოფიცრებმა კი ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადეს, რომ მათთვის ასეთი მასშტაბური ხასიათის შეხვედრა წინათ არასოდეს მოუწყვიათ.

*24 საათი*

# საქართველოს პრეზიდენტის სიტყვა სახელმწიფო კანცელარიაში დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო მიღებაზე

ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების ოფიცერთა წარმომადგენლებს მსურს, კიდევ ერთხელ მივულოცო საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

დღეს ჩვენს ისტორიაში ყველაზე შთამბეჭდავი სამხედრო ალლუმი გაიმართა და ეს თითოეული თქვენგანის დამსახურებაა.

იმ ტექნიკის უმეტესი ნაწილი, რომელიც დღეს გამოჩნდა, გადაყრილი და განადგურებული იყო.

ასევე იყო ხელმოწერილი კონტრაქტები იმის შესახებ, რომ საქართველოს არ ჰქონოდა საკუთარი საჰაერო ძალები და კეთდებოდა განცხადებები იმის თაობაზეც, რომ ჩვენი ფლოტი ჩაბარებულიყო ჯართად.

თუმცა, კიდევ კარგი, საქართველოში დროულად მოვიდა ხელისუფლება, რომელმაც იცის, რას ნიშნავს ჯარი და რას ნიშნავს საქართველოში არმიის არსებობა.

სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ აჭარის პრობლემა არ გადაწყდებოდა, რომ არა თქვენი ძალისხმევა.

მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა მოღალატეებმა დაინახეს, რომ საქართველოს ჰყავს ძალა, რომელსაც ნებისმიერ რეგიონში წესრიგის დამყარების უნარი აქვს, უკან დაიხიეს.

განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო აჭარაში განლაგებული შეიარაღებული ძალების - 25-ე ბრიგადის მთელი შემადგენლობა, მათი მოღალატე გენერლის გარდა, და შინაგანი ჯარების მთელი შემადგენლობა, მათი მოღალატე მეთაურის გარდა. ისინი თავისი ფიცისა და სამშობლოს ერთგულნი დარჩნენ.

ეს განსაკუთრებული გმირობის ტოლფასი იყო იმ ვითარებაში და ამ ადამიანების წინაშე მთელი საქართველო ვალშია.

იცოდეთ, რომ ჩემთვის თქვენ ხართ ქართული საზოგადოების ელიტა, მაგრამ ჯერჯერობით ბოლომდე დაფასებული არა.

თუმცა ჩემი პრეზიდენტობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რომ ქართული ოფიცრობა იყოს ქართული საზოგადოების ყველაზე გამორჩეული, დაფასებული და წარმატებული ფენა.

ჩვენი ბავშვები უნდა ოცნებობდნენ, რომ გამოვიდნენ ოფიცრები.

თქვენი ოჯახის წევრები უნდა ამაყობდნენ, რომ სახლში ჰყავთ ოფიცრები.

თქვენ არ უნდა გქონდეთ ოჯახის რჩენის პრობლემა.

თქვენ უზრუნველყოფილი უნდა იყოთ პენსიით და არც ეს პრობლემა უნდა იდგეს თქვენ წინაშე.

საბრძოლო დავალებებზე მიმავალებს, მშიერი და გაუბედურებული ოჯახების დატოვების პრობლემაც არ უნდა გქონდეთ.

მთელი ჩვენი საზოგადოების საზრუნავია, რომ ოფიცრებს ეს პრობლემები მოვუხსნათ და დავაფასოთ თქვენი გმირული შრომა.

რა თქმა უნდა, ამას დასჭირდება დრო, გარკვეული თვეები, ბევრად უფრო ძლიერი ქართული ეკონომიკა და ჩვენ ამ ეკონომიკას ვქმნით; დაბოლოს, ამას დასჭირდება მთელი საზოგადოებრიობის გაერთიანებული ძალისხმევა.

ტრადიციულად, 26 მაისს, აქ, ამ შენობაში იმართებოდა მიღება, თუმცა მას სულ სხვა სახე ჰქონდა.

საქართველოს პრეზიდენტს, ჩემს წინამორბედს, მოჰყავდა სხვადასხვა ქვეყნის ელჩები, უცხოელები, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, მაგრამ არასოდეს პატიჟებდა სამხედროებს.

მე მიმაჩნია, რომ დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია სამხედროების მოყვანა და მთელი საქართველოს დასანახად, საზეიმო მიღება სწორედ ოფიცრებთან ერთად უნდა გაიმართოს.

დღეს საზოგადოების სწორება თქვენზე და თქვენს გმირობაზე უნდა იყოს.

თქვენ იმედი ხართ საქართველოს გაერთიანებისა, გაძლიერებისა, ეროვნული ღირსების აღდგენისა და, რა თქმა უნდა, ხართ პირადად ჩემი იმედი.

მე კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დღესასწაულს.

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# დაარქმევენ თუ არა წალკის სოფელს "სააკაშვილს"?

მაია მოსიაშვილი

საქართველოს დამოუკიდებლობისა და წალკელების ურთიერთშერიგების დღე - ასე აღნიშნეს 26 მაისი წალკის რაიონში. წალკის სტადიონზე, სწორედ იქ, სადაც ორიოდე კვირის წინ სომხებსა და ქართველებს შორის ჩხუბი უმართავ ქაოსად გადაიქცა, გუშინ 500-მდე სომეხი, ბერძენი და ქართველი ერთად შეიკრიბა. მათთან ერთად იყვნენ ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული სოსო მაზმიშვილი და მისი მოადგილეები. "ჩვენთან ყველაფერი კარგად არის," - ამბობდნენ წალკელები.

ყველაზე გახარებულები მაინც ადგილობრივი თინეიჯერები იყვნენ. მათმა უმრავლესობამ პირველად ნახა ქეთა თოფურია, გიგა კვენეტაძე, ქეთი გომართელი, აჩი ფუცელაძე, რომლებმაც არ დაიზარეს და 26 მაისის მისალოცად წალკელებს ეწვივნენ.

"40 წელია აქ ვცხოვრობ და აქამდე აქ ერთი კონცერტიც კი არ ჩატარებულა, ძალიან კარგი დღეა," - აღფრთოვანებას ვერ ფარავდა ერთი ქალბატონი.

სტადიონზე შეკრებილ ხალხში ჩუმად მოძრაობდნენ შინაგანი ჯარის ბიჭები. ისინი იქ ორი კვირის წინ შეიყვანეს, თუმცა ეტყობოდათ, რომ უკვე შინაურებად გრძნობდნენ თავს.

"24 საათის" კითხვაზე - კიდევ იჩხუბებთ თუ არა? - ყველა სხვადსხვაგვარად პასუხობდა. აჭარლები ამბობდნენ - აღარ ვიჩხუბებთ, ახლა ჯარი აქ არის და მშვიდად ვართო; ბერძნები და სომხები ირწმუნებოდნენ - აქ არც არაფერი მომხდარა, რაში გვჭირდებოდა ეს ჯარიო; აი, სვანები კი ყველაზე ორიგინალურები აღმოჩნდნენ - თუ უნდათ, იჩხუბონ, ჩვენ, სვანები მაინც ყველაზე მაგრები ვართო...

გუშინდელი დღის ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე კი ერთ-ერთი წალკური სოფლის გადაწყვეტილება გახლდათ - ისინი მათი სოფლისთვის სახელის გადარქმევას და საქართველოს პრეზიდენტის პატივსაცემად "სააკაშვილის" დარქმევას ითხოვენ. როგორც "24 საათს" ქვემო ქართლის გუბერნატორმა განუცხადა, მას სოფელ ჩაპაევკის მაცხოვრებლებმა წერილობითი თხოვნით მიმართეს.



დიდი შერიგება წალკაში.

"ჩაპაევკა ადრე ბერძნებით დასახლებული სოფელი იყო, თუმცა ის მთლიანად დაიცალა და ახლა იქ აჭარიდან ჩამოსახლებული 27 ოჯახი, სულ 132 კაცი ცხოვრობს. ისინი ერთხმად ითხოვენ პრეზიდენტის საპატივსაცემოდ სოფელს სააკაშვილი დაერქვას. მე არ ვიცი, როგორ შეხვდება ამას ბატონი პრეზიდენტი, თუმცა სასიამოვნოა, როცა პრეზიდენტი ასე უყვართ," - განაცხადა გუბერნატორმა.

საინტერესოა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს მიხეილ სააკაშვილი, როცა მას ჩაპაევკელების სურვილისა და თხოვნის შესახებ მოახსენებენ. ალბათ, ამ იდეის მხარდაჭერა მას თავმდაბლობად არ ჩაეთვლება, მაგრამ ჩაპაევკელებიც ხომ ცოდონი არიან - უყვართ პრეზიდენტი და უნდათ პატივი სცენ. თანაც აბა, ნახეთ, რა ეფექტურია - გეკითხებიან, სად ცხოვრობო და პასუხობ - იცით, მე სააკაშვილში ვცხოვრობ...

# აჭარა არჩევნებისთვის ემზადება

*აჭარაში არჩევნებისადმი ინტერესი დიდია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ - საერთაშორისო ორგანიზაციებშიც. ევროსაბჭო კვლავაც სერიოზულ დახმარებას ჰპირდება საქართველოს, თუმცა მთავარი მაინც ისაა, თუ როგორ მოემზადებიან არჩევნებისთვის ცენტრალური ხელისუფლება და აჭარის დროებითი ადმინისტრაცია.*

თამარ ასათიანი

საქართველოში ევროსაბჭოს მისიის ხელმძღვანელმა პლამენ ნიკოლოვმა, ცესკო-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელთან დიმიტრი ქიტოშვილთან ნახევარსაათიანი დახურული შეხვედრის შემდეგ, განაცხადა, რომ **"ევროსაბჭო ქვეყნის ხელისუფლებას საკმაოდ სერიოზულ მხარდაჭერას აღმოუჩენს. 20 ივნისს, არჩევნების დღეს, აჭარაში ევროსაბჭოს ექსპერტთა და დამკვირვებელთა მისიის წევრები გაემგზავრებიან. თუმცა, ჯერჯერობით არ არის ცნობილი, რამდენი წარმომადგენელი ეყოლება ევროსაბჭოს აჭარაში. განიხილება, აგრეთვე, აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიისთვის ექსპერტული დახმარებისა და ფინანსური მხარდაჭერის საკითხები".** როგორც პლამენ ნიკოლოვი აცხადებს, უშუალოდ ევროსაბჭო თანხების გამოყოფას არ აპირებს, მაგრამ იგი ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს არჩევნებისთვის ფინანსური დახმარების გამოყოფის თხოვნით აუცილებლად მიმართავს.

თავად აჭარაში კი არჩევნებისთვის მზადება სრული დატვირთვით მიმდინარეობს. აჭარის საარჩევნო კომისიაში წევრების დანიშვნის პროცესი დასრულდა. სულ კომისიაში ცხრა წევრია - ერთი აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებულმა დანიშნა, ორი - დროებითმა საპრეზიდენტო საბჭომ, ხოლო ორ-ორი წევრი კომისიაში "ნაციონალური მოძრაობა"-"დემოკრატებმა", "ახალმა მემარჯვენეებმა" და "ლეიბორისტებმა" წარგზავნეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროებითმა საკოორდინაციო საბჭომ აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ ირაკლი ფალავა დაამტკიცა. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროში მუშაობდა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, დიმიტრი ქიტოშვილის განცხადებით, აჭარაში საარჩევნო ადმინისტრაციების ფორმირება ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით მიმდინარეობს. უმაღლესი საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების შემდგომ ეს პროცესი ქვედა დონის საარჩევნო კომისიებში დაიწყება.

აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება - საქმე ის არის, რომ აჭარის უმაღლეს საბჭოში მოსახლეობამ 12 მაჟორიტარი დეპუტატი უნდა აირჩიოს. თავად რეგიონში დღემდე მხოლოდ ექვსი ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი იყო და მათი საზღვრები რაიონულ საზღვრებს ემთხვეოდა. ახლა კი, არჩევნებამდე დარჩენილ დროში, საარჩევნო ადმინისტრაციამ თავიდან უნდა დაადგინოს ექვსი ახალი საარჩევნო ოლქის საზღვრები. როგორც ჩანს, აჭარის თითოეული რაიონი ორ საარჩევნო ოლქად დაიყოფა.

როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, ახალი საარჩევნო ოლქების შექმნა კანონის დარღვევა არ არის, რადგან საარჩევნო კანონმდებლობაში არსად არ არის მითითებული, რომ საარჩევნო ოლქების საზღვრები რაიონულ საზღვრებს უნდა ემთხვეოდეს. **"საქართველოს კანონმდებლობა და თავად კონსტიტუცია არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ რამდენი მაჟორიტარი უნდა ჰყავდეს ამა თუ იმ ავტონომიურ წარმონაქმნს. ასე რომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თორმეტ ერთმანდატიან ოლქად დაყოფა კანონს არ ეწინააღმდეგება,"** - განაცხადა "24 საათთან საუბრისას ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრმა ზაზა გოროზიამ. მისი თქმით, საარჩევნო ოლქების საზღვრები მოსახლეობის მიერ წინასწარი რეგისტრაციის გავლის შემდეგ დადგინდება.

"ერთი რაიონის ორ ან მეტ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებად დაყოფა ნამდვილად არ ეწინააღმდეგება კანონს," - აცხადებენ, დამოუკიდებელი ექსპერტებიც. როგორც იურისტმა დავით უსუფაშვილმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, ასეთი პრეცედენტი საქართველოში უკვე იყო - 1990 წლის მარტის არჩევნებისთვის რაიონები რამდენიმე ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებად დაიყო (თუმცა მაშინ ეს არჩევნები არ გამართულა). ამავე დროს, დავით უსუფაშვილი აცხადებს, რომ სასურველია, აჭარის დროებითმა საპრეზიდენტო საბჭომ შესაბამისი კანონი მიიღოს და ეს გადაწყვეტილება იურიდიულად გაამაგროს. მისი თქმით, არჩევნებამდე დარჩენილ დროში საბჭო ასეთ ნაბიჯს აუცილებლად გადადგამს.

რაც შეეხება კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადას. როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, 31 მაისისათვის აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში კანდიდატთა რეგისტრაცია უკვე დასრულებული იქნება.

# დამოუკიდებლობის დღე აზერბაიჯანელებთან ერთად

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე "ახალმა მემარჯვენეებმა" საკმაოდ არაორდინარულად აღნიშნეს. პარტიის ლიდერები ჯერ თბილისის მოხუცებულთა სახლ "სავანეს" ესტუმრნენ, იქაურ ბინადართ დღესასწაული მიულოცეს და საჩუქრები მიართვეს, ხოლო შემდეგ მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილ-აჯლოში გაემგზავრნენ.

"ახლების" პარტიულმა ელიტამ ამ რაიონში ვიზიტის გადაწყვეტილება სავსებით შეგნებულად მიიღო: ჯერ ერთი, საპარლამენტო არჩევნების დროს ამ პოლიტიკურმა გაერთიანებამ რაიონის სოფლებიდან საკმაოდ შთამბეჭდავი რაოდენობის ხმები წამოიღო, მეორეც - როგორც პარტიის ლიდერები ჩვენთან საუბარში აღნიშნავდნენ, დამოუკიდებლობის დღესასწაულის მილოცვა საქართველოს არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს.

პოლიტიკოსთა სტუმრობა სოფელ ყიზილ-აჯალოში რამდენიმე სადღესასწაულო ღონისძიებით აღინიშნა: სპეციალურად თბილისელი სტუმრებისთვის კონცერტი გამართეს სოფლის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა, ჭიდაობის სექციის მოსწავლეებმა კი პოლიტიკოსთა წინაშე საჩვენებელი ორთაბრძოლების დემონსტრირება მოახდინეს. ხოლო დასასრულს, თბილისელი სტუმრები ადგილობრივ გუნდს ფეხბურთშიც გაეჯიბრნენ. ანგარიში, როგორც მოსალოდნელი იყო, "საყაიმო" აღმოჩნდა.

საზეიმო განწყობის მიუხედავად, "ახალი მემარჯვენეების" მოსახლეობასთან შეხვდრას პრობლემებზე საუბრის გარეშე არ ჩაუვლია. უმთავრესი, რაც ადგილობრივებს აწუხებთ, ეს სახელმწიფო ენის არცოდნაა. მეტიც - როგორც სოფლის მცხოვრებლებმა "24 საათთან" საუბრისას აღნიშნეს, მათი მხრიდან არაერთი თხოვნის მიუხედავად, რაიონში საიმისოდ არაფერი კეთდება, რომ აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქეებმა სახელმწიფო ენა შეისწავლონ.

ამ პრობლემაზე განსაკუთრებული ყურდღება გაამახვილა საქართველოს მუსულმანთა წინამძღვარმა, ახუნდმა ალი ალიევმა, რომლის თქმითაც, ადგილობრივი მოსახლეობის სურვილის მიუხედავად, სოფელში ქართული ენის არც ერთი სათანადო კვალიფიკაციის პედაგოგი არ არის. მისივე თქმით, ურიგო არ იქნება, მარნეულის ტელევიზიამ თუნდაც დღეში ერთი საათი ქართული ენის შესწავლის სატელევიზიო კურსებს დაუთმოს.

*24 საათი*

## მოკლედ

### დამოუკიდებლობის დღე დიდი ლიახვის ხეობაში

დიდი ლიახვის ხეობაში 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მასშტაბურად აღინიშნა. საზეიმო ღონისძიება დილით სოფელ თამარაშენში გაიმართა. სოფლის სტადიონზე მოწყობილ სცენაზე, ადგილობრივ შემსრულებლებთან ერთად, ხალხური ცეკვის ანსამბლი "მეტეხი" გამოდიოდა.

საზეიმო ღონისძიებას შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი სვიატოსლავ ნაბზოროვი, პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში მიხეილ ქარელი და მისი მოადგილეები დაესწრნენ. ღონისძიებაზე მოსული იყვნენ, აგრეთვე, ოსური საზოგადოების წარმომადგენლებიც. საღამოსათვის თამარაშენში ფეიერვერკი მოეწყო.

*პრაიმ-ნიუსი*

### მნიშვნელოვანი ვიზიტი

დღეს თბილისში ჩამოდის ალპინიზმის საერთაშორისო ასოციაციის ტურიზმის განვითარების მთავარი კომისია. მისი სამუშაო ვიზიტის მიზანი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და სვანეთის მონახულებაა. იმ დასკვნაზე, რომელსაც ეს კომისია დაწერს, მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული, როგორ აიღებს სტარტს საქართველოში ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახე - უფასო ტურიზმი (იგი ბორჯომ-ხარაგაულის მსგავს ტყე-პარკებში უფასოდ შესვლასა და გადაადგილებას გულისხმობს). ამ ორი უნიკალური კუთხის მონახულების იდეა ალპინიზმის საერთაშორისო ასოციაციას საქართველოს ალპინიზმის ასოციაციის პრეზიდენტმა ბენო ქაშაკაშვილმა მიაწოდა. ესპანელი, იტალიელი, შვეიცარიელი და გერმანელი სპეციალისტებისაგან შემდგარ რვაკაციან ჯგუფს, რომელიც საქართველოში, სავარაუდოდ, 4 ივნისამდე დარჩება, მასპინძლობას სწორედ ეს ასოციაცია გაუწევს. დაგეგმილია შეხვედრები კულტურისა და სპორტის მინისტრთან და ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან. პირველ პრესკონფერენციას ჩასატარებელი სამუშაოს შესახებ ალპინიზმის საერთაშორისო ასოციაციის წარმომადგენლები ხვალ, 12 საათზე გაზეთ "24 საათის" საკონფერენციო დარბაზში გამართავენ.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**სოხუმი**. სოხუმში არ სჯერათ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართვისა აფხაზი ხალხისადმი მშვიდობასა და მეგობრობაზე, რომელიც ტანკების გრუხუნის ფონზე კეთდება. ამის შესახებ განაცხადა სოხუმის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ. საქართველოს პრეზიდენტის მიერ ოთხშაბათს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი აღლუმის წინ, აფხაზი ხალხისადმი მშობლიურ ენაზე გაკეთებული მიმართვის კომენტირებისას, სადაც პრეზიდენტმა აფხაზ ხალხს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით დიალოგისაკენ მოუწოდა. შამბას თქმით, "ასეთი განცხადებები სამხედრო აღლუმის ფონზე, აღიქმება, როგორც ფსიქოლოგიური ზეწოლის მცდელობა, რათა სოხუმს შესთავაზონ აფხაზეთისათვის სრულიად მიუღებელი წინადადება პოლიტიკურ სტატუსზე." ამასთან, მან აღნიშნა, რომ აფხაზური მხარე არაერთხელ აფიქსირებდა თავის უარს პოლიტიკური სტატუსის განხილვაზე, რადგან ეს საკითხი უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილია აფხაზი ხალხის მიერ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** დამოუკიდებლობის დღეს საქართველო აღნიშნავს და არა სამხრეთ ოსეთი, ამიტომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართვა ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ ოს ხალხს არ ეხება, განუცხადა ოთხშაბათს პრაიმ-ნიუსს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურად ჯიოევმა.

მან აღნიშნა, რომ ქართულ მხარესთან სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს კონფლიქტის მოგვარების თემაზე აწარმოებს და არა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნაზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** მოსკოვი პრიორიტეტულ ამოცანად განიხილავს საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობების განმტკიცებასა და განვითარებას.

ამის შესახებ ნათქვამია რუსეთის პრეზიდენტის მიერ ქართველი კოლეგისათვის გაგზავნილ მისალოც წერილში საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. საქართველოსთან რუსეთის კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარება პატივისცემასა და ურთიერთგაგებას უნდა დაეფუძნოს, - ნათქვამია წერილში. ვლადიმირ პუტინი აღნიშნავს, რომ ორმხრივი თანამშრომლობის სწორედ ასეთი ხასიათი შეესაბამება ჩვენი ქვეყნებისა და ხალხის მეგობრობის საუკუნოვან ტრადიციებს, კავკასიაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების ინტერესებს. **პრაიმ-ნიუსი**


CSS

**აკადემიური სტიპენდიები სოციალურ მეცნიერებებში**

**კონკურსის პირობები**

საქართველოში სოციალურ მეცნიერებათა სამაგისტრო სასწავლო პროგრამების განვითარების მიზნით სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი აცხადებს კონკურსს სტიპენდიების მოსაპოვებლად შემდეგი გაფართოებული სასწავლო კურსების მოსამზადებლად.

პოლიტიკური და სოციალური თეორია
საერთაშორისო ურთიერთობების თეორია
პოლიტიკის ანალიზი
სოციალური ფსიქოლოგია
პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია აღმოსავლეთ ევროპაში
პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში
ევროპის კავშირის პოლიტიკა
საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომია
მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია
სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი
კულტურის სოციოლოგია
კულტურა და მოდერნიზაცია
პოლიტიკური იდეები მოქმედებაში
გარდამავალი ხანის ეკონომიკა
პოლიტიკური ინსტიტუტები: შედარებითი ანალიზი
ინსტიტუტციური ცვლილებების სოციოლოგია
რეგიონული უსაფრთხოება და კავკასიის გეოპოლიტიკა
მონაცემთა ანალიზი
კვლევის თვისებრივი მეთოდები
კვლევის რაოდენობრივი მეთოდები
კულტურა და რელიგია სამხრეთ კავკასიაში
რელიგიის სოციოლოგია
სტრატეგიული კვლევები
სამართლებრივი სახელმწიფო და კონსტიტუციონალიზმი
გენდერი: კულტურული კვლევები
გენდერი: სამართალი, პოლიტიკა და განათლება

**საკონკურსო მასალების შემოტანის ვადები:**

- საკონკურსო მასალების შემოტანის საბოლოო ვადა 2004 წლის 17 ივნისია.
- კონსულტაცია კონკურსანტებისათვის გაიმართება 2004 წლის 27 მაისს, 3 ივნისსა და 10 ივნისს, დღის 12.00 საათზე "ღია საზოგადოება - საქართველოს" ოფისში, ჭოველიძის 10.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მიმართეთ სოციალური მეცნიერებების ცენტრს ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: : contact@ucss.ge

**ინფორმაცია ანგარიშფაქტურისათვის:**
**სო ციალურ მეცნიერებათა ცენტრი**
**მისამართი: თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ. 87, ტელ: (995 32) 25 27 81, (995 32) 250592, ფაქსი: (995 32) 29 10 52.**
**კოორდინატორი: მაკო მიქაბერიძე (მობ. 899 585345)**
**ბუღალტერი: იმედა გაბაშვილი**



# საქართველოში ენერგოვალების მომსახურების სააგენტო შეიქმნება

*ენერგოსექტორში ცვლილებები იგეგმება. უკვე მეორედ, ენერგეტიკული ობიექტებისათვის აკიდებული ვალების გორგლის გასახსნელად ხელისუფლებას საგანგებო უწყების შექმნა უწევს. "ენერგეტიკის ვალების მომსახურების სააგენტო" - ასე დაერქმევა ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს ენერგოსექტორის დონორთა მოთხოვნით შეიქმნება და ენერგეტიკაში დაგროვილი ვალების ნამდვილობას გადაამოწმებს.*

ნიკა მარიამიძე

წლების განმავლობაში სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფების გავლენის ქვეშ ყოფნამ და მუდმივად ვალების დაგროვების რეჟიმში მუშაობამ საქართველოს ენერგეტიკა დღეს ურთულეს მდგომარეობამდე მიიყვანა. დღეისათვის არ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც ენერგეტიკული საწარმოებისათვის ნაძალადევად აკიდებული ვალების საერთო ოდენობის დასახელებას შეძლებს. ეს ის ვალებია, რომელთა გამოისობითაც დარგის სხვადასხვა საწარმოებს საგადასახადო სამსახურები ანგარიშებს წლების განმავლობაში პერიოდულად უყადაღებდნენ. ეს ის ვალებიცაა, რომელთა გამოისობითაც ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ობიექტის გაყიდვის საკითხი წამოჭრილა და, ზოგ შემთხვევაში, განხორციელებულა კიდეც.

სექტორში უცხოელი მენეჯერების გამოჩენის დღიდან ენერგოსექტორში თამაშის წესები შეიცვალა. საკმაოდ დიდი დრო დასჭირდათ სექტორის დონორებს იმისათვის, რომ მთავრობა დაერწმუნებინათ: წაგებაზე ორიენტირებული ენერგოსექტორის პირობებში, ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებაზე საუბარიც კი ზედმეტია.

ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, რომელიც ამ დარგის მენეჯერებმა "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ახალ ხელისუფლებას წამოუყენეს, დარგის გამჭვირვალობა, აგრეთვე, ენერგოობიექტების მასობრივი თავდასხმებისგან და "ვალების აკიდებისგან" დაცვა იყო.

ამ მიზნით, სექტორის დონორებმა - აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ, გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა, მსოფლიო ბანკმა და ევრობანკმა ხელისუფლებას საგანგებო დოკუმენტი - "ელექტროენერგეტიკული სექტორის სამოქმედო გეგმა" მოუმზადეს, რომელშიც მათი ძირითადი მოთხოვნები ჩამოაყალიბეს. ეს დოკუმენტი იმ სამოქმედო პროგრამის ბაზისადაც იქცა, რომელიც მოგვიანებით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ მოამზადა და რომლის მიხედვითაც ამჟამად საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა იგეგმება და ხორციელდება.

შედეგად, ახლა, საქართველოს ენერგოსექტორის ერთ-ერთი ძირითადი დონორის - "გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის" (KFW) დაფინანსებით, ივნისში ენერგეტიკის ვალების მომსახურების სააგენტო შეიქმნება. გერმანულმა საკრედიტო ბანკმა ამ მიზნით 3 მილიონ 300 ათასი ევრო გამოყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენერგოვალების მომსახურების სააგენტოს შექმნისაგან მთავრობა თავს დიდხანს იკავებდა. საქმე ის არის, რომ ამ ტიპის სტრუქტურის შექმნის ერთობ წარუმატებელი პრეცედენტი უკვე არსებობს: იმისათვის, რომ უცხოელი მენეჯერები ვალებისგან თავისუფალ ორგანიზაციებში შესულიყვნენ, 2000 წელს შეიქმნა "საქენერგო-2000", რომელსაც ძველი ვალების მომსახურების ფუნქცია დაეკისრა. მაგრამ, ენერგომამებმა მისი შექმნის წინ "კარგად იმუშავეს", კონტროლის პალატას კი ამ ორგანიზაციის კრედიტორ-დებიტორების ნამდვილობის რკვევაში სქელტანიანი ტომები დაუგროვდა.

თუმცა, საბოლოოდ, მისი შექმნა მაინც გადაწყდა. ახალ სააგენტოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახე ექნება, მისი ფუნქცია კი ისევ ენერგეტიკაში დაგროვილი ვალების აღწერა იქნება. აგრეთვე, ამავე სააგენტომ უნდა შეიმუშაოს იმ ენერგოსაწარმოთა რეაბილიტაციის გეგმა, რომელთაც არასწორი მენეჯმენტის გამო, წლების მანძილზე წაგებაზე უწევდათ მუშაობა.

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ალეკო ხეთაგურის განმარტებით, **"ენერგოვალების გადასამოწმებლად სააგენტო საერთაშორისო აუდიტორ კომპანიებს დაიქირავებს და, თუ აღმოჩნდა, რომ ვალები ხელოვნურად არის წარმოქმნილი, მათ სასამართლოში გასაჩივრების გზით ჩამოწერს."**

სავარაუდოდ, სააგენტოს შექმნისთანავე სამართალდამცავებს საქმე მოემატებათ. სამაგიეროდ, უცხოელი მენეჯერები ენერგოსექტორში დაგეგმილი რეფორმების "სუფთა ფურცლიდან" გაგრძელებას მოახერხებენ.

# საქველმოქმედო აქცია ფოთში



სააქციო საზოგადოება "ფოთის გემთსაშენის" ხელმძღვანელობამ გუშინ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, საქველმოქმედო აქცია გამართა.

კომპანიამ საზოგადოებას "ღირსება", რომელიც ძალოვანი უწყებების ვეტერან პენსიონერებს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ ჯარისკაცთა ოჯახებს აერთიანებს, საკვები პროდუქტები, პირველადი მოთხოვნილების საგნები და მედიკამენტები გადასცა. როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, ამ პროექტის ფარგლებში კიდევ რამდენიმე ღონისძიებაა დაგეგმილი, რომლებიც ფართომასშტაბიანი აქციით დაიწყება და ინდივიდუალური სოციალური პროექტებით დასრულდება. პროგრამები განხორციელდება ფოთის სხვა სოციალურად დაუცველი ფენების მიმართ, ინვალიდ და მზრუნველობას მოკლებულ ადამიანებზე.

**"ჩვენი სურვილია აღნიშნულმა პროექტმა უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღოს და ღონისძიებების დაფინანსებაში სხვა ბიზნესმენებმა და შეძლებულმა ადამიანებმაც მიიღონ მონაწილეობა. ეს იქნება არა მხოლოდ გაჭირვებული ადამიანების, არამედ ქართული სახელმწიფოს მხარდაჭერა. დღევანდელი ხელისუფლება ნამდვილად ქმნის ასეთი აქციების მოწყობისთვის სასურველ გარემოს. ადამიანები, რომლებიც დღეს აქ მოვიდნენ, საზოგადოების მხრიდან მეტ ყურადღებას იმსახურებენ,"** - განაცხადა საქველმოქმედო აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა შალვა წაქაძემ.

**"ჩვენ წლების განმავლობაში სრულიად უყურადღებოდ ვიყავით მიტოვებული, თითქოს ჩვენი არსებობა საერთოდ დაავიწყდათ. ამ დღემ შეგვახსენა, რომ დამსახურება , რომელიც თითოეულ ვეტერანს მიუძღვის ქვეყნის წინაშე, უკვალოდ არ დაკარგულა,"**- განაცხადა საზოგადოება "ღირსების" წევრმა.

# ენერგეტიკას ახალგაზრდა კადრები სჭირდება

### ენერგეტიკის სამინისტრომ დარგში პროფესიონალი კადრების მოზიდვა განიზრახა

**"გასულ წლებში საქართველოს ენერგეტიკული სექტორის დაღმავლობის გამო, დარგში, პრაქტიკულად, აღარ მოდიან ახალგაზრდები, ენერგეტიკული პროფილის ინსტიტუტებში სწავლა არაპრესტიჟული და უპერსპექტივო გახდა, ასპირანტურები პრაქტიკულად აღარ არსებობენ, ხოლო მეცნიერ-მუშაკთა საშუალო ასაკი 60 წელს აღემატება,"** - ასეთ სურათს ხატავენ დღეს ენერგეტიკის სამინისტროში.

ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური მიიჩნევს, რომ **"ასე თუ გაგრძელდა, უახლოეს მომავალში ქართველი ენერგეტიკოსი, პრაქტიკულად, აღარ გვეყოლება."** მისი თქმით, საჭიროა სასწრაფოდ აღვადგინოთ დარგის იმიჯი, ხელი შევუწყოთ ახალი, დასავლური მართვის სტილის დანერგვასა და არსებული ცოდნის გაღრმავებას. **"აუცილებელია, არსებული გამოცდილების საფუძველზე გაიზარდოს ახალი თაობა, რომელმაც მომავალში დარგი უნდა მართოს,"** - აცხადებს გილაური.



ბესო გოლაშვილის ფოტო

*ნიკა გილაური ახალგაზრდა კადრებს ენერგოსექტორში ეპატიჟება*

აქედან გამომდინარე, ენერგეტიკის სამინისტრო დარგში **"ახლებური საკადრო პოლიტიკის"** გატარებას გეგმავს. **"გვინდა, მოვიზიდოთ დაინტერესებული სპეციალისტები და პროფესიონალი კადრების აღზრდას ხელი შევუწყოთ,"** - აცხადებენ სამინისტროში და, შემოსული განაცხადებების საფუძველზე, მონაცემთა ბაზის შექმნას აპირებენ. ბაზიდან, სათანადო კონკურსის საფუძველზე, შეირჩევიან ახალგაზრდა ან პროფესიონალი კადრები, რომელთაც შემდეგ ენერგეტიკის სხვადასხვა საწარმოებში სამუშაოდ რეკომენდაციას თავად სამინისტრო გაუწევს.

სამინისტროში აცხადებენ, რომ დღეს დარგს, გამოცდილი ენერგეტიკოსების გარდა, იურისტები, ეკონომისტები და ფინანსისტები ესაჭიროება. **"ჩვენს მონაცემთა ბაზაში მოხვედრა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელსაც ენერგეტიკაში მუშაობისთვის შესაფერისი კვალიფიკაცია და, რაც მთავარია, სურვილი აქვს,"** - აცხადებს გილაური.

**24 საათი**

# ოპეკმა ისევ "თავი შეიკავა"

თორნიკე შარაშენიძე

მომავალ თვემდე, ოპეკის მიერ ნავთობმოპოვების გაზრდის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. ამსტერდამში შეკრებილმა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, ამ ეტაპზე რაიმე ქმედებისაგან თავი შეიკავონ. ოპეკზე ვერანაირი გავლენა ვერ მოახდინა მსოფლიოს უდიდესი ნავთობქვეყნის, საუდის არაბეთის მოწოდებამ, ნავთობმოპოვების დღეში 2 მილიონი ბარელით გაზრდის თაობაზე. ეს საკითხი 3 ივნისს, ბეირუთში ოპეკის სხდომაზე განიხილება.

ამსტერდამული შეხვედრის მონაწილეებმა რამდენიმე საგულისხმო განცხადება გააკეთეს. მათ აღნიშნეს, რომ "ძალიან შეშფოთებულნი" არიან ნავთობის მაღალი ფასებით. მაგრამ, ამავე დროს, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საწვავის მაღალი ფასები რამდენიმე ფაქტორის კომბინაციას წარმოადგენს, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი "ზოგიერთ რეგიონში გეოპოლიტიკური დაძაბულობაა." ოპეკის პრეზიდენტმა პურნომო იუსგიანტორომ ეს ნააზრევი ასე შეაჯამა: "ბაზარზე სტაბილურობის დამყარება ამ სფეროში დასაქმებული ყველა მხარის პასუხისმგებლობაა და ძალისხმევა ყველამ უნდა გაიღოს."

ოპეკის პოზიცია გასაგებია: იგი, ერთის მხრივ, არ აპირებს იოლად დაჰყვეს დასავლეთის დაწოლას, მეორეს მხრივ კი, იგი ნაწილობრივ იხსნის პასუხისმგებლობას და ეს, ალბათ, გარკვეულწილად გამართლებულია: ოპეკზე კვლავაც მოდის მსოფლიო ნავთობმოპოვების დაახლოებით ერთი მესამედი, მაგრამ მსოფლიო ბაზარზე ასევე დიდ გავლენს ახდენს რუსეთი, რომელსაც არასოდეს მიუჩნევია საწვავის ფასები საკუთარი პასუხისმგებლობის სფეროდ. თუმცა, იმ ვითარებისგან განსხვავებით, როცა საწვავის ფასები დაბალი იყო, რუსეთთან ახლა პრეტენზიები არავის შეიძლება ჰქონდეს - ეს ქვეყანა ხომ, პრაქტიკულად, მაქსიმალური დატვირთვით ამუშავებს საკუთარ ნავთობმრეწველობას და, რომ არა რუსული ნავთობი, რომელიც მოსკოვისათვის შემოსავლის უმთავრესი წყაროა, ვითარება მსოფლიო ბაზარზე გაცილებით უფრო მძიმე იქნებოდა.

ამსტერდამულ შეხვედრაზე ნავთობმოპოვების გაზრდის კატეგორიული წინააღმდეგი იყო ვენესუელა. ეს არც არის გასაკვირი, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ამ ქვეყნის პრეზიდენტს უგო ჩავესს ერთობ რთული ურთიერთობები აქვს აშშ-სთან და ეს ურთიერთობები მნიშვნელოვანწილად სწორედ ნავთობის პრობლემის გამო გართულდა.

ოპეკის სიჯიუტეს, ცხადია, რაციონალური ახსნა აქვს: ორგანიზაციას ხელს აძლევს მაღალი ფასები. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნავთობმოპოვების დღეში 2 მილიონი ბარელით გაზრდის შემთხვევაში საწვავი არც ისე მკვეთრად გაიაფდება, რომ ოპეკის შემოსავალი შემცირდეს. ფასის ცვლილება მხოლოდ ოპეკზე არ იქნება დამოკიდებული - ამ უკანასკნელზე სხვა ფაქტორებიც მოქმედებს: ისეთები, როგორიცაა ნავთობზე მზარდი მოთხოვნილება ჩინეთში და, ცხადია, არასტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში.

ჩანს, ოპეკს ახლო მომავალში ამ სტაბილურობის დამყარების პერსპექტივა აშინებს და ამიტომაც ცდილობს, გადაწყვეტილების მიღება რაც შეიძლება გააჭიანუროს.

ოპეკის შეხვედრას თითქმის დაემთხვა დიდი შვიდეულის ქვეყნების სხდომა ნიუ იორკში. მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა შეხვედრისას საკმაოდ ოპტიმისტურად შეაფასეს მსოფლიო ეკონომიკაში არსებული ვითარება და, ამ მხრივ, ერთადერთ საფრთხედ ისევ და ისევ ნავთობზე მაღალი ფასები დაასახელეს.

# ვაშინგტონში საქართველოსთვის ფინანსური დახმარების პროგრამის აღდგენის საკითხი გადაწყდება

დღეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭო ვაშინგტონში საქართველოსთვის ფინანსური დახმარების პროგრამის აღდგენის საკითხს განიხილავს. ფონდის დირექტორთა საბჭოს განხილვის საგანი იქნება ქვეყნისათვის ახალი საინვესტიციო პაკეტის გამოყოფა, სტრუქტურული რეორგანიზაციის ახალი პროექტის (საკ.4) დაწყება და ასევე, პარიზის კლუბში საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციისთვის ფონდის შესაძლო მხარდაჭერის საკითხი. ქვეყანას ფინანსური პროგრამის აღდგენისთვის ფონდის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები, რომელთა შორის 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება იყო, შესრულებული აქვს. მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე, პარლამენტმა ბიუჯეტი დირექტორთა საბჭოს სხდომამდე ორი კვირით ადრე, დაჩქარებულ რეჟიმში დაამტკიცა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ორშაბათს, ბიზნესმენებთან შეხვედრისას სავალუტო ფონდის მისამართით განაცხადა, რომ ქვეყანა ფონდის ფინანსურ დახმარებაზე უარს არ ამბობს, თუმცა სასურველი იქნებოდა, თუკი ფონდი საქართველოს მის რეალობასთან ადაპტირებულ რეკომენდაციებს მისცემდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში 1994 წლიდან მუშაობს. ამჟამად ქვეყანას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის 320 მილიონი აშშ დოლარი მართებს. საერთო ჯამში, საქართველოს საგარეო ვალების მოცულობა 2 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს.

*მედია-ნიუსი*

## “ს/ს თელასის” განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**27 მაისს, 12.00-დან 15.00-სთ-მდე:**

რკინიგზის, სამგორის, ნავთლუღის და სამრეწველო დასახლებების, კახეთის გზატკეცილის(ნაწილობრივ), ქეთევან წამებულის გამზირის(ნაწილობრივ), დოდაშვილის მოედანის, ბოგდან ხმელნიცკის(ნაწილობრივ), ალადაშვილის, ალიხანიანის, ახმეტის, ბადიაურის, ბოროდინის, ჩუბინიძის, დედოფლისწყაროს, დმანისის, ფაბრიციუსის, ფაღავას, ფოსტის, გუჯარეთის, გუთნის, ირბახის, იზაშვილის, მარტყოფის, მახათას, მთავარანგელოსის, ნასაკირალის, ნიორაძის, ობსერვატორიის, ქურხულის, საბადურის, სართიჭალის, სევანის, წურწუმიას, ხერხეულიძეების, ხივინის, კოპცოვის, მესხეთის, სამგორის, ხარაბაძის, ყარყარაშვილის, ზანდუკელის, ბოლნისის, ჩარხის, ციხისძირის, ჩოხელის, სახალხოს, თეთრიწყაროს, ხევის, ბალადინის, ივლეთის, ქედის კომუნის, როსტომაშვილის, რუსუდანის ქუჩების მაცხოვრებლებს.

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**ბოდიშს იხდის სამინისტროში მოხელეთა ვაკანტური თანამანდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის მოთხოვნებში გაპარული შეცდომებისთვის.**

საკონკურსო განაცხადის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში
**“კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:”**
პუნქტი ბ) უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: “იყოს 21 წელს მიღწეული;”

განაცხადის ბოლო ნაწილი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:
**“საკონკურსო განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 15 ივნისი.**

კომისია არა უგვიანეს 25 ივნისისა ამოწმებს განაცხადთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებთან და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვნიანეს 2 დღისა წერილობით აცნობებს კანდიდატებს.

ის კანდიდატები, რომლებიც აკმაყოფილებენ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს გაივლიან ტესტირებასა და გასაუბრებას.

ტესტირება ტარდება არა უგვიანეს 30 ივნისისა.

ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით საკონკურსო-საატესტაციო კომისია ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნი კანდიდატების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს გასაუბრების ჩატარებიდან 10 დღის ვადაში.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თამვჯდომარე გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 2 დღისა წერილობით აცნობებს ყოველ კანდიდატს მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს მისამართია:

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
**ქ. თბილისი, უზნაძის ქ. N 52. ოთახი N113.**
ტელეფონი: **95-18-42.**

# ვლადიმირ პუტინი: რუსეთი არჩეული კურსიდან არ გადაუხვევს

თუკი გუშინწინ ამერიკელ ხალხს აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიმართა, თავის ოკეანსგაღმელ კოლეგას არც ვლადიმირ პუტინი ჩამორჩა და რუსეთის მოქალაქეების წინაშე ვრცელი მოხსენებით წარდგა. ბუშის მსგავსად, პუტინმაც მტკიცედ დაადასტურა, საკუთარი პოლიტიკური კურსის სისწორე და განაცხადა, რომ ამ კურსიდან გადახვევას არ აპირებს. ის რუს ხალხს 2010 წლისათვის შემოსავლების 50 პროცენტით გაზრდას შეჰპირდა.

ვლადიმირ პუტინი ვრცელი სიტყვით კრემლის მარმარილოს დარბაზში გამოვიდა, სადაც რუსეთის მთელი პოლტიკური ელიტა იყო შეკრებილი.

გამოსვლის დასაწყისში რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სახელმწიფო უკვე ცხოვრების დონის გაუმჯობესების ახალ ეტაპზე უნდა გადავიდეს. მან პოსტსაბჭოთა რუსეთის განვითარების სამი ეტაპი მოხაზა.

მისი განცხადებით, პირველ ეტაპზე ძველი სისტემის დემონტაჟი მიმდინარეობდა. მეორე ეტაპზე ამ სისტემის ნანგრევების გასუფთავება, ხოლო მესამე ეტაპი კი ახლა დაიწყო და ქვეყანა აღორძინების გზას დაადგა. თუმცა, პრეზიდენტის თქმით, რუსეთის ეკონომიკამ 1989 წლის დონეს ჯერ კიდევ ვერ მიაღწია. პუტინმა აღნიშნა, რომ ქვეყნის წინაშე ამ მესამე ეტაპზე სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გაძლიერების, სიღარიბესთან ბრძოლის და არმიის მოდერნიზების ამოცანები დგას.

პუტინმა რუსეთის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებად "პოლიტიკური და ინფორმაციული" ზეწოლა დაასახელა. **"ზოგიერთები ამბობენ, რომ რუსეთში ავტორიტარიზმი მყარდება, მაგრამ რუსეთი თავის მიერ არჩეული კურსის შეცვლას არ აპირებს,"** - ამაყად განაცხადა ვლადიმირ პუტინმა. მარმარილოს დარბაზი ამ განცხადებას მქუხარე აპლოდისმენტებით შეეგება.

ამის შემდეგ, პუტინმა ჯანდაცვის სისტემაზე დაიწყო საუბარი და ამ სფეროში არსებული ვითარება არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. მის თქმით, სახელმწიფოს ჯანდაცვის არაეფექტური სისტემა გააჩნია. მან მოსახლეობას ამის გამოსასწორებელი რეცეპტიც შესთავაზა. პუტინის განცხადებით, აუცილებელია ჯანდაცვის სისტემის მოდერნიზება ნებაყოფლობითი დაზღვევის ბაზაზე. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ კერძო სამედიცინო მომსახურების შესაქმნელად სამართლებრივი ბაზა შემუშავდეს.



*ვლადიმირ პუტინი ქვეყნის განვითარების სტრატეგიას აყალიბებს*

რუსეთის პრეზიდენტი განათლების სისტემასაც შეეხო და განაცხადა, რომ არსებული ვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნებს არ შეესაბამება.

რაც შეეხება რუსეთის ეკონომიკის განვითარების პრობლემებს, პრეზიდენტმა შემაფერხებელ ფაქტორად მოძველებული ინფრასტრუქტურა და, კერძოდ, სატრანსპორტო სფეროს არაეფექტურობა დაასახელა. ამის გამოსასწორებლად კი აუცილებელია კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა. ამასთანავე, პუტინმა არ დამალა, რომ ინფრასტრუქტურაზე კონტროლს სახელმწიფო კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს.

სამხედრო სფეროზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ მთავარი დასაყრდენი არმიაში სტრატეგიული ბირთვული შეიარაღებული ძალები უნდა იყოს. **"ამისათვის ქვეყანას ყველანაირი შესაძლებლობა გააჩნია,"** - განაცხადა პუტინმა.

საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას, პუტინმა განსაკუთრებით გამოჰყო ევროკავშირთან ურთიერთობის და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხები. გარდა ამისა, პუტინის თქმით, აუცილებელია ანტიტერორისტული კოალიციის გაძლიერება, მაგრამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ ადამიანის უფლებების დარღვევა არ უნდა გამოიწვიოს.

გამოსვლის დასასრულს, პუტინმა განაცხადა, რომ ის დაიცავს რუსეთის დემოკრატიულ მონაპოვარს და ქვეყნის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ამით რუსეთის პრეზიდენტმა თავისი 50-წუთიანი გამოსვლა ისე დაასრულა, რომ ჩეჩნეთის პრობლემა ერთხელაც კი არ გახსენებია. ალბათ, ვლადიმირ პუტინი დარწმუნებულია, რომ ჩეჩნები უკვე ბედნიერად ცხოვრობენ.

# ერაყი - ამერიკის და ირანის მეტოქეობის არენა

ლაშა გიორგიძე

ირან-ერაყის ისტორიული ურთიერთობების მანძილზე, რომელიც ამჟამად ირან-აშშ-ს ურთიერთობებს უფრო დაემსგავსა, ერაყის ყოფილი ხელისუფლებისათვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ქვეყანაში შიიტი მუსლიმების უმრავლესობის საკითხი წარმოადგენდა. ეს პრობლემა არც დღეს წამოჭრილა და არც გუშინ: ჯერ კიდევ 1932 წელს, როდესაც ერაყი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, 21 პროცენტ სუნიტ მოსახლეობასთან ერთად, 53 პროცენტი შიიტი ცხოვრობდა. დღეს კი შიიტების რაოდენობამ 60 პროცენტს მიაღწია და ერაყის მმართველებისათვის ყველაზე ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. შესაბამისად, გასათვალისწინებელია მეზობელი ირანის პოზიცია, რომელიც ნებისმიერი შიიტური გამოსვლის თუ საპროტესტო აქციის უკან დგას.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ერაყში ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ, როდესაც საქმე სამართლიანი არჩევნების ჩატარებას ეხება, პირველ რიგში, გათვალისწინებული უნდა იყოს შიიტების, როგორც უმრავლესობის პოზიცია. ამ შემთხვევაში კი, მეზობელი შიიტური ირანის გავლენა ერაყზე, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოზე, არათუ შემცირდება, არამედ, სავარაუდოდ, გაიზრდება კიდეც.

ცხადია, დემოკრატიის პირობებში სახელმწიფოს მეთაურები ქვეყანას არც ღმერთის სახელით მართავენ და არც რევოლუციურ იდეებს იყენებენ თავიანთი მოქმედებების გასამართლებლად, როგორც ეს კომუნიზმის დროს ხდებოდა. ამჯერად, პირველ პლანზე ხალხი და ხალხის ინტერესებია. ძნელი წარმოსადგენია, რამდენად პროერაყელი იქნება ქვეყნის მომავალი პირველი პირი, როდესაც ქვეყანაში დგას შიიტი უმრავლესობისა და, ამასთან ერთად, ქურთების საკითხი, რომლებიც ერაყის ფედერალურ მოწყობას და მთელ რიგ ავტონომიურ უფლებებს აქტიურად მოითხოვენ. ხოლო, თუკი ისინი ქვეყნის მოსახლეობას განეკუთვნებიან, ქვეყნის ხელმძღვანელი ვერც ერთი მათგანის მოთხოვნას გვერდს ვერ აუვლის.

დღეისათვის ირანი პროტესტს გამოთქვამს ერაყში აშშ-ს პოლიტიკის გამო. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშშ-ს წერილიც კი გაუგზავნა, სადაც კრიტიკულად შეაფასა მისი პოლიტიკა რეგიონში. მართლაც, ვაშინგტონის პოლიტიკის ნებისმიერი წარმატება რეგიონში, მისი გავლენის ზრდა, განსაკუთრებით - ირანის მეზობელ ქვეყნებზე, თეირანის შეშფოთებას იწვევს, რადგან ეს ყველაფერი ირანის პოლიტიკის შესუსტების ხარჯზე ხდება. ურთიერთობების დაძაბვას ემატება ჯორჯ ბუშის მიერ გაკეთებული განცხადება "ბოროტების ღერძი ქვეყნების" შესახებ, სადაც ჩრდილოეთ კორეასთან ერთად ირანის ისლამური რესპუბლიკაცაა მოხსენიებული. აშშ-ს ასეთ დამოკიდებულებას ირანიც შესაბამისად პასუხობს და ხშირად აკრიტიკებს ვაშინგტონს ერაყის ომთან დაკავშირებით.

ირანის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ **"ერაყიდან ჯარების გაყვანა რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს და ძალაუფლება ერაყელ ხალხს გადაეცეს."**

ერაყის შიიტურ წმინდა ქალაქებში - ნაჯაფსა და ქერბალაში გამართულმა ბრძოლებმა ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი საკმაოდ დააზიანა, ხოლო თეირანმა მიმდინარე მოვლენების გამო შეშფოთება გამოთქვა. ამერიკელები ერაყის შიიტური წმინდა ქალაქების განადგურების მცდელობაში ლიბანში არსებული ჯგუფის "ჰეზბოლაჰის" ლიდერმაც დაადანაშაულა. შიიტებმა აშშ-ს ეს მოქმედება შეაფასეს, როგორც მსოფლიოს ყველა შიიტზე მიტანილი შეტევა. იგივე პოზიცია ირანში აიათოლა ქადიმ ალ-ჰაერმაც დააფიქსირა. იგი შიიტი რადიკალის, მოქთად ალ-სადრის სულიერი მოძღვარია და მან მსოფლიო შიიტებს ამერიკელთა წინააღმდეგ გაერთიანებისაკენ მოუწოდა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე კვირის წინ სუნიტთა წმინდა ქალაქ ფალუჯაში ამერიკელების წინააღმდეგ სუნიტების გვერდით შიიტებიც იბრძოდნენ. გამორიცხული არ არის, რომ შიიტების წმინდა ქალაქების დაცვის დროსაც იგივე განმეორდეს და ამერიკელ ჯარისკაცებს საერთო მუსლიმურ ძალებთან გამკლავება მოუწიოთ.



*ერაყელ შიიტებს ირანი თავისი ინტერესებისათვის იყენებს.*

უკანასკნელ პერიოდში საპროტესტო აქციები არ წყდება თეირანში, დიდი ბრიტანეთის საელჩოს წინ, სადაც განუწყვეტლივ გამოითქმის მოწოდებები ერაყის ოკუპაციის შეწყვეტის შესახებ. დემონსტრაციის მონაწილეებმა საელჩოს დახურვა და ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ირანიდან გაწვევა მოითხოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ აიათოლა ხომეინის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და მასთან ერთად ჩაიარა "მუსლიმური (უფრო სწორად, შიიტური) რევოლუციის იმპორტის" იდეამ, ირანის საგარეო-სამეზობლო პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად ისევ რჩება იმ შიიტების ბედით დაინტერესება, რომლებიც ერაყის უმრავლესობას შეადგენენ. ამ ხალხის მიმართ გულშემატკივრობა თეირანის მხრიდან არაოფიციალურად აღიქმება და ხაზს უსვამს იმას, რომ მას ერაყზე საკმაოდ დიდი გავლენა გააჩნია, რასაც ძნელად თუ შეეწინააღმდეგები. დღეს უკვე არავისთვის დაფარული არ არის ის ფაქტი, რომ შიიტი რადიკალის მოქთად ალ-სადრის უკან, რომელიც აშშ-სთან შეურიგებელი და მტრული დამოკიდებულებით გამოირჩევა, ირანის ხელისუფლების წარმომადგენლები დგანან.

ირან-აშშ-ს შორის ბოლო პერიოდში განვითარებული ურთიერთობების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ის დაძაბულობა, რაც ერაყელი აჰმედ ჩალაბის დაკავებას მოჰყვა. მას ერთ-ერთ ბრალად თეირანისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდება წაუყენეს. ჩალაბის მიერ ამ ბრალდების უარყოფა მას უკვე წამგებიან პოზიციაში აგდებს, ისევე როგორც მთლიანად ირანის ხელისუფლებას, რომელმაც ოფიციალურად უარყო ერაყის მმართველი საბჭოს წევრისაგან ნებისმიერი ინფორმაციის მიღება. დადასტურდება თუ არა აჰმედ ჩალაბის ბრალეულობა აღნიშნულ საკითხში, უკვე მეორეხარისხოვანია. მთავარი და მნიშვნელოვანია, რომ აშშ-მ საერთაშორისო საზოგადოებას ამ მოქმედებით არაპირდაპირ განუცხადა: ირანს შეიძლება ჰყავდეს ჩალაბისნაირი აგენტები ერაყში, რაც საბოლოო ჯამში, შესაძლოა, არა მხოლოდ მის თავდაცვით და უსაფრთხოების, არამედ თეირანის აგრესიულ ზრახვებსაც ემსახურებოდეს მის მეზობელ ქვეყანაში.

საინტერესოა, მართლაც არსებობს თუ არა რაიმე საფუძვლიანი ბრალდება აჰმედ ჩალაბის წინააღმდეგ, რაც საქმის მსვლელობის გაგრძელებას გამოიწვევს, თუ ერაყის მმართველი საბჭოს წევრი აშშ-სა და ირანს შორის დიდი პოლიტიკური დაპირისპირების მსხვერპლი გახდა. მაშინ, როდესაც თეთრი სახლის, პენტაგონისა და კონგრესის გავლენიანი ფიგურები ბატონ ჩალაბს "ერაყის ჯორჯ ვაშინგტონს" უწოდებდნენ, ერაყის მმართველი საბჭოს სხვა წევრებისათვის მართლაც შოკისმომგვრელი იყო გავლენიანი პოლიტიკოსის სახლში ჩატარებული რეიდი, რასაც მისი კოლეგების ოფისების ჩხრეკაც მოჰყვა. ეს ოპერაცია ამერიკელი აგენტებისა და ერაყელი პოლიციელების საშუალებით ჩატარდა და ჩალაბის მიერ შეფასდა, როგორც **"მის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკურად მოტივირებული აქცია."**

როგორც ბრიფინგზე ჟურნალისტებს განუცხადეს, ბრალდებათა შორისაა ბატონ ჩალაბის ერაყის ეროვნული კონგრესის წევრების სავარაუდო მონაწილეობა ადამიანთა გატაცებებში, წამების ფაქტები, დიდი რაოდენობის ფულის გაფლანგვა და თანამდებობის ბოროტად გამოყენება. თუმცა, ბრალდებათა შორის ყველაზე მძიმე, რა თქმა უნდა, ირანისათვის საიდუმლო ინფორმაციის მიწოდებაა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ აჰმედ ჩალაბის აღმასვლას, წარმატებას, უდიდეს გავლენას ქვეყნის შიგნით, მმართველი საბჭოს წევრებზე, უცებ მოჰყვა პოლიტიკური მარცხიც. თავდაპირველად, მას ვაშინგტონი განიხილავდა, როგორც ერაყის მომავალ ხალმძღვანელსა და ლიდერს, თუმცა დღეს ასეთ ნაპატივებ პიროვნებას ბრალდებების უარყოფა უწევს. აჰმედ ჩალაბი კატეგორიულად უარყოფს ირანთან რაიმე საიდუმლო კავშირის არსებობას და გადაჭრით აცხადებს, რომ ამერიკელთა დამოკიდებულების შეცვლა მისი პიროვნების მიმართ გამოიწვია მისმა რადიკალურმა, კრიტიკულმა დამოკიდებულებამ აშშ-ს გეგმების მიმართ, რაც ივნისის ბოლოს ძალაუფლების ერაყის დროებითი მთავრობისათვის გადაცემას ეხება. იგი აცხადებს, რომ ქვეყნის ახალ მთავრობას უნდა ჰქონდეს სრული ძალაუფლება და არა ისეთი შეკვეცილი უფლებები, როგორსაც ამერიკელები ერაყელებს სთავაზობენ. იგი ასევე კრიტიკულია გაერო-ს სპეციალური წარმომადგენლის ლახდარ ბრაჰიმის მიმართ, რომელიც დროებითი მთავრობის ჩამოყალიბების პროცესში აქტიურად მონაწილეობს.

საინტერესოა, ბატონი ჩალაბის პოლიტიკური კარიერა დამთავრდა თუ იგი მაინც შეძლებს, ერაყის ახალ მთავრობაში ადგილი მოძებნოს. რაც უნდა მოხდეს, ერთი რამ ცხადია: დარჩენილი გავლენის წყალობით, მას შეუძლია ბევრი თავსატეხი გაუჩინოს აშშ-ს ისეთ რთულ პერიოდში, როდესაც ერაყში ხელისუფლების ცვლის დრო დადგება.

აშშ იჭერს ჩალაბის, ხოლო ირანი ზურგს უმაგრებს შიიტ რადიკალებს და მოქთად ალ-სადრს. აშშ ორმხრივ ურთიერთობებს ამყარებს საუდის არაბეთთან, ირანი კი მხარდაჭერას გრძნობს ლიბიისაგან. ზესახელმწიფოსა და ბოროტების ღერძში შემავალი სახელმწიფოს დაპირისპირება იკვეთება ისრაელ-პალესტინის კონფლიქტთან დაკავშირებითაც. ასე რომ, უფსკრული აშშ-სა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის კიდევ უფრო იზრდება.

# სტიქიური უბედურება კუნძულ ჰაიტიზე

*უკანასკნელი ასი წლის მანძილზე ყველაზე დიდმა წყალდიდობამ, ჰაიტისა და დომინიკის რესპუბლიკაში 500-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა. ასეულობით უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება. მთელი კუნძული ჰაიტი დაფარულია კალაპოტებიდან გადმოსული მდინარეებით. სამაშველო ოპერაციებში ამერიკელი და კანადელი სამხედროებიც ჩაერთვნენ.*

კარიბის ზღვის კუნძულ ჰაიტის მთელი ტერიტორია (კუნძულზე ორი სახელმწიფო - ჰაიტი და დომინიკის რესპუბლიკა მდებარეობს) სტიქიური უბედურების ზონად არის გამოცხადებული. ორშაბათს დაწყებული ტროპიკული წვიმების შედეგად, კუნძულის აღმოსავლეთში და ჩრდილო-დასავლეთში მდებარე ორი მდინარე კალაპოტიდან გადმოვიდა. ჰაიტის ტერიტორიაზე ნიაღვრებმა სოფლები მთლიანად წალეკა. ყველაზე დიდი მსხვერპლი დაფიქსირებულია დომინიკის რესუპლიკის ქალაქ ხიმანიში, ჰაიტის საზღვართან ახლოს.

დომინიკის რესპუბლიკაში ასობით ადამიანი დაიღუპა. "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, მარტო ერთ სოფელში 200-მდე დაიხრჩო. გავრცელებული ინფორმაციით, კიდევ 100 დომინიკელი მიაბარეს მიწას ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში. გუშინ, მსოფლიოს ელექტრონული მედიის საშუალებები საზარელ კადრებს ავრცელებდნენ - მაშველები და გადარჩენილი მოსახლეობა წყლის ნაკადის მიერ გამორიყულ გვამებს პირდაპირ გზის პირას აწყობდნენ. დახოცილი ადამიანები მთელი ქვეყნის მასშტაბით არიან მოფენილნი.

ჰაიტის ხელისუფლებამ, ჯერჯერობით, მხოლოდ 83 ადამიანის დაღუპვაზე გააკეთა ოფიციალური განცხადება, თუმცა პოლიცია და მაშველები ამბობენ, რომ მსხვერპლი გაცილებით დიდია. ასეულობით ოჯახი დაკარგულად ითვლება. ასევე, დიდია წყალდიდობით გამოწვეული ნგრევა. წყალდიდობამ ელექტროგადამცემი ხაზები და კომუნიკაციის საშუალებები 14 ქალაქში გაანადგურა.

გუშინდელი ოფიციალური მონაცემების თანახმად, დაღუპულად ითვლებოდა 500-ზე მეტი ადამიანი. ორივე ქვეყანაში გზები თითქმის აღარ არსებობს. ბლოკირებულია ყველა სახის სახმელეთო ტრანსპორტი.

წინასწარი ცნობებით, 13 ათასი ადამიანი უსახლკაროდ არის დარჩენილი. ისინი, ვინც წყალს და მეწყერს გადაურჩნენ, უკვე რამდენიმე დღეა, ღია ცისქვეშ, უკუნ სიბნელეში ატარებენ ღამეებს. კუნძულზე ეპიდემიების გავრცელების სერიოზული საფრთხე არსებობს.

ამინდის პროგნოზი კი, ჯერჯერობით, ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. წვიმები კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდება.

პირველი დახმარება დაზარალებულებს ჰაიტიზე მყოფმა ამერიკულმა და კანადურმა სამშვიდობო ძალებმა გაუწიეს. დაახლოებით, 4 ათასკაციანი შენაერთი ჰაიტიზე თებერვალ-მარტიდან იმყოფება. შეგახსენებთ, სამშვიდობოების შესვლა კუნძულზე ჰაიტის პრეზიდენტის ჟანბერტრან არისტიდის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყებისა და ქვეყანაში მასობრივი არეულობის გამო მოხდა.

აღსანიშნავია, რომ კუნძულზე წყალდიდობები იშვიათი მოვლენა არ არის, თითქმის ყოველ წელს, აპრილ-მაისში, ტროპიკული წვიმების გამო მდინარეები კალაპოტიდან გადმოდის, თუმცა ბოლო წლებში ამის გამო მხოლოდ ერთეულები იღუპებოდნენ. ასე იყო 2001 წლის მაისში, როდესაც წყალდიდობამ დომინიკის რესპუბლიკაში 2 ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო ჰაიტიში - შვიდი. წელს სტიქია გაცილებით მკაცრი გამოდგა. ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, რომ მსგავსი წყალდიდობა, ბოლო ასი წელიწადია, არ ყოფილა.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
საქართველოს გაეროს ასოციაცია

UNHCR

## ღია კონკურსი ლტოლვილ და დევნილ ხელოვანთათვის

ლტოლვილთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც 2004 წლის 20 ივნისს აღინიშნება, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და საქართველოს გაეროს ასოციაცია მართავენ გამოფენა-კონკურსს ლტოლვილ და დევნილ ხელოვანთათვის. წლევანდელი ღონისძიების თემატიკიდან გამომდინარე, ხელოვანთა მიერ წარდგენილ ნამუშევრებში უნდა აისახებოდეს მათი წარმოდგენა "სახლის" შესახებ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 16 წელს ზევით ასაკის ლტოლვილ და დევნილ ხელოვანებს. ნამუშევართა ფორმა შეზღუდული არ არის - კონკურსისათვის შეიძლება წარდგენილ იქნეს ფერწერული, გრაფიკული, ფოტო ნამუშევრები, ქანდაკება და ხელით ნაკეთობანი.

ყველა ნამუშევარი განხილული და შეფასებული იქნება გაეროსა და დიპლომატთა კორპუსის წარმომადგენელთა და პროფესიონალ ხელოვანთაგან შემდგარი ჟიურის მიერ. საუკეთესო 25 ნამუშევარი ლტოლვილთა საერთაშორისო კვირეულის განმავლობაში გამოიფინება საჯაროდ ავტორთა თანხმობის საფუძველზე მათი შემდგომი გაყიდვის შესაძლებლობით.

25-დან ერთი საუკეთესო ნამუშევრის ავტორი დაჯილდოვდება ფულადი პრიზით, რომელიც საშუალებას მისცემს საკუთარი სამხატვრო შესაძლებლობები განავითაროს. თითოეულ წარდგენილ ნამუშევარს თან უნდა ახლდეს მოკლე ესსე, რომელშიც ასახული იქნება, თუ როგორ გამოიყენებს ავტორი მოგებულ თანხას კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში.

ნამუშევართა წარდგინების ბოლო ვადაა 2004 წლის 7 ივნისი.

ნამუშევრები და მოკლე ესსე შეგიძლიათ წარადგინოთ შემდეგ მისამართებზე: გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობა საქართველოში - თბილისი, ყაზბეგის გამზირი N2ა, მე-4 სართული, ან საქართველოს გაეროს ასოციაცია, თბილისი, დოლიძის N2, მე-4 სართული.

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ტელეფონებზე: (995 32) 25-00-81 ან 33-25-16.**

# რუსეთის მოქალაქეები ერაყში მოკლეს

რუსული კომპანია "ინტერენერგოსერვისი", რომელიც ერაყში სარეკონსტრუქციო სამუშაოებს აწარმოებდა, თანამშრომლების ევაკუაციას აპირებს მას შემდეგ, რაც მათი ორი რუსი თანამშრომელი მოკლეს. უცნობმა პირებმა ის ავტობუსი დაცხრილეს, სადაც სამუშაოზე მიმავალი რუსები ისხდნენ. სროლის შედეგად, კიდევ ექვსი რუსი დაიჭრა. რუსეთის მოქალაქეების გარდა, ორი ერაყელიც დაიღუპა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ალექსანდრ იაკოვენკოს განცხადებით, მუშები ალდავრას ელექტროსადგურისაკენ მიდიოდნენ. რუსული ტელეკომპანიის ინფორმაციით, მათ ნიღბიანი შეიარაღებული პირები გადაუდგნენ წინ და მთელი ავტობუსი დაცხრილეს. დაჭრილთაგან ზოგიერთები კრიტიკულ მდგომარეობაში არიან. მართალია, რუსეთი ამერიკის წინამძღოლობით შექმნილ კოალიციაში არ შედის, მაგრამ რუსეთის მოქალაქეები ენერგეტიკული სექტორის აღდგენაში აქტიურად მონაწილეობენ. რუსმა ექსპერტებმა ერაყის განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენაში დიდი როლი შეასრულეს. გასულ თვეს მოსკოვმა დსთ-დან ჩამოსული 365 სამოქალაქო პირის ერაყიდან ევაკუაცია მოახდინა, რადგან უცხოელებზე თავდასხმის ფაქტები გახშირდა. დაახლოებით, 300-მა მუშამ დარჩენა ამჯობინა, მათი უმრავლესობა "ინტერენერგოსერვისში" მუშაობდა. გუშინ, რუსეთმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ მისმა მოქალაქეებმა უნდა დატოვონ ერაყი. "რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ არაერთხელ გააფრთხილა ყველა, რომ ერაყში არსებული სიტუაცია ძალზე არასტაბილურია და ამ ქვეყანაში ყოფნა სერიოზულ რისკს შეიცავს," - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. ეს ერაყში რუსული კომპანიის პირველი მსხვერპლი არ არის. "ინტერენერგოსერვისის" ერთი მუშა 10 მაისს დაიღუპა, ხოლო მისი ორი კოლეგა გაიტაცეს.

მოტაცებულები ერთი კვირის შემდეგ გაათავისუფლეს. მანამდე, აპრილში ამავე კომპანიის სამი რუსი და ხუთი უკრაინელი თანამშრომელი გაიტაცეს, მაგრამ მეორე დღესვე გამოუშვეს. მართალია, მაშინ კომპანიამ 109 თანამშრომელი უკან, რუსეთში დააბრუნა, მაგრამ მთავრობის გაფრთხილების მიუხედავად, ერაყის დატოვებაზე უარი განაცხადა.

# ახალი კანონპროექტი და ტყის ჩეხვაზე დაწესებული მორატორიუმი

*საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხე-ტყის გაჩეხვა - ერთი თვით, ხოლო სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე სამი თვით აიკრძალა. გარკვეულ რეგიონებზე დაწესდა შეზღუდვები. ახლო მომავალში პარლამენტი ხე-ტყის ექსპორტ-იმპორტის შესახებ კანონპროექტს განიხილავს. კანონპროექტის თანახმად, ხე-ტყის იმპორტზე ფასი დაიწევს, ხოლო ექსპორტზე იგივე დარჩება. სატყეო დეპარტამენტის უფროსი ბიძინა გიორგობიანი მიიჩნევს, რომ ექსპორტ-იმპორტის ფასების დაბალანსება რე-ექსპორტს შეუწყობს ხელს.*

თამარ დვალი

2004 წლის 12 მაისიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხე-ტყის გაჩეხვა - ერთი თვით, ხოლო სამცხე-ჯავახეთში სამი თვით აიკრძალა. შეზღუდვა დაწესდა რამდენიმე ობიექტზე. **"მორატორიუმის დროს გვინდა, გადავამოწმოთ ის ფირმები, რომლებიც გასული წლების განმავლობაში სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდნენ. მათ, ვისაც ტყის უკანონო ჩეხვისთვის წარსულში ჯარიმა ექნებათ გადახდილი, მომავალ ტენდერზე აღარ დავუშვებთ. ყველა ის სატყეო მეურნეობის დირექტორი, რომელიც დამალავს სიმართლეს და ცრუ ინფორმაციას მოგვაწოდებს, პასუხისგებაში მიეცემა. ხალხს ჰგონია, რომ სამცხე-ჯავახეთში ყველაზე მძიმე ვითარებაა, თუმცა მთელი ქვეყნის მასშტაბით იგივე სიტუაციაა. ახლახან უკანონოდ მოჭრილი რვა ათასი კუბური მეტრი ხის მასალა ამოვიღეთ. რაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე, არც ერთი საექსპორტო ლიცენზია არ გამიცია",** - აღნიშნა სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბიძინა გიორგობიანმა.

ტყის უნებართვოდ ჭრა კრიმინალური დანაშაულია, თუმცა დღევანდელი შესაძლებლობებით სატყეო დეპარტამენტს ამასთან ბრძოლა არ შეუძლია. როგორც სატყეო დეპარტამენტში აცხადებენ, 17 ლარზე მომუშავე მეტყევე, რომელსაც არანაირი ტექნიკური საშუალება არ გააჩნია, ტყეს ვერ დაიცავს. დღეისათვის არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები იმისა, თუ რამდენი ხე იჩეხება უკანონოდ. ოფიციალური მონაცემები და რეალობა ერთმანეთს არ შეესაბამება. ქვეყანაში არსებული კაბალური კანონი მეწარმეს ხელს აძლევს, ქვეყნიდან დიდი რაოდენობის ხის მასალა გაიტანოს. ხე-ტყის შემოტანა იმდენად ძვირი ჯდება, რომ მეწარმეს ურჩევნია, ადგილობრივი ტყით ისარგებლოს და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქრთამი იხადოს.

სატყეო დეპარტამენტში, სადაც ახალი კანონპროექტი შეიმუშავეს, მიიჩნევენ, რომ იმპორტზე დაწესებული გადასახადის შემცირება ქვეყანაში ხის მასალის შემოდინებას შეუწყობს ხელს. **"წლების განმავლობაში საქართველოში, თითქმის, არ ხდებოდა ხის მასალის შემოტანა. ამის მიზეზი არაჯანსაღი საგადასახადო სისტემა იყო. ექსპორტის დროს მეწარმეს 0,03 პროცენტს ახდევინებდნენ, იმპორტის დროს კი - 12 პროცენტს. ახალი კანონპროექტის თანახმად, ექსპორტ-იმპორტის გადასახადი გათანაბრდება და ორივე შემთხვევაში 0,03 პროცენტი იქნება. არის მეორე პროექტი - "ხე-ტყის საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბების შესახებ". საბითუმო ბაზარი ნედლეულზე მოთხოვნილებას დაარეგულირებს. მეწარმეს ტყეში წასვლა აღარ მოუწევს. ტყეში ის იმუშავებს, ვისაც სამსახურეობრივად მისი დაცვა ევალება. თუკი იგი თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად არ შეასრულებს, ადმინისტრაციული სასჯელი დაეკისრება",** - ამბობს გიორგობიანი.



გოჩიტა ბახაიძის ფოტო

*ტყეს ერთი თვე მოასვენებენ.*

მეწარმეები სატენდერო კომისიაზე ტყით სარგებლობის ლიცენზიებს იღებენ, რის საფუძველზეც, გარკვეულ ტერიტორიებზე განსაზღვრული რაოდენობის ხის მოჭრის უფლება ეძლევათ. ხშირ შემთხვევაში, მოცემული ადგილის ნაცვლად, ისინი მასალას სხვა ტერიტორიაზე მოიპოვებენ ან სოფლის მოსახლეობისგან იძენენ, რაც გაცილებით იაფი უჯდებათ. არიან პატიოსანი მეწარმეებიც, რომლებსაც სურთ, "თეთრად იმუშაონ". ისინი ითხოვენ, ხანგრძლივი სარგებლობის უფლებით შეინარჩუნონ ადგილი, რომელსაც მოუვლიან და ტყის სარეაბილიტაციო თუ აღდგენით სამუშაობსაც ჩაატარებენ. გიორგობიანი ასეთ მეწარმეებს ხელისშეწყობას ჰპირდება. განაშენიანებისთვის და ტყის აღდგენითი სამუშაოებისთვის, სამწუხაროდ, წლევანდელ სახელმწიფო ბიუჯეტში თანხა საერთოდ არ არის ჩადებული.

გამგებლებისა და სატყეო მეურნეობების დირექტორების აზრით, თუკი ბიუჯეტის შევსების ალტერნატიული წყარო მოინახება, რაიონებში ტყის ჩეხვაც შემცირდება. **"რაიონის ბიუჯეტის 80 პროცენტი ხე-ტყის შემოსავლით ივსება. ახლა გვპირდებიან, რომ გამგეობები ბიუჯეტის გეგმის შევსებას აღარ მოგვთხოვენ და გეგმის დადგენა ჩვენზე იქნება დამოკიდებული. ბევრჯერ ყოფილა, რომ სატყეო დეპარტამენტს სხვა გეგმა ჰქონდა, ბიუჯეტისთვის კი სხვა გეგმას გვაძლევდნენ",** - აღნიშნავს "24 საათთან" საუბრისას ხულოს სატყეო მეურნეობის დირექტორი თემურ ბოლქვაძე. იგი პირველი დირექტორია, ვინც შვიდი წლის განმავლობაში აჭარიდან თბილისის სატყეო დეპარტამენტში ჩამოვიდა; აქამდე რეგიონი ცენტრს არაფერს უთანხმებდა. ბოლქვაძის თქმით, თუ არ გაიხსნა რუსეთიდან შემოსასვლელი გზა და საბაჟო რეჟიმი არ გამარტივდა, ათ წელიწადში ხულოში ტყის გაქრობის საშიშროება დადგება. **"ენერგეტიკული კრიზისი, ბუნებივი აირის უქონლობა და ცალკეული პირების კერძო ინტერესები ხე-ტყის გაჩანაგებას უწყობს ხელს. ჩემი აზრით, უნდა შემცირდეს იმპორტზე დწესებული კაბალური გადასახადიც. 1995 წლიდან 2003 წლამდე აჭარაში რვაჯერ აიკრძალა და ცხრაჯერ დაიშვა ხე-ტყის ექსპორტი, ხოლო ტყეთმოწყობა 1993 წლის შემდეგ აღარ განხორციელებულა. ყოველი წვიმის მოსვლის დროს ხულოს მოსახლეობა მეწყერის საშიშროების წინაშე დგას. ამიტომ, საჭიროა, ზოგიერთი ადგილი ნაკრძალად გამოვაცხადოთ და ხის მოჭრა საერთოდ ავკრძალოთ. მარტო ხულოს რაიონში 50-მდე საჩეხია და ყველა უკანონოდ მუშაობს. სამწუხაროდ, ჩვენ მათი მუშაობის შეჩერების უფლება არ გვაქვს",** - განმარტავს იგი.

# რა პირობებში იკვებებიან ჩვენი შვილები

*თბილისის საკრებულოს ინიციატივითა და მონაწილეობით, განათლების საქალაქო სამსახურის მიერ შექმნილმა კომისიამ დედაქალაქის სკოლებში ბავშვთა კვებასთან დაკავშირებული საკითხები შეისწავლა. შესწავლილი მასალა რეაგირებისთვის განათლების საქალაქო სამსახურს გადაეცა. საქალაქო ბიუჯეტის დამტკიცებამდე, თბილისის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები ახალი ინიციატივით გამოდიან. ისინი ბიუჯეტში საბავშვო ბაღების კვების დაფინანსების გაზრდას არსებული 65 თეთრიდან ერთ ლარამდე ითხოვენ.*

თამარ დვალი

მუშა ჯგუფების მიერ წარმოდგენილმა მორიტორინგის მასალებმა უჩვენეს, რომ საშუალო სკოლების კვების ბლოკებში არსებული მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა. კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ: "სკოლების უმეტესობაში დარღვეულია სანიტარიული ნორმები; ხშირად სკოლებში მებუფეტეები სიტყვიერი შეთანხმებით მოჰყავთ მომწოდებლებს და მათ ანაზღაურებას პროდუქციაზე ფასების მომატებით ახდენენ; 55-ე სკოლაში კვების ბლოკი გადატიხრულია და საცხოვრებლად დათმობილი აქვთ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს; გარდა ამისა, აღნიშნულ ფართში გახსნილია საკანცელარიო ნივთების მაღაზია, ხოლო მებუფეტე გაფორმებულია სკოლის დარაჯადაც". ამ და კიდევ სხვა მრავალ დარღვევაზე მიუთითებდნენ კომისიის წევრები.

სკოლების უმრავლესობას პროდუქციის შეტანაზე ყველაზე მეტი პრეტენზია აქვს შპს "კვებსერვისი"-სა და შპს "ლომა"-ს მიმართ. 65-ე, 67-ე საშუალო სკოლებსა და მეცხრე გიმნაზიას ამარაგებს შპს "დავითი", რომელსაც თბილისის მერიის განათლების საქალაქო სამსახურის მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია. აღნიშნული სკოლები საკვები პროდუქტებით უნდა მოემარაგებინა ტენდერში გამარჯვებულ ფირმა "ექსპრესი 99"-ს, თუმცა, გაურკვეული მიზეზების გამო, იგი ჩაანაცვლეს. ეს არ არის გამონაკლისი და მსგავსი შემთხვევები სხვა სკოლებშიც ფიქსირდება.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ბაღებში ბავშვთა კვება გაუმჯობესდება.*

თბილისის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ იოსებ შატბერაშვილმა ქალაქის მთავრობასა და განათლების საქალაქო სამსახურს მდგომარეობის გამოსასწორებლად გარკვეული ვადა მისცა. მათ დაევალათ, შეიმუშაონ ახალი საკონკურსო პირობები, სადაც ნათლად იქნება აღწერილი სკოლის კვების მომმარაგებელ ორგანიზაციათა ვალდებულებები. სოციალურ საკითხთა კომისიის წევრების აზრით, განათლების საქალაქო სამსახური უნდა ახორციელებდეს გამარჯვებული ფირმების მიერ საკონკურსო პირობების დროული და ხარისხიანი შესრულების მუდმივ მონიტორინგს. უნდა ხდებოდეს სკოლების კვების ბლოკებში რეალიზებადი პროდუქციის ლაბორატორიული კვლევები.

რაც შეეხება საბავშვო ბაღებს, სახელმწიფო თითო ბავშვზე დღეში 65 თეთრს იხდის. თბილისის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია ამ თანხის ერთ ლარამდე გაზრდას ითხოვს. საქალაქო ბიუჯეტი ივნისის თვეში უნდა დამტკიცდეს. კომისიის წევრებს იმედი აქვთ, რომ მთავრობა მათ მოთხოვნებს გაითვალისწინებს. **"ბავშვების კვებისთვის დღეში 65 თეთრი არარეალური თანხაა და, გვინდა, იგი ერთ ლარამდე გავზარდოთ. ახლა წარმოვადგინეთ პროექტი და, იმედი გვაქვს, რომ ბიუჯეტში ამ თანხას ჩადებენ. ჩვენ, ასევე, ვაყენებთ სასწავლო დაწესებულებებში მომსახურე მედ-პერსონალის ხელფასის გაზრდის საკითხსაც. როდესაც ექიმს 22 ლარი აქვს ხელფასი, არ შეიძლება, მას მოსთხოვო სამსახურში ყოველდღე სიარულიც კი",** - ამბობს განათლების საკითხების კურატორი გია მურღულია. მისივე თქმით, იმ პედაგოგებს, რომლებსაც გაზის 50-ლარიანი ვაუჩერები არ აუღიათ, ვაუჩერები ორ კვირაში დაურიგდებათ.






# ბიბლიოთეკების გასაჭირი

*რუსთავში, თუმცა უხმაუროდ, მაგრამ მაინც შედგა და ჩათავდა ბიბლიოთეკების კვირეული. წიგნსაცავები განსაკუთრებით დეკემბერ-იანვარსა და მაის-ივნისში ივსება ხოლმე გოგო-ბიჭებით, ანუ მაშინ, როცა გამოცდების "ციებ-ცხელება" ახლოვდება. მართალია, წიგნი ჩვენი დროისთვის ცოდნის მიღების ოდნავ "ძველმოდურ" საშუალებად იქცა და ახალგაზრდობის უმეტესობა მას ამრეზით უყურებს, მაგრამ მაინც გვყავს ბევრი ახალგაზრდა, რომელთათვისაც წიგნიერება მთავარია და ბიბლიოთეკაც ერთ-ერთი აუცილებელი დამხმარე პირობაა განათლების მისაღებად.*

ნონა ყანჩაველი

ერთ მათგანს რუსთავის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში წიგნზე თავდახრილს მივადექით და ცოტა ხნით კითხვა შევაწყვეტინეთ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ნინო წიკლაური სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში აპირებს. უკვე დიდი ხანია, ამ ბიბლიოთეკას სტუმრობს. **"რა თქმა უნდა, ყველა საჭირო წიგნი არ არის აქ,** - ამბობს იგი, - **მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან ძირითადი ლიტერატურა აქვთ. ყოველთვის ვერ შეძლებს კაცი წიგნისთვის თბილისში ჩასვლას. ამას დრო მიაქვს, ხარჯებთანაა დაკავშირებული. საკითხავი ლიტერატურის სახლში წაღება შეიძლება, სამეცნიეროსი - არა, ეს ცუდია, მაგრამ რას იზამ."**

ნინოს, თურმე, ხშირად უოცნებია კარგ ბიბლიოთეკაზე და ქალაქში მდიდარი ბიბლიოთეკის გამართვის სურვილიც აქვს, ოღონდ, ყველაფერი ეს, ჯერჯერობით, მხოლოდ ლამაზი ოცნებაა. ნინოს სურვილია, ქალაქში ერთი, მაგრამ კარგი ბიბლიოთეკა იყოს, ისთი, თანამედროვე სტანდარტებს რომ დააკმაყოფილებს - ძირითადი ჟურნალ-გაზეთებით, ახალი სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურითა და, სულ მცირე, ორი კომპიუტერით მაინც: **"ამხელა ქალაქია. ამდენი სტუდენტი ცხოვრობს და ერთი კარგი ბიბლიოთეკა მაინც გვქონდეს. ყოფილა შემთხვევა, ერთი წიგნისათვის რუსთავის ყველა ბიბლიოთეკა მომივლია და არსად აღმოჩენილა. აი, ახლაც სოსიურის სამეცნიერო წიგნი მჭირდება, მაგრამ აქ არც მიძებნია, დარწმუნებული ვარ, ამაოდ გავირჯები."**

რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, თვით ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაშიც კი, თითქმის ათი წელიწადია, ახალი წიგნი არ შესულა. ამ წლების განმავლობაში კი, ჩვენი თუ სხვა ქვეყნების ეკონომიკაში, მედიცინასა თუ სხვა დარგებში ბევრი რამ შეიცვალა და უამრავი ახალი წიგნიც გამოიცა.

**"ძალიან დამცირებულად ვგრძნობ თავს, როცა მკითხველს დახმარების ხელს ვერ ვუწვდი,** - წუხს რუსთავის ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზის მთავარი ბიბლიოთეკარი თამარ ქუჩუკიძე, - **მხოლოდ ფილოლოგებს თუ ვეხმარებით, ისიც - ნაწილობრივ. ეკონომისტების, იურისტებისა და სხვათათვის გამოსაყენებელი აუცილებელი ლიტერატურაც კი იშვიათად მოგვეპოვება. ჩვენს თაროებზე შეგიძლიათ ნახოთ პოლიტეკონომიკური და პოლიტოლოგიური ხასიათის წიგნები. ის წიგნები, რომლებიც გვქონდა, უკვე დაძველდა, გაიცრიცა, დაიხა ან დახიეს. პერიოდიკა ხომ სულ მთლად წყალწაღებულია. წიგნის უქონლობამ მკითხველიც დაგვაკლო. ადრე თუ ათას ხუთასზე მეტი აბონენტი გვყავდა, ახლა სულ შვიდასამდეა შემორჩენილი. ისინიც ხანდახან თუ შემოიხედავენ ჩვენს გაყინულ და ნესტიან დარბაზებში."**

უკეთესი მდგომარეობა არც მხატვრული ლიტერატურის მხრივ არის. აქაც ძველი წიგნები სჭარბობს და, წამლად რომ გინდოდეს, არც ერთი ახალი გამოცემა არ მოიპოვება. არადა, წიგნების მაღაზიას რომ ჩაუვლი, თვალებს აგიჭრელებს ნაირნაირი ლამაზად გაფორმებული ნათარგმნი თუ ორიგინალური ლიტერატურა. მათ გვერდით ჩვენი ბიბლიოთეკები ობოლ, ფერყვითელა, დამშეულ და ჩამოძენძილ ბავშვებს გვანან.

სტრუქტურულად, ბიბლიოთეკები ქალაქის კულტურის განყოფილებას ეკუთვნიან. ამ განყოფილების ხელმძღვანელი მაია ტაბაღუა მხოლოდ წიგნების ნაკლებობას არ უჩივის.

**"გარდა წიგნების ნაკლებობისა,** - გვითხრა მან, - **ქალაქის ბიბლიოთეკებს შემინვის პრობლემაც აქვს, ესაჭიროებათ რემონტიც. მოგეხსენებათ, ყველაფერი ეს დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. გვინდა, მათ როგორმე მეტი დახმარება აღმოვუჩინოთ, მაგრამ, როგორც იტყვიან, თავს ზევით ვერ ახტები. შედარებით მეტ ყურადღებას პერიოდიკას ვაქცევთ. მინდა, ცენტრალური ბიბლიოთეკის კომპიუტერიზაცია მაინც მოხდეს, მაგრამ, რამდენ ხანში შევძლებთ ამის გაკეთებას, ნამდვილად არ ვიცი. უნდა ვთქვა, რომ ჩვენს ბიბლიოთეკარებს საკმაოდ ცუდ პირობებში უწევთ მუშაობა, მაგრამ უყვართ თავიანთი საქმე და ყველანაირად ცდილობენ "ბიბლიოთეკური ცხოვრება" გაილამაზონ. ხშირად ეწყობა ამა თუ იმ ბიბლიოთეკაში გამოფენები და სხვა კულტურული ღონისძიებები."**

ამ ქალბატონთან საუბარმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ "შეჩერებული წამის ასოციაციაში" ყოფნა კარგა ხანს მოუწევთ. საკითხავია, როდემდე შეძლებენ აქ არსებული წიგნების შენახვასა და დაცვას ბიბლიოთეკები (სხვათა შორის, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჯერ კიდევ აქვთ რამდენიმე უნიკალური წიგნი) და რამდენად ღირებული იქნება მათი ფუნქციონირება ახალი წიგნების გარეშე?




# შიდა ქართლის გუბერნატორზე თავდასხმა ტერაქტად შეფასდა

*შიდა ქართლის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულ მიხეილ ქარელს ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მილიციისათვის ნათქვამი მადლობის უკან წაღება მოუწევს. გუბერნატორის მადლიერება მეზობელმა სამართალდამცველებმა რამდენიმე დღის წინ ქარელზე მომხდარი თავდასხმის გახსნისას გამოჩენილი ოპერატიულობისთვის დაიმსახურეს, მაგრამ, როგორც ჩანს, მადლობა ნაადრევი აღმოჩნდა.*

თამარ კაციტაძე

როგორც უკვე ცნობილია, რამდენიმე დღის წინ, კონტრაბანდისტების წინააღმდეგ მებრძოლთა შესამოწმებლად ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე გასულ პრეზიდენტის რწმუნებულს ოსმა მილიციონერებმა გზა გადაუღობეს და ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს. ტყვია ქარელის ავტომანქანას მოხვდა, თუმცა ტრანსპორტში მყოფი მგზავრები არ დაზიანებულან.

მომხდარიდან რამდენიმე საათში მიხეილ ქარელმა პრესკონფერენცია გამართა და ოფიციალურად განაცხადა, რომ ოსმა სამართალდამცველებმა ორი თავდამსხმელი მილიციელი დააკავეს. გუბერნატორის მტკიცებით, ეს ის ოსი კანონდამცველები არიან, რომლებიც უშუალოდ მფარველობენ კონტრაბანდისტებს.

მოგვიანებით, ოსი მილიციელების დაკავების შესახებ ინფორმაცია დაადასტურა როგორც შიდა ქართლის პოლიციის უფროსმა ალექსანდრე სუხიტაშვილმა, ასევე ე.წ. სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ. გუბერნატორზე თავდამსხმელები სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლები ჯიოევი და ელბაკიევი აღმოჩნდნენ.

იმ დროს ოსი სამართალდამცველების მიერ გადადგმული ნაბიჯი ქართულმა მხარემ კეთილ ნებად და დამნაშავეებთან ერთობლივი ბრძოლის შესახებ დადებული ხელშეკრულების შესრულების ფაქტად შეაფასეს. მაგრამ დღეს ყველაფერი საწინააღმდეგოდ შეტრიალდა.

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამართალდამცველებმა შიდა ქართლის გუბერნატორზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის ფაქტი კატეგორიულად უარყო.

**"24 მაისს ერგნეთის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ცხინვალთან ახლოს, ოსური მილიცია დიდი სისწრაფით მიმავალი ავტომანქანის გაჩერებას ცდილობდა, მაგრამ მძღოლი მათ მოთხოვნას არ დაემორჩილა. ამის შემდეგ, მილიციის თანამშრომლებმა გამაფრთხილებელი გასროლა მოახდინეს, თუმცა მანქანა ასევე სწრაფად მობრუნდა უკან და გორის მიმართულებით წავიდა",** - ირწმუნება ცხინვალის შს სამინისტრო და საკუთარი თანამშრომლების დაკავების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს. მეტიც, ოსური მხარე გაოცებული კითხულობს: **"რატომ დასჭირდა ოფიციალურ პირს კონფლიქტის ზონაში ინკოგნიტოდ, გაუგებარი ინსპექტირების ჩატარება და სიტუაციის დაძაბვა?"** ოსი სამართალდამცველების პოზიციის შეცვლა ნამდვილად ბევრ კითხვას ბადებს, რასაც მომავალში პასუხი უნდა გაეცეს. თუმცა, ამ ეტაპზე ოსი კანონდამცველების საქციელს ალექსანდრე სუხიტაშვილი მარტივად ხსნის: **"თავისთავად ცხადია, სკანდალში გახვევა არ სურთ", -** ასეთია შიდა ქართლის პოლიციის უფროსის კომენტარი.

ამასობაში, შიდა ქართლის სამხარეო პროკურატურამ გუბერნატორზე მომხდარი შეიარაღებული თავდასხმის ფაქტს ტერაქტის კვალიფიკაცია მისცა და საქმე შემდგომი გამოძიებისთვის, ქვემდებარეობიდან გამომდინარე, უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილს გადაუგზავნა.

**"საქმესთან დაკავშირებით საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პროკურატურამ სათანადო მუშაობა უკვე ჩაატარა. გაცემულია სპეციალური დავალებები ოპერატიულ სამსახურებზე", -** განცხადა ჩვენთან საუბარში შიდა ქართლის რეგიონის პროკურორმა დავით წითურმა.

რამდენად პერსპექტიული იქნება აღნიშნული საქმის გამოძიება და, მით უმეტეს, შესაძლებელი გახდება თუ არა დამნაშავეებისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება, ძნელი სათქმელია. მიხეილ ქარელზე მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით ოსი სამართალდამცველების პოზიციას რომ თავი დავანებოთ, დღემდე არავის ახსოვს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას ქართული მხარისთვის რომელიმე დამნაშავე გადმოეცა.



ავტომობილი, რომელზეც ტერაქტი განხორციელდა.


ნატყვიარი მარცხენა უკანა ფრთაზე.

# დედოფლისწყაროში საშინელი დანაშაული მოხდა

*დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში მომხდარმა საზარელმა ტრაგედიამ სოფლის აღშფოთებული მოსახლეობა სამართალდამცველებთან მიიყვანა. სოფლის მოსახლეობამ კოტაშვილების ოჯახში მომხდარი შემზარავი ფაქტი გააპროტესტა. "იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცველები საქმეს სასწრაფოდ და ობიექტურად არ გამოიძიებენ, დამნაშავეს თავად დავსჯით," - ასეთია აღშფოთებული მოსახლეობის ულტიმატუმი. საქმე ისაა, რომ კოტაშვილების ოჯახში ახალშობილი საპირფარეშოში ჩააგდეს. ბავშვის დედა, 31 წლის მაია კოტაშვილი მომხდარს სულით ავადმყოფ ბებიას აბრალებს, პოლიციას მისი ეს ვერსია საეჭვოდ მიაჩნია.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

როგორც ირკვევა, მაია კოტაშვილმა ახალშობილის თავიდან მოშორება გადაწყვიტა. მან მოხუცი ბებიის, 80 წლის ანეტა კოტაშვილის დხმარებით, პატარა არსება სიცოცხლეს გამოასალმა. ეს ამბავი დღემდე გაუხმაურებელი იქნებოდა, რომ არა მათთან სტუმრად შესული მეზობელი. იგი კოტაშვილების ოჯახში მაშინ მივიდა, როცა მაიას მეუღლე ზურაბ კოტაშვილი გარდაცვლილ ჩვილს საპირფარეშოდან იღებდა, რათა ახალშობილი დაეკრძალა. პოლიცია შემთხვევის ადგილზე მალევე გამოცხადდა. თუმცა, ძალოვანები სიმართლის გარკვევას დღემდე ვერ ახერხებენ.

საგულისხმოა, რომ მაია კოტაშვილმა სახლში იმშობიარა. როგორც იგი ირწმუნება, ამ დროს, მის გარდა, ოჯახში მხოლოდ ფსიქიკურად ავადმყოფი ბებია იმყოფებოდა და ეს ვანდალური ქმედება მან ჩაიდინა: **"ეზოში საქმეს ვაკეთებდი, როცა მშობიარობის პროცესი დამეწყო და გავითიშე. გონს რომ მოვეგე, მოხუცმა ბებიამ მითხრა: ბავშვი არ სუნთქავდა და ტუალეტში ჩავაგდეო",** - ამბობს მაია კოტაშვილი.

ეს ფაქტი, ალბათ, დასაჯერებელი იქნებოდა, რომ არა ერთი დეტალი. მაია კოტაშვილის მტკიცებით, თურმე, მან არ იცოდა, რომ ფეხმძიმედ იყო, რასაც ჩვენთან შეხვედრისას ოჯახის ყველა წევრი ადასტურებს. სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ მოხუცმა ახალშობილი დედის დავალებით ჩააგდო საპირფარეშოში. **"სიმართლე მალე დადგინდება, ამჯერად მიმდინარეობს ექსპერტიზა და გაირკვევა, ბავშვი მართლაც მკვდარი დაიბადა თუ ცოცხალი, თუმცა ვერც ერთ შემთხვევაში მაია კოტაშვილი თავს ვერ იმართლებს. მომხდარის გამო მან პასუხი უნდა აგოს. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოძიებას ამ საქმესთან დაკავშირებით ბევრი ეჭვი აქვს. თუნდაც ის, რომ მაია და ანეტა კოტაშვილების ჩვენება ერთმანეთს არ ემთხვევა,"** - ამბობს დედოფლისწყაროს პროკურორი გოჩა ჯანყარაშვილი.

მომხდარს მეზობლები იმით ხსნიან, რომ კოტაშვილები ძალზე გაჭირვებულები იყვნენ, თუმცა ამ არგუმენტით სოფლის უმრავლესობა მომხდარ ტრაგედიას მაინც ვერ ამართლებს და რეალობის დადგენის შემთხვევაში დამნაშავის დასჯას თავად აპირებს.

**"როგორ შეიძლება ცოცხალ არსებას ასე მოექცე. ან როგორ შეიძლება ისაუბრო გაჭირვებაზე? მე თავად მრავალშვილიანი მამა ვარ, ჩემთან მოეყვანათ, მე გავუზრდიდი",** - ამბობს დურმიშხან ჯამალაშვილი.

სოფელ არბოშიკში მომხდარი დანაშაულის მოკვლევას რაიონის პროკურატურა აწარმოებს. იმ შემთხვევაში, თუ მაია კოტაშვილს დანაშაული დაუმტკიცდა, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 128-ე მუხლით აღიძვრება.

# უკანონო ფორმირებების თავკაცები დააკავეს

ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოწყობილი ფართომასშტაბიანი ოპოზიციური მიტინგების დარბევებში მონაწილეები, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ შარაბიძეებში მცხოვრები აბდულ ზოიძე და რევაზ თაბაგიძე სამართალდამცველებმა გუშინ დააკავეს. როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადეს, აბდულ ზოიძე და რევაზ თაბაგიძე უკანონო შეიარაღებული სახალხო ფორმირებების ხელმძღვანელები არიან და სწორედ მათი უშუალო მონაწილეობითა და მითითებებით ხდებოდა ასლან აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ გამართული მიტინგებისა და შეკრებების დარბევა. ორივე მთგანის მიმართ უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიება სასამართლოს მათთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით დღეს მიმართავს. სავარაუდოდ, მიტინგების დარბევის ბრალდებებს სხვა მძიმე ბრალდებაც დაემატება, რადგან, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელმა განგვიცხადა, **"თაბაგიძის საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, მისაღები ოთახიდან სამართალდამცავებმა ამოიღეს 14 ამპულა დიმედროლი, სახლის სხვენიდან ამოიღეს სამხედრო დანიშნულების მოწყობილობა , "ტკნ-1", ხოლო სახლის ქვემოთ მდებარე მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე პოლიციამ შავი ფერის პოლიეთილენის პარკში თოკით შეკრული ორი ჩანთა იპოვა, რომლებშიც "კალაშნიკოვის" ავტომატები ეწყო. ნაპოვნია ასევე, 8 მჭიდი, 266 ვაზნა, და ერთი "რგდ" ტიპის ხელყუმბარა თავისი დეტონატორით. "რგდ"-ს ტიპის ხელყუმბარა, თავისივე დეტონატორით, სამართალდამცველებმა აბდულ ზოიძის სახლიდანაც ამოიღეს".**

ერთი სიტყვით, აჭარაში მოქმედი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების თავკაცები, რომლებიც ოპოზიციურ მიტინგებს ქვეშევრდომებთან ერთად სხვადასხვა მეთოდით არბევდნენ და შლიდნენ, წინასწარი დაკავების საკნებში იმყოფებიან.

*24 საათი*

# ნუმიზმატი ექვმიტანილი დანაშაულს აღიარებს

გუშინ დილით, ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლებმა რამდენიმე დღის წინ დადიანების სასახლის საგამოფენო დარბაზიდან გამქრალი 5 მონეტა იპოვეს. დადიანების სასახლიდან მოპარული მონეტები თენგიზ ბერულავას საცხოვრებელ სახლში აღმოაჩინეს. თენგიზ ბერულავა დაკავებულია. როგორც პოლიცია აცხადებს, მან დანაშაული უკვე აღიარა. როგორც ზუგდიდის პოლიციის უფროსი კახა რაფავა აცხადებს, დაკავებული თენგიზ ბერულავა ნუმიზმატია. "მონეტები, რომლებიც ძვირფასი მეტალებისგან არ არის შემდგარი, მხოლოდ ჩემი კოლექციის გასამდიდრებლად მჭირდებოდა", - ასეთი ჩვენება მისცა სამართალდამცველებს დაკავებულმა. ზუგდიდის პოლიციის უფროსი ეჭვობს, რომ ბერულავას არაჯანსაღი ფსიქიკური მდგომარეობა აქვს და მას სასამართლო-სამედიცინო შემოწმება ესაჭიროება.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ოზურგეთი.** ოზურგეთის პოლიციამ სოფელ შემოქმედის მკვიდრი ლევან იორაშვილი დააკავა. დაკავებულს ჩხრეკისას "კოლტის" სისტემის მაყუჩიანი იარაღი, "მაკაროვის" 4 ვაზნა, ტყვიამფრქვევის ლულა და საბრძოლო იარაღის სხვა სათადარიგო ნაწილები აღმოაჩნდა. პოლიცია ვარაუდობს, რომ დაკავებული აღნიშნული იარაღით სოფელ შემოქმედის კრიმინალურ დაჯგუფებებს ამარაგებდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ოზურგეთის საგამოძიებო განყოფილება იძიებს. თავად დაკავებული მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს. პოლიციის მონაცემებით, სოფელი შემოქმედი, კრიმინოგენული თვალსაზრისით, გურიის მხარეში ყველაზე არაკონტროლირებად დასახლებულ პუნქტად ითვლება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის დამზადებისთვის და გადასახადისთვის თავის არიდებისთვის მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს მიერ ძებნილი, 47 წლის ნიკოლოზ კირვალიძე დააკავეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში მცხოვრები, 48 წლის ლევან იორაშვილი, მეტსახელად "ბუჩუკი", რომლისგანაც ამოიღეს უნომრო მაყუჩიანი პისტოლეტი "მაკაროვი" მჭიდით, სამი ვაზნით, ლულით და უნომრო რევოლვერი "კოლტი". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ თბილისში, ვერის სასაფლაოზე დააკავა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, ნასამართლევი, 34 წლის თეიმურაზ თოლორდავა, რომლისგანაც ამოიღეს 0.0032 გრ სუბოტექსი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ახალციხე.** სამცხე-ჯავახეთის მთავარმა სამმართველომ და ადიგენის პოლიციამ 25 მაისს, ერთობლივი ძალისხმევით ფართო ოპერატიული ღონისძიება ჩაატარეს, რის შედეგადაც ადიგენის რაიონის მოხის ხეობაში დაკავებული იქნა რვა უსაბუთო და უნომრო ავტომანქანა, რომლებიც, ძირითადად, უკანონო ხე-მასალის გასატანად გამოიყენება. ამავე დღეს, სოფელ მოხისში სხვადასხვა საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული იქნა 8 ცალი არარეგისტრირებული სანადირო თოფი, სოფელ კეხოვანში კი დაკავებული იქნა ასლან ირემაძე, რომლის სახლიდანაც ამოღებული იქნა "ფ-1" ტიპის ორი ცალი ხელყუმბარა და 14 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება. აღნიშნულ ფაქტებზე მოკვლევას აწარმოებს სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველო. როგორც სამმართველოს უფროსი ლევან ხოზრევანიძე აცხადებს, მსგავსი ღონისძიებები სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ექვსივე რაიონშია დაგეგმილი. **ინტერ-პრესი**




# 26 მაისი, 2004











მარიკა ამირხანაშვილის, გიორგი ბახტაძის და ირაკლი ლაზარაშვილის ფოტოები

www.24hours.ge 24 B

# ჩვენი დროის ალქიმიკოსები

*ზარაფხანაში მკაცრად გამაფრთხილეს, რომ "ოქროს ბირჟაზე" არავინ დამელაპარაკებოდა და სიმართლეს ვერ დავადგენდი. იგივე მითხრეს "ოქროს ბირჟაზეც", ოღონდ - ზარაფხანის შესახებ. ჰოდა, მეც მივხვდი: საქმე გაცილებით რთულადაა, ვიდრე წარმომედგინა და ჩემი უწყინარი განზრახვა, ყურადღება საიუველირო ნაწარმის მხატვრულ მხარეზე გამემახვილებინა, გვერდზე უნდა გადამედო. სად მზადდება, იყიდება და ისინჯება ოქროს ნაკეთობები, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ერთი მარშრუტის ათვისებას გთავაზობთ.*

სოფიო თოდუა


ოქროს ბირჟა


ოქრომჭედელი

### ფულს ფული მოაქვს

ზარაფხანას არაფერი აქვს საერთო არც ჰარამხანასთან, არც სირაჯხანასთან და არც ჩაიხანასთან. ზარაფხანა ის ადგილია, სადაც ფულს ჭრიან ან ახურდავებენ. სხვათა შორის, ეროვნულ ზარაფხანასაც არანაირი კავშირი არა აქვს ფულთან, რადგან ქაღალდის ფული ევროპაში იბეჭდება: ლარიანები, ორლარიანები და ხუთლარიანები ჰოლანდიაში, ათი და ოცლარიანები - ავსრტიაში, უფრო მსხვილი კუპიურები, ორმოცდაათი და ასლარიანები, - საფრანგეთში. რაც შეეხება ქართულ თეთრებს, ისინიც საფრანგეთში იჭრება. იმისათვის, რომ ფული საქართველოშიც დაიბეჭდოს და მოიჭრას... საჭიროა ფული - დაახლოებით ორმილიონნახევარი დოლარი. ეს თანხა სახელმწიფოს არა აქვს და უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული ლარებისა და თეთრების "იმპორტი" გაცილებით იაფი ჯდება. ასე და ამრიგად, ზარაფხანა ჯერჯერობით ჩვეულებრივი საიუველირო ქარხანაა და როგორც ყველა სახელმწიფო საწარმოს, მასაც მძიმე პირობებში უხდება მუშაობა. ყოფილი დირექტორი მთელი თავისი ავლა-დიდებით წარსულს ჩაბარდა, მაგრამ დავიწყებას არ მისცემია ის მძიმე წლები, აქაურობას დღემდე ტვირთად რომ აწევს. ეს ის დროა, როცა კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან იმდენად მოდუნებული იყო, რომ ზარაფხანაში ოქროს ნაკეთობებს ერთი სართულიდან მეორეზე ვედროებით ეზიდებოდნენ და ნახევარი გზაში ეკარგებოდათ. ეს, სხვათა შორის, ის დროცაა, როცა შეიძლებოდა ზარაფხანის კუთვნილი ტერიტორია, 2,5 ჰექტარი მიწა, საწესდებო კაპიტალში არ ჩადებულიყო და საჭიროების შემთხვევაში საჭირო ხალხზე გასხვისებულიყო. სახელმწიფო შეკვეთებზეც ფასი სურვილისამებრ იდებოდა. ასე მაგალითად, პარლამენტარების სამკერდე ნიშნები, რომლის დამზადებაც, დაახლოებით, 65 ლარი ჯდებოდა, სულ რაღაც 90 ლარად შეფასდა. წარმომიდგენია, რა ფასები ედებოდა ძვირფასი სტუმრებისთვის განკუთვნილ ძვირფასსავე საჩუქრებს, უმთავრესად ეროვნულ მოტივებზე შექმნილ სამშვენისებს, რომლებიც ქართული გამოყენებითი ხელოვნების ხარისხზე არცთუ კარგად მეტყველებს და რომ არა პროტოკოლით გათვალისწინებული რევერანსები, ამ სუვენირებს მაღალი სტუმრები ვერ მოიწონებდნენ.

პრეტენზია, რომელსაც ზარაფხანის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე სახელმწიფოს უყენებს, ასე იკითხება: "ჩვენ არაკონკურენტუნარიან გარემოში მუშაობა გვიწევს". ეს კი უპირველესად იმას ნიშნავს, რომ მაკონტროლებელი ორგანოები (რა ჩამოთვლის!) აქაურობას იმდენად ხშირად სტუმრობენ, მათ საგანგებო ოთახიც კი გამოუყვეს. სწორადაც მოიქცნენ - როცა 40 თვის განმავლობაში 26 თვე ერთ საწარმოს ამოწმებ, კომფორტული გარემოს შექმნა მათლაც აუცილებელია.

იმისათვის, რომ ზარაფხანამ არ მოჭრას ფული, მაგრამ შექმნას საიუველირო ნაწარმი ... საჭიროა ოქრო. ამ ოქროს ზარაფხანა ყიდულობს, ოღონდ რამდენს, ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება (დაუზუსტებელი ინფორმაციით, სადღაც 50 კილოგრამამდე). სამაგიეროდ ვიცით, რომ ზარაფხანის ნაკეთობები ძვირია და არც იმდენად კარგი, მყიდველი რომ დაესიოს. სხვა საქმეა, რამდენად სანდოა აქ დამზადებული საიუველირო ნაწარმი. ამთავითვე ვიტყვი, სანდოა, მაგრამ ერთი კითხვა მაინც ჩნდება: თუ ზარაფხანაში ფული არ იჭრება და ის ჩვეულებრივი საიუველირო ქარხანაა, ან ეროვნულ ზარაფხანად რატ-ომ მოიხსენიება, ან სახელმწიფოს რისთვის სჭირდება წამგებიანი საიუველირო ქარხანა, როცა ქვეყნის ოქროთი მომარაგებას არასახელმწიფო სექტორიც მშვენივრად ახერხებს? მაგრამ ის მაინც არსებობს და დავალიანების მიუხედავად, ბოლო დროს ამ თუ იმ ღონისძიების სპონსორთა ჩამონათვალში ეროვნული ზარაფხანაც სახელდება. მეტიც, მათი პროდუქცია რუსეთსა და ყაზახეთში იგზავნება, ხოლო მათ მიერ ბიუჯეტში შეტანილი თანხა 2001 წელს მთელი საიუველირო სფეროს შენატანის 60 პროცენტს შეადგენდა, 2002 წელს - 94%-ს, 2003 წელს - 98 %-ს. სხვას რამდენი შეაქვს ბიუჯეტში, ეს ციფრი არათუ ჩვენთვის, შესაბამისი სტრუქტურებისთვისაც უცნობია და უსახსრობის გამო კიდევ დიდხანს იქნება დაუდგენელი. კანონი ზარაფხანას კერძო შეკვეთების მიღებას არ უკრძალავს, ახლა უკვე ნებადართულია ოქროს შესყიდვა კერძო პირებისგან. რატომ ჩააბარებს მოსახლეობა ოქროს მაინცდამაინც ზარაფხანას, ამის თქმა ძნელია, მით უფრო, არსებობს უფრო იოლი გზა: მიაკითხო "ოქროს ბირჟას", სალომბარდო განყოფილებას ბანკში ან სულაც ვალუტის გადამცვლელ ჯიხურს. მანამდე კი აქ დამზადებული ნაწარმი ისევ ძვირი ღირს და მათი შეძენა ან თავად ზარაფხანის სალონში იქნება შესაძლებელი, ან საქართველოში გაბნეულ 10 ქვეკონტრაქტორ მაღაზიაში. თუ ზარაფხანის ნაწარმს სხვაგან შემოგთავაზებენ, იცოდეთ, გატყუებენ და თქვენი გულუბრყვილობით სარგებლობენ.

### "საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი - შიგ ჩასმული ბადახში"

ოქროს ნაკეთობები აღარ იყიდება მშრალ ხიდზე ან დახლს ქვემოდან უნივერმაღებში. თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ რამდენიმე საიუველირო სალონს, ძვირფასი სამკაულების დიდი ნაწილი თავს ოქროს ბირჟებზე იყრის, ასე რომ, კითხვაზე - კარგია თუ არა ასეთი ბირჟების არსებობა, - პასუხი ერთია: ცუდი რატომაა, ქუჩაში ვაჭრობას აღარ სჯობია?! მარტო თბილისში ათამდე ოქროს ბირჟაა, მათგან ხუთი ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზეა. ამას ემატება რამდენიმე პუნქტი მეტროპოლიტენის სადგურებში და სკამზე დასკუპებული რამდენიმე ქალბატონი ქალაქის მიწისქვეშა გადასასვლელში თავისუფლების მოედანზე. ზარაფხანისაგან განსხვავებით, ბირჟა სხვა კანონებით ცხოვრობს და, შესაბამისად, ლაპარაკი სხვა პრობლემებზე მოგვიწევს. აქაურ დილერებს უმთავრესად ვაჭრობისათვის განკუთვნილი ფართის განსაზღვრა ადარდებთ. ეს ფართი დღევანდელი კანონმდებლობით 5 კვადრატული მეტრით განისაზღვრება. როცა კარტოფილს ან კომბოსტოს ყიდი, იქნებ 5 კვადრატულ მეტრს ვერც კი გასწვდე, მაგრამ ამ ფართის საიუველირო ან ანტიკვარული ნივთებით ათვისება ერთი კაცისთვის წარმოუდგენელია. ამიტომაც ერთ მონაკვეთზე ოთხი-ხუთი კაცი ვაჭრობს. გადასახადები ასეა გადანაწილებული: 492 ლარი - იჯარის ქირა, 50 ლარი - სეიფის გადასახადი და მოგების 51 %. ამას ემატება ყველა ის წვრილ-წვრილი თუ მსხვილმსვილი არაოფიციალური მოსაკრებელი, რის გამოც დილერებისთვის ოქროთი ვაჭრობა ბოლო დროს წამგებიანი გახდა. ამას დაუმატეთ ამინდის ცვალებადობა, რაზეც დიდადაა დამოკიდებული ბირჟის საქმიანობა. მაღალი და დაბალი წნევის მონაცვლეობა ოქროს ბირჟებზე ასე აისახება: ზამთარში, განსაკუთრებით მარხვის დროს, ქორწილები ნაკლებია და საჩუქრებსაც იშვიათად ყიდულობენ. ზარალის ანაზღაურება გაზაფხულსა და შემოდგომაზე ხერხდება, როცა საქორწინო ბეჭდებს მასწავლებლებისა და რეპეტიტორებისთვის მისართმევი საჩუქრებიც ემატება. ყველაზე დიდი "ოქროს ბირჟა" შ.პ.ს "რინოა". ის რკინიგზის სადგურის მეორე სართულზეა განთავსებული და კარგად შერჩეული ადგილისა თუ ფართო ასორტიმენტის მიუხედავად, ცარიელ დახლებს აქაც შეამჩნევთ. საინიციატივო ჯგუფი ახალ ხელისუფლებას ახალ გარიგებას სთავაზოს და ფიქსირებულ გადასახადსა და სავაჭროდ ნახევარი კვადრატული მეტრი ფართის დაწესებას ითხოვს. თუ ხელისუფლება ამ გარიგებაზე წავა, მოვაჭრეებს დაახლოებით 300 ლარის გადახდა მოუწევთ, მაგრამ ეს თანხა აუცილებლად მოხვდება ბიუჯეტში. ახალი წესების დადგენა არათუ ოქროს ბირჟებზე, სხვაგანაც აუცილებელია, მაგრამ ისე, რომ ურთიერთობა კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის ჯანსაღი კონკურენციის პრინციპებს შეესაბამებოდეს. სხვაგვარად ერთი და იგივე ხარისხის ნაკეთობა ოქროს ბირჟებზე კვლავ იაფი იქნება, ზარაფხანაში დამზადებული კი - ისევ ძვირი. რაც შეეხება ნაკეთობებს, აქ უმთავრესად მდარე ხარისხის ნაწარმი იყიდება, თუმცა ბირჟების დილერებმა ოქროს ფასი ნამდვილად იციან. გემოვნებიან და შეძლებულ კლიენტებს (ასეთებიც არიან) ისინი ძვირფასი ნივთების მხოლოდ ფოტოებს სთავაზობენ და მათ გამომზეურებას დახლებზე გასაგები მიზეზების გამო ერიდებიან. სამაგიეროდ, საქონლის რეკლამირებისას არ ავიწყდებათ, ესა თუ ის საიუველირო ნაკეთობა რუსულ ოქროდ გაასაღონ. დასანანია, მაგრამ ფაქტია: კარგი იუველირების ადგილი არც ოქროს ბირჟებზეა და არც ზარაფხანაში. ბაზრის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, მათაც უსახური სამკაულების დამზადებას მიჰყვეს ხელი. აქედან გამომდინარე, ვერ იტყვი, რომ ქართველი ოქრომჭედლების ბედი ძალიან არ დაჰყურებს.

### ოქროს ბრუნვა საქართველოში

ბირჟაზე არა მარტო ოქროს ნაწარმი, ოქროც იყიდება წონით. დღეს გრამი ოქროს ფასი 16-დან 18 ლარამდე მერყეობს. როდესაც კაზრეთის გამო ერთი ამბავი ატყდა, მისმა ფასმა მცირედით, მაგრამ მაინც მოიმატა. ოქროს იმპორტ-ექსპორტის სტატისტიკური მონაცემები ასეთია: ექსპორტი (დაუმუშავებელი და ნახევრად დამუშავებული ოქრო) 1 ტონაზე მეტი (20 მილიონ 325 ათასი აშშ. დოლარი), იმპორტი - მხოლოდ 1 კილო (437 აშშ. დოლარი). სხვაობა იმპორტსა და ექსპორტს შორის გასაგებია, მაგრამ ასეთი? მარტივად რომ ვთქვათ: თუ საქართველოში, რომელიც კაზრეთის მიუხედავად ოქროს მომპოვებელ ქვეყნად ვერ ჩაითვლება, 999 კილო ოქრო ტრიალებს (არა აქვს მნიშვნელობა, ამ რაოდენობის ოქრო აქ მოიპოვება თუ კერძო პირებისგანაა შესყიდული), ის დუხჭირი ვინაა, ერთი კილო ოქროს შემოტანა რომ დასჭირდა? სინამდვილეში ეს "დუხჭირი" ტყუილად გვეცოდება. იგი საკმაოდ ჭკვიანია, ჩრდილოვანი ეკონომიკის კანონებს არ (ან ნაწილობრივ) ცნობს და საბოლოოდ მოგებულიც რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ძალიან გვიჭირს და შემორჩენილ ოქროს იაფად ვყიდით ლუკმა პურის მოსაპოვებლად, ძნელი დასაჯერებელია, რომ მოსახლეობას ჯერაც არ გამოელია ოქროს ამხელა მარაგი. დავუშვათ, რომ საიუველირო სალონები მართლაც არ ყიდულობენ ოქროს, კლიენტების ძველ სამკაულებს ადნობენ და ახალს აკეთებენ; დავუშვათ ისიც, რომ ბანკების სალომბარდო განყოფილებებსა თუ სხვაგან ჩაბარებული და გამოუხსნელი ოქრო ისევ ბირჟაზე ხვდება. მაშინ ისიც ხომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარი გზით შეძენილი ოქროს დიდი ნაწილი ისევ საქრთველოში რჩება. ამ ფონზე ექსპორტისა და იმპორტის შეფარდება კიდევ უფრო დამაეჭვებელია. შესაძლებელია თუ არა ლაპარაკი ოქროს კონტრაბანდაზე, ჩვენს კომპეტენციას აშკარად სცილდება, მაგრამ რატომღაც ერთი ხნიერი და თანაც პატიოსანი იუველირის ნათქვამი მახსენდება: "ლვეი" ოქრო რომ არ იყოს, აბა, რა ჩემი ფეხები ვიქნებოდი ... და ბეჭდის გადასაკეთებლად ორი გრამი ოქრო შედარებით იაფად მაყიდინა.

### "ფილოსოფიური ქვა" ნაპოვნია

რამდენად სანდოა საქართველოში დამზადებული ოქროს ნაკეთობა, ამას ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ზედამხედველობის დეპარტამენტი ადგენს. ყველაფერს, რაც საქართველოში იქმნება ან სხვა ქვეყნებიდან შემოდის, ერთი საერთო დამღა აქვს სინჯის შესაბამისი გრადაციით - 375, 585, 780 და 958. რაც შეეხება რუსეთის ოქროს, ის ისეთივე კარგია, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში მოპოვებული იგივე მეტალი. ამ კეთილშობილი ლითონის ხარისხს მასში ოქროს შემადგენლობა და არა გეოგრაფიული ადგილმდებარეობა განსაზღვრავს. როგორც ზედამხედველობის დეპარტამენტში ამიხსნეს, 583 სინჯით, ასე რომ იწონებენ თავს ოქროს დილერები, საიუველირო ნაწარმი რუსეთშიც აღარ გამოდის, თანაც კარგა ხანია. არა მგონია, მოსახლეობის დიდ ნაწილს დღესაც ამ რაოდენობით მოეპოვებოდეს "რუსული ოქრო". არადა, ბირჟებზე ლამის ყოველ მეორე ნაკეთობას ეს სამნიშნა რიცხვი ამშვენებს.

საერთო დამღის გარდა არსებობს სახელობითი დამღები იმ ნაწარმისათვის, რომლებიც სალონებში კეთდება ან ინდივიდუალური მეწარმეები ამზადებენ. 2003 წლის მონაცემებით სულ საქართველოში დაიდამღა 23242 ცალი ოქროს ნივთი (წონა: 72 კგ. და 331 გრ.), მათ შორის ზარაფხანისაა 9623 ცალი (33კგ. 783 გრ.). რეგისტრირებულია 54 სახელობითი დამღა, რაც მხოლოდ 54 იუველირის არსებობაზე არ მიუთითებს. საიუველირო სალონს ერთი დამღა აქვს, მაგრამ იქ, შესაძლოა, რამდენიმე იუველირი მუშაობდეს. თუ დავუშვებთ, ერთ სალონში სულ მცირე სამი ოქრომჭედელი მაინც ზის, გამოდის, რომ 162 კაცს ამ საქმით გააქვს თავი. და ისევ კითხვა: მაინც, ვინ მოიხმარა ის ერთი კილო იმპორტირებული ოქრო - ზარაფხანამ, საიუველირო სალონებმა, ინდივიდუალურმა მეწარმეებმა თუ ყველამ ერთად? ან იქნებ ქართველმა იუველირებმა "ფილოსოფიური ქვა" მიაგნეს, უბრალო ლითონისგან ოქროს მიღება რომ შეუძლიათ და სხვა ქვეყნებში ყიდიან? აბა, რა გითხრათ. პირადად მე მისტიკა ოდნავ მაშინებს და ისევ გარემოებას ვამჯობინებ, რადგან "დუმილი ოქროა რჩეული".

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25





# აფიშა

## კონცერტები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
"ქართული სული"
სცენაზეა ანსამბლი "რუსთავი"
დას: 19:00 სთ.

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
თბილისის გოგი ცაბაძის სახელობის სკოლის
მოსწავლეთა კონცერტი
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
უილიამ შექსპირი
"ვენეციელი ვაჭარი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი, ლაშა ბუღაძე
"სამი ნოველა"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**გოეთეს ინსტიტუტი**
ფაიტ ჰელმერის რეტროსპექტივა
"ცის კარიბჭე"
დას: 17:30 სთ.

"მოკლემეტრაჟიანი ფილმები"
დას: 20:00 სთ.
დასწრება თავისუფალია

**ამირანი**
"ტროა"
დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.
ფასი: 5-11 ლარი

**მხატვრის კვირეული**
ეძღვნება საქართველოს მხატვართა კავშირის 70 წელს
**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის მხატვართა
ნამუშევრების გამოფენა
გახსნა 17 საათზე

## გამოფენები

**გალერეა "კოპალა"**
ესმა ონიანის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**"ორიენტი"**
ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების
ნიმუშთა გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს, 27 მაისს, 17 საათზე** ზაალ სამადაშვილის ციკლი "ახალი განზომილება". სტუმარი დავით გოგიბედაშვილი. თემა – "ჯეიმს ჯოისი და ბრიტანული მუსიკა".

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

**6 ივნისს**

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - "Превращения в Лукоморье"

დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი
კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.
დას: 13:00; 15:00 სთ.

## ახალი თეატრი ზუგდიდში

ზუგდიდში შვიდწლიანი შესვენების შემდეგ, შალვა დადიანის სახელობის დრამატული თეატრი საზეიმოდ გაიხსნა.

ორი წელიწადია, თეატრში სარემონტო სამუშაოები შეფერხებით მიმდინარეობდა, თუმცა მისი დასრულება ბოლო სამ თვეში მოხერხდა.

გუშინ საღამოს თეატრში საზეიმო მიღების შემდეგ გაიმართა გიორგი კაჭარავას პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის - "ევრიკა" ჩვენება; სპექტაკლის რეჟისორი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი კანდიდ გურგენიძეა. 29 მაისს თეატრის დასი კანდიდ გურგენიძისეულ სპექტაკლს "ივანნამ რა ჰქმნა?!"-ს წარადგენს.

ზუგდიდელებისთვის თეატრის გახსნა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. *მედია-ნიუსი*

## თბილისში ვანო სარაჯიშვილის ბიუსტი გაიხსნა

გუშინ თბილისში, ოპერის ბაღში ჩოხოსანთა საზოგადოების ინიციატივით საზეიმოდ გაიხსნა ვანო სარაჯიშვილის ბიუსტი. ბიუსტის ავტორია ჩოხოსანთა საზოგადოების ერთ-ერთი წევრი ოთარ ფარულავა.

ჩოხოსნებმა 26 მაისის აღსანიშნავად საზოგადოების ახალი წევრებიც მიიღეს. რიტუალი ტრადიციული იყო. ხმლებისა და ხანჯლების ქვეშ გავლის შემდეგ ჩოხოსანთა საძმოს უხუცესმა წევრმა ნუგზარ ჯანაშიამ ახლად მიღებული ჩოხოსანი საძმოში გააერთიანა. ჩოხოსნები გახდნენ ცნობილი ადამიანები - მწერალი ოტია იოსელიანი და მოცეკვავე ომარ მხეიძე.

ჩოხოსნებმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად დედაქალაქის ქუჩებში მსვლელობა მოაწყვეს. *მედია-ნიუსი*

# საბჭოთა საქართველოს ერთგული შვილები

ნინო ჭანიშვილი

რისი ძეგლი უნდა დაიდგას პარლამენტის შენობის წინ, მაინც ვერ გავიგე. ცისფერი გალერეის შესასვლელთან წერია, რომ "ეროვნული ერთიანობის მონუმენტის კონკურსი" ტარდება. პრეზიდენტის დადგენილებაში (22.04.04.) წერია, რომ უნდა დაიდგას "ეროვნული თანხმობის" მონუმენტი. ზოგიერთი ტელეარხით კი გვეცნობა, რომ ეს ცხრა აპრილისადმი მიძღვნილი მონუმენტი იქნება. როგორც ჩანს, რისი მონუმენტი იქნება საინტერესო არაა, მთავარია რაღაც დაიდგას, თანაც თბილისის ცენტრში.

საკონკურსო ნიმუშები რამდენიმე დღის წინ გამოიტანეს ცისფერ გალერეაში. ეს ნიმუშები ციფრებითაა აღნიშნული, ვითომდა კონკურსის ჟიურიმ რომ არ იცოდეს ავტორების ვინაობა. თავის მხრივ ჟიურის წევრების ვინაობაც გასაიდუმლოებულია. ისე სწორიც არის საკონკურსო ნიმუშები ციფრებით რომ აღნიშნეს, თითქმის ყველა ერთნაირად ნაცრისფერი, უგემოვნო და დეპრესიის მომგვრელია.

პარლამენტის შენობა თავისი არქიტექტურით ისედაც დამთრგუნველი და არადამიანურია. აქ თუ რაიმე დაიდგმება, მსუბუქი კონსტრუქციის უნდა იყოს, რომ ოდნავ მაინც შეარბილოს პარლამენტის სიმძიმე და სიტლანქე. ეს საკონკურსო ნამუშევრები კი, ცრუ პათეტიკით, ისევ საბჭოთა ტრადიციას აგრძელებენ. მაშინაც ასე იყო - ძეგლები აუცილებლად უნდა დადგმულიყო. თემა კი ყოველთვის მოიძებნებოდა. საბჭოური მონუმენტები პარტიას, ბელადებს, სტახანოველებს განადიდებდნენ. ეხლა ამ ყველაფერს "რელიგიურობა" და "პატრიოტიზმი" ჩაენაცვლა.



*გამოფენაზე*

სახალისოა (სატირალი, რომ არ იყოს) ნამუშევრების განმარტებითი ტექსტები, აი ერთი მათგანი, N120272:

"ერის თავისუფლება - ეროვნული თანხმობის შედეგია.

ეროვნული თანხმობის შედეგია ჯაჭვების მტვრევა, ერისათვის თავდადებულთა სისხლით მორწყული, თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე, თეთრ, მართალ ჭეშმარიტ გზაზე, სადაც სიმართლე მართობულად არის დასმული და ჭეშმარიტება ჰორიზონტალურად, რომელსაც გაფრთხილება, მფარველობა სჭირდება.

და ზარი...

ეროვნული თანხმობის ზარი ...

... გვიხმობს ..."

(გაგახსენდათ? - "სიყვარული ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადი!")

ერთ-ერთმა ავტორმა კი პირდაპირ ძეგლს წააწერა „საქართველო უპირველეს ყოვლისა".

მხოლოდ ორი მონაწილის მიერ არის შემოთავაზებული მეტ-ნაკლებად მსუბუქი და სადი პროექტი. ერთი მათგანი (N 486072) მინის კუბს წარმოადგენს, რომელშიც საქართველოს რუკაა ჩასმული და ეს კუბი წყლის აუზშია მოთავსებული. მეორე პროექტი (N 090489) კი ასეთია - პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გაბნეულია 17 გამჭირვალე ფილა, რომლებშიც მოთავსებულია თითო ვარდი. ღამით ფილები შიგნიდან ნათდებიან.

როგორც დავადგინე, კონკურსში არანაირი პირობა არ იყო მითითებული; ანუ, მიეცი ნიჭსა გზა ფართო. ახალი საქართველოს მონუმენტი კი მონაწილეების უმეტესობამ მძიმე მასალაში წარმოიდგინა. ძეგლები ბრინჯაოსა და სპილენძშია ჩამოსხმული. ეს ბუნებრივიცაა, ჩვენი კონკურსანტების "პატრიოტული" და "რელიგიური" ხედვა ახალ ტექნოლოგიებს და თანამედროვე დიზაინს ვერ იგუებს.

საერთოდ, როცა ქალაქის ცენტრში მონუმენტი იდგმება, მოქალაქეებსაც უნდა ჰქონდეთ ხმის მიცემის საშუალება. მაგრამ ასეც, რომ იყოს, ხომ უნდა იცოდე რის მონუმენტს აძლევ ხმას.

# ერთი თვით ადრე

## თბილისის ჯაზ-ფესტივალის ტრადიცია და პერსპექტივები

ვერა ნეფარიძე

*უკვე მივეჩვიეთ, რომ თბილისში ზაფხული ჯაზით იწყება. უკანასკნელი მეხუთე წელიწადია, ზედიზედ თბილისის ჯაზ-ფესტივალს (რომელიც მეორე წელიწადია "საქართველოს ბანკის" სახელს ატარებს) საერთაშორისო დონის შემსრულებლები სტუმრობენ. გამონაკლისი არც წლევანდელი, რიგით მერვე ღონისძიება იქნება. ლეგენდარული ჯაზ-როკ გიტარისტი ჯონ მაკლაფლინი და მისი უკანასკნელი პერიოდის გახმაურებული ბენდი "შაქტი"; პოპულარული ჯაზის ვარსკვლავი მაიკლ ფრენქსი; ცნობილი მესაყვირე კრის ბოტი და ათი "გრემის" ლაურეატი ბობი მაკფერინი, - ამ მუსიკოსებს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი 26 ივნისიდან ერთი კვირის განმავლობაში უმასპინძლებს.*

როგორც ცნობილია, თბილისში ჯაზ-ფესტივალის ტრადიციის აღდგენისა და დამკვიდრების ინიციატივა საპროდიუსერო კომპანია "ისტერნ პრომოუშენს" ეკუთვნის. 2000 წლამდე განხორციელებული რამდენიმე გახმაურებული კონცერტი (რეი ჩარლზის, ჯეიმს ბრაუნის, "მანჰეტენ ტრანსფერის", მასეო პარკერის, იან გარბარეკისა და სხვათა), რითაც კომპანიამ ადგილობრივი შოუბიზნესის იმპორტ-პროექტების ნიშა წარმატებით ამოავსო, გახდა რეალური საფუძველი, რომ "ისთერნ პრომოუშენს" ეს პასუხისმგებლობა (ჯაზ-ფესტივალის ორგანიზება) საკუთარ თავზე აეღო. მაგრამ, ყველაფერი ასე მარტივად როდი გადაწყდა. ოთხი წლის წინათ კომპანია "ჯეოსელის" გენერალური სპონსორობით გამართული ფესტივალი 1978, 1986 და 1989 წლების თბილისის ჯაზ-ფესტივალების მემკვიდრე იყო. 2000 წლეს ჟან-ლუკ პონტის, ბილი კობემისა თუ მიხალ ურბანიაკის სტუმრობას წინ უძღოდა 70-იან და 80-იან წლებში ავტორიტეტული ჯაზ-შემსრულებლების კონცერტები თბილისში.



*ბი ბი კინგი*



*ელ ჯერო*



*რეი ჩარლზი*

ლეგენდასავით ახსოვს თბილისს 1978 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პირველი ჯაზ-ფესტივალი, როდესაც ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 13 ქალაქის მუსიკოსი შეიკრიბა. თუმცა, მანამდე, კერძოდ კი 1962 წელს ნამდვილი მოვლენა იყო ბენი გუდმანის ორკესტრის, 1972 წელს თედ ჯონსისა და მელ ლუისის ორკესტრის, ხოლო 1979 წელს ბი ბი კინგის კონცერტები. 1978 წლის ფესტივალის ტრადიცია 1986 წელს ძირითადად მოკავშირე ქვეყნებიდან ჩამოსული ჯაზ-მუსიკოსების კონცერტებმა გააგრძელა. ფესტივალი საკმაოდ წარმომადგენლობითი გამოვიდა. საერთაშორისო დონის პროფესიონალ შემსრულებლებთან (ფრედი ჰაბარდის კვინტეტი, ლუთერ ელისონის ბლუზ ბენდი, არტ ბლეიკი, აზიზა მუსტაფა-ზადე და სხვები) ერთად ღონისძიებაში ქართველი მუსიკოსებიც (გივი გაჩეჩილაძის ორკესტრი, "ბლუზ მობილ ბენდი", ალექსანდრე კილაძის ჯაზ-ქორალი) მონაწილეობდნენ. ცხადია, 70-იან და 80-იან წლებში გამართული ჯაზის საღამოები სულ სხვაგვარი მუხტის იქნებოდა და ალბათ არც უნდა შევადაროთ მომდევნო წლების კონცერტებს. თუკი რაიმემ შეამზადა რკინის ფარდის გამოღმა მაცხოვრებლები "პერესტროიკისა" და თავისუფლებისათვის შეურიგებელი ბრძოლისთვის, ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ ის კონცერტებიც იყო. ამას გარდა, რომ არა ჯაზის ზემოთნახსენები ავტორიტეტების მონაწილეობა თბილისის კონცერტებში, ჯაზ-ფესტივალის ტრადიციის აღდგენის ინიციატორებს გაცილებით გაუჭირდებოდათ თბილისში ჯაზის სხვა ვარსკვლავების მოზიდვა.

2000 წლიდან მოყოლებული დღემდე ფესტივალის ისტორიაში არ ყოფილა პაუზა – "ისთერნ პრომოუშენი" ყოველწლიურად ახერხებს ქართველი მსმენელი სასურველ მუსიკოსებს შეახვედროს. ბილ ევანსი, ვიქტორ ბეილი (2001 წელს), ტანია მარია, ბობი მინცერი, ელ ჯერო, პი ვი ელისი, დენის როლინსი (2002 წელს), Take 6, კენი გარეტი, "ინკოგნიტო" (2003 წელს), - ეს მუსიკოსები და კოლექტივები ერთმანეთისგან როგორც მუსიკალური მიმდინარეობით, ასევე შემოქმედებითი დონითაც განსხვავდებიან, მაგრამ ერთი საერთო უდაოდ აქვთ – მათ უკვე დაიმკვიდრეს ადგილი მსოფლიო ჯაზის ისტორიაში; და კიდევ – მათ უკვე კარგად იცნობს ქართველი მსმენელი.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც თბილისის ჯაზ-ფესტივალის ყოველწლიური განვითარებაა. წლების განმავლობაში, თანდათანობით იზრდება აქტიური მსმენელის რაოდენობა, სპონსორებისა და პარტნიორების ინტერესი; შესაბამისად კი, იზრდება მოწვეული სტუმრების რანგიც. 2000 წლიდან გამართული ფესტივალების მონაწილეებს შორის ყველაზე დიდი ფიგურა ალბათ შარშანწინდელი სტუმარი ელ ჯერო და შარშანდელი Take 6 იყო; ამ მხრივ, საამაყო რიგით მერვე ფესტივალსაც აქვს – ბობი მაქფერენის სახით თბილისს საერთოდ პირველად ესტუმრება ათი "გრემის" მფლობელი მუსიკოსი. მაგრამ, წლევანდელ ფესტივალს მაკფერენის სახით ერთადერთი ფავორიტი არ ეყოლება. ინსტრუმენტალური ჯაზის მოყვარულები უდაოდ დიდ შთაბეჭდილებას მიიღებენ ქრის ბოტის კონცერტზე; მაიკლ ფრენქსი, ალბათ, მხოლოდ ჯაზის მსმენელს არ გაახარებს; ხოლო ჯონ მაკლაფლინისა და "შაქტის" სტუმრობა რომ 2004 წლის მუსიკალური მოვლენა იქნება ჩვენთვის, ამაში, ალბათ, ეჭვი არავის ეპარება.

ყურადღებას იმსახურებს ასევე ორგანიზატორების გადაწყვეტილება – ფესტივალზე აღდგეს ქართველი ჯაზის შემსრულებლების როლი. წლევანდელი ფესტივალის სტუმრებს ამ მხრივ რამდენიმე საინტერესო პროექტი და სიახლე ელით. ამის შესახებ (ისევე, როგორც ფესტივალის უცხოელი სტუმრების) "საქართველოს ბანკის ჯაზ-ფესტივალი 2004"-სადმი მიძღვნილი სტატიების სერიის გაგრძელებაში გიამბობთ.

# ერთხელ ამერიკაში...

თამარ ბაბუაძე

თუ როგორ გამოსწორდა ისტორიული დაუდევრობა და როგორ გაირკვა, რომ "უაილდ უესტის შოუში" მონაწილე მხედრები სინამდვილეში გურულები იყვნენ და არა რუსი კაზაკები, "24 საათის" გასული ნომრებიდან უკვე გეცოდინებათ. 2002 წლის ზაფხულიდან მოყოლებული, რეჟისორ ირაკლი მახარაძესთან ერთად, ჩვენ რეგულარულად გთავაზობდით წერილებს ახალ-ახალი დეტალებით, რომლებიც გურული მოჯირითეების წარმატებებს აღწერდნენ ბაფალო ბილის შოუში, ამერიკული შოუბიზნესის გარიჟრაჟზე.

ბოლოს კვლევა-ძიების ხანგრძლივი პროცესი 2003 წლის 18 სექტემბერს მნიშვნელოვანი ღონისძიებით დაგვირგვინდა. ვაიომინგის შტატის ქალაქ ქოუდიში ხელი მოეწერა ქოუდისა და ლანჩხუთის დამეგობრების აქტს. ათეულ ათასობით კილომეტრით დაშორებულ ამ ორ ქალაქს ხომ დიდი წარსული აერთიანებს – ქოუდი 1896 წელს ბაფალო ბილმა დააარსა – ჩვენებური მოჯირითეების "ხაზეინმა", ლანჩხუთი კი ის ადგილია, საიდანაც მე-19 საუკუნის მიწურულს ამერიკის "გადასარევად" შორეულ კონტინენტზე გურული მოჯირითეების უმრავლესობა გადაიხვეწა.

დაძმობილების და ისტორიული დაუდევრობის გამოსწორების გარდა, სექტემბერშივე კიდევ ერთი კარგი ამბავი მოხდა. ირაკლი მახარაძეს საშუალება მიეცა, გრანტის მეშვეობით ბაფალო ბილის ისტორიულ ცენტრში გურული მხედრების შესახებ სრულიად უცნობი ფოტო და კინომასალა მოეძიებინა და თბილისში ჩამოეტანა ("24 საათი" ქოუდიში ამ ვოიაჟის შესახებაც წერდა).

ასე რომ, ნელ-ნელა შეივსო და დაიხვეწა 1892 წელს გურიიდან აყრილი და მსოფლიოს გასაოცებლად სამოგზაუროდ წასული მხედრების ისტორია. უკვე ცნობილია, რომ ისინი ბაფალო ბილის "უაილდ უესთ შოუს" პირველად ინგლისში შეერთებიან, 1893 წელს ამერიკაში ჩასულან და მერე მთელი ევროპა მოუვლიათ. 1892-1925 წლებში მათ უზარმაზარი აღიარება მოუპოვებიათ და დიდი გავლენაც მოუხდენიათ კოვბოებზე. ველური დასავლეთის ცნობილი მკვლევარი და ისტორიკოსი დი ბრაუნი მათ შესახებ წერდა: "ცხენზე ჯირითი როდეოში შემოიტანეს თავზეხელაღებულმა კაზაკებმა. კაზაკების თავბრუდამხვევი ტრიუკებით დაინტერესებულმა კოვბოებმა ეს გაითავისეს და შემდგომ თავისებური ვარიანტი წარმოადგინეს ამერიკულ როდეოში".

მუშაობა გურული მხედრების გასაოცარი თავგადასავლების აღდგენისა და პოპულარიზაციისთვის კვლავაც გრძელდება. ამის დასტურია ახლახან გამოცემული პატარა, მაგრამ უდავოდ საინტერესო წიგნიც, რომელიც "პარნასის" წინა კვირის ბესტსელერთა ნუსხაში პირველ ადგილზე ლიდერობდა. წიგნი წარმოგვიდგენს ირაკლი მახარაძის ქალიშვილის, სალომეს მიერ ნიუ იორკში მოძიებული უცნობი გურული მხედრის დღიურს. ჯერჯერობით, ავტორის ვინაობა დაუდგენელია, მაგრამ ეს პატარა გარემოება გურული დიალექტით შესრულებულ პირად ჩანაწერებს კიდევ უფრო საინტერესოს და სევდიანსაც ხდის.

ჩანაწერების ავტორი ამერიკაში უფრო ადრე ჩასულა და ინგლისური კარგად უსწავლია. მას, თურმე, ყველა ეუბნებოდა გუდ ინგლიშ იცი შენო... მუდმივი სამუშაოს მოძებნა, მით უმეტეს, იმ დროს ემიგრანტისთვის რთული აღმოჩნდა. ამიტომაც უცნობი გურული ხან სად მუშაობდა პურის ფულის საშონელად, ხან – სად.

ერთხელაც ფოსტოფისში მსახურობდა, ჩვენებურად ფოჩტაში, ერთ საღამოს კი, აფხანაკებთან ერთად ქალაქში ჩამოსული დიდი ცირკის სანახავად წავიდა და იქ, სრულიად შემთხვევით, საოცარი რამ ნახა: ფრანცუზების, გერმანელების და ინდიელების ჯირითის შემდეგ არენაზე 10-12 კაძახი გამევიდა, დაარტყენ წრე და უცფათ დეიწყეს ქართული სიმღერა. ჩვენი დღიურის გმირი ჯერ გეილურსა, ყურებს არ დოუჯერა, მერე კი ისთე წამოხტა რომე მის აფხანაკებს შეეშინდათ, რა ეტაკა ამ აბდალასო. გურულმა თავი გაიმართლა, აგენი ჩემებურები არიანო! და როცა შოვი დამთავრდა, მივიდა მათთან და აკანკალებული ხმით ჰკითხა, გურულები ხომ არ ხართო. გურულები ვართო! ისთე გახარებიათ ყველას, ისთე, რომ ენით ვერავინ აღწერს, მით უმეტეს მე... ამტყდარა ერთი ამბავი, თან ჩვენი გმირი ერთ-ერთ მოჯირითეს იცნობდა კიდეც – კალანდარიშვილი იყო.



ლია ბარათები ველური დასავლეთიდან







წიგნის ყდა

მოკლედ, შემთხვევით შუაგულ ამერიკაში შეხვედრილმა ქართველებმა დიდი სუფრა გაშალეს და რაც იქანე სასმელი დალიეს, ვისკი გინდა, თუ ოტკა, ნუ იტყვი პირდაპირ. მეორე დღეს ფოსტოფისიც, ჩვენებურად ფოჩტაც, ისტორიას ჩაბარდა – დღიურების ავტორმა "უაილდ უესთ შოუს" დამაარსებელი ბაფალო ბილი გაიცნო – მაღალი ყაძახი, კაი შესახედაობის, ლოყებზე განაპარცი წვერულვაშით, რომელმაც უცნობი გურული თავის შოუში მიიღო. კანტრაქტიც კი დაუდო. ასთე მოხვთა ბიჭი ველურ დასავლეთში...

შემდეგ, როგორც დღიურიდან ჩანს, ნოსტალგიის მუდმივი განცდისა და შინ დაბრუნების სურვილის მიუხედავად, გურული მხედარი ამერიკაშივე დარჩა. მოიარა მთელი ქვეყანა და როგორც ჩანს, მთელი ამ დროის განმავლობაში გვერდიდან არ მოსცილებია შეყვარებული გოგონა, სახელად აირისი. ის უვლიდა ავადმყოფობის დროს, მჭადსაც უცხობდა და ქათამსაც უკმაზავდა ნიგვზით. მერე როცა რუზეველთმა ვაშკაცი ცხენოსანები შეკრიბა და წეიყვანა კუბაზე ომში, გურულ მხედარსაც მოუნდა საომრად წასვლა – თან მაი რუზეველთი ნიორქშიც ჰყავდა ნახული და საერთოდ... მაგრამ აირისი დადგა უარზე და ბოლოს აღარ ვიცით, რით დამთავრდა ეს ისტორია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ დღიურების ავტორი კინოშიც წასულა ერთხელ, სადაც თეთრ ნაჭერზე კარტიჩქები მოძრაობდნენ, თურმე, რავარც ცოცხლები! აბა, ამფერი რამ მისდღემჩი ხომ არც დაესიძმრებოდა გურულ მოჯირითეს... კიდევ ბევრი საინტერესო ამბავი გადახდენია მას თავს, რომელთა მოყოლითაც თავს აღარ შეგაწყენთ. მერწმუნეთ, პირველ პირში წაკითხვა ღირს..

თანაც, როგორც უკვე თავადაც შენიშნავდით, გურულ-ინგლისური ლექსიკონის ორიგინალური ნაზავის გამო – თავისი "აფხანაკებით", "კავბოიკაცებით", "შოვით", "ფოსტოფისით", "ლივაის მაღაზიით" თუ "ბიჭეფით" – წიგნი ისეთი ხალისით იკითხება, რომ ტექსტის ხმამაღლა დეკლამირებასაც მოგანდომებთ, გულიანად სიცილზე რომ აღარაფერი ვთქვათ; მით უმეტეს, თუ გურულიც ბრძანდებით და წინაპირების საგმირო საქმეების მოსმენის გამო სისხლმა გიყივლათ.

ასე რომ, თუ ჯერაც არ გაცნობიხართ უცნობი გურულის დღიურს, გირჩევთ, გადახედოთ – ის სულ ოციოდე წუთს წაგართმევთ, მაგრამ ძალიან კი გასიამოვნებთ. თანაც, მე ხომ ზევით მხოლოდ დღიურის მოკლე შინაარსი გაგაცანით. და თუ თემა კიდევ უფრო გაგიტაცებთ, გაცნობებთ, რომ გაყიდვაში გამოვიდა გურული მხედრების მოსაკითხი ბარათებიც – ანუ, შეგიძლიათ, ამ საინტერესო ისტორიის პოპ-არტში დამკვიდრებასაც შეუწყოთ ხელი.

მანამდე კი, მოდით, ერთად გადავავლოთ თვალი ბესტსელერ დღიურს და მოვუსმინოთ 28-29 წლის გურული ბიჭის სასიყვარულო, კურიოზულ, ნოსტალგიურ თუ საგმირო ისტორიებს. ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ერთდროულად სევდიანი და სასაცილო ფრაზების მიღმა ხომ კარგი სარომანე მასალაც იმალება...

"...შოვის წინ იმართებოდა პარადა ყველაყაი თათრები ინდიელები ამერიკელები ..... ხალხი მთლა ჩვენ მოგვჩერებოდა ....ჩვენი გამოსლა იწყებოდა სიმღერით მერე პაწა ხანს ვცეკვავდით ფიცრისგან შეკრულ იატაკზე. მე კაი ცეკვა არ ვიცი მარა ამერიკელებიზა გამოდგება ..... ვიწყებდით ჯირითობას .... ცხენზე თამაშით მთლა ვაშტერებდით მაყურებელს .... მე მიწიდან ვიღებდი .... ნივთებს, ვაკეთებდი თავყირას ..... აბდარშიც კი ცარიელ არდგილს ვერ იშონიდი...

...შოვში იყვენ კაი ცხენოსნები მექსიკელები კავბოები მარა ჩვენ ვერ გვჯობნიდენ ნამეტარ ცთილოფთენ...

...მიყვარს მატარებლით მგზავრობა მთელი შოვის ხალხი ჩავალაგებთ ბარგს, ცხენეფს თავის ადგილს მივუჩენთ ...... დუუფშტვენდა მატარებელი და გუუყვებოდა გზას ვიჯექი ფანჯარასთან და ვუცქერდი იქაურობას .... ზოგან ბუნება ისთე გავს გურიას. დიდი მთაი ..... აქანე ხავაც კაია.

საღამოზე ქალაქში სანახავათ გავდიოდით ..... მე პირველათ რომ მოვხთი ამერიკაში მარტუაი თფილისი და ქუთაისი მქონდა ნანახი ..... ახლა კი იმფერ სანახავებს ნახავ ზღაპარია გეგონება...

....ფრანცუზები ქუჩაში უკან მოგვყვობოდენ, ბიჭეფი ჩივოდენ აგენი ჩვენი დაცვა არიო მოდიოდენ ტანსაცმელს და ხანჯლეფს უყურებდენ ... ყველაკაცი კაზაკს გვიძახდა კი ვუჩივოდით არ ვართ ბატონო კაზაკები მარა ვინ გიყურებდა ..... რა მაგენის ბრალია აფიშებზე და ფოსტერებზე კაზაკი და რუსიო ეწერა....

...ჩემ ერთ აფხანაკ ამერიკელს შევეკითხე: შავი ზღვა თუ იცი?

არაო კავკასია? არაო ..... საქართველო? სულ ნოუ ნოუს ჩივოდა....

აბა რა იცი შე უბედურო ..... რაფერ ააშენეს ამ ოჯახდაქცეულებმა აი ქვეყანა?

...ავსტრალიიდან ჩამეიყვანენ კაცები მთლა შავები ნიგუზალივით თმები აქვენ, რაცხა უცნაური სასროლ ხმარობენ ბუმურანგს უძახიან ხისგანაა გამონათალი მოკავკული და ბრტყელი რუმ გეისვრი მერე თვითამ უკან გიბრუნდება.

...ბიჭეფმა ინგლისური არ იციან და ამიზა ეშლებათ ხელი. ზოგს ქე ვასტავლი ზოგი კი ღამის სკოლაში დადის... თუ არ ისტავლი ისთე ძნელია აქანე გაძლება მარა ზოგიერთ ჭკუასუსტს აი არ ესმის და ანდრესდაკარგული გემივით დაიარება.

...პაწა დანაზოგი შევიტანე ბენქში შავი დღისათვის. სახში შენახვას ბენქში შენახვა ჯობია არაკაცი არ მოგპარავს...

...გავიცანი ერ გადაბრაწული ციცაი მერილუ ..... მე მანიკოს ვუძახდი ჩვენებურათ. გადმეკიდა ერი იტალიელი აი ჩემი ქალიაო მანიკომ უთხრა დამთავრდა ჩვენს შორის ყოლისფერი დამეთხუეო, მაშვინ მთლა გასკტა გულზე არ დიეთხუა მე გასუმ მე გაჭუმო უჩივის. რა ბიძია ყრუი ხომ არ ხარ არ უნდიხარ მეთქი ვუთხარი რაცხა მომაძახა იტალიურად. რას პრაწავ მაგ თვალებს მეთქი გამეიწია მომიქნია მუშტი და მომხთა თვალში ეგონა დავეცემოდი. ცალი თვალი დამეფსო მარა უცფათ ვდღლიზე და ვაყრევინე კპილები გამოენთო მისი აფხანიკები ბედად შოვის კაცები იყვენ ორი მექსიკელი და ინდიელი შეიქნა ნამეტარი ბღლვნაი ძლივს გაგვაშორეს...

...შიკაგო კაი ქალაქია, ღამით ისეა აბჟღრიალებული რავარც ნიორკი თითქოს ქალაქის თავზე მზეი დუუმაგრებიათო.

...ცოტა ხანი ვიმუშავე ლივაის მაღაზიაში ნამეტარი მდიდარია... იმსიმაგრე შარვალს კერავს რუმ მეინდომო ვერ დახევ თანაც ჩასაცმავია კაი...

...დათაეს გოგო გუუთხოვებია..... ქორწილიც კაი გადოუხდიათ... ნამეტარი დაგვაკლდიო მიჩივიან....... ქე მინდა ახლა იქინე ყოფნა მარა რას ვიზამ...."

# ფოტოები ჩვენ ვართ

## განრისხებული სიუზენ სონტაგი

"ნიუ იორკ თაიმს მეგეზინში" სიუზენ სონტაგის ახალი ნაშრომი გამოქვეყნდა. თავფურცელი თითქმის ცარიელია, ზედ არც წამების ამსახავი სურათებია გამოსახული და არც ბრძოლის სცენები. თეთრ ფონზე მხოლოდ პატარა ასოებით დაბეჭდილ წინადადებას ვკითხულობთ: "ფოტოები ჩვენ ვართ".

ქალბატონი სონტაგი იმ ავტორთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა ყოველი გამოსვლაც სენსაციად იქცევა ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე მეტწილად ეული მეომრის იმიჯი ჰქონდა, სონტაგი აბუ გჰრაიბის ტრაგედიას მრავალ სხვა მოღვაწესთან ერთად გამოეხმაურა, თუმცა თემას ამჯერადაც განსაკუთრებული, "სონტაგური" კუთხით მიუდგა.

ეს არავითარ შემთხვევაში არაა ავანგარდისტული ნაშრომი. "ფოტოები ჩვენ ვართ" იმ ფოტოსურათებს და ვიდეოჩანაწერებს ეხება, რომლებმაც გასულ კვირას არა მარტო ამერიკა, არამედ მთელი მსოფლიოც შეძრა და რომელთა რიცხვიც – სამწუხაროდ – ალბათ კვლავ გაიზრდება. მისთვის ჩვეული შემართებითა და ზოგჯერ ზღვარსგადაცილებული სიმამაცით სიუზენ სონტაგი Global War on Terror-ის ფსევდორელიგიური დოქტრინის და ტერორიზმში ეჭვმიტანილი ყოველი ადამიანის "განადამიანების" წინააღმდეგ ილაშქრებს.

თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით, რომლებიც ამავე იდეის დასასაბუთებლად ლამის ასი წლის წინანდელ ომის კადრებს და ლინჩის წესით გასამართლებული შავკანიანი ამერიკელების ფოტოსურათებს იშველიებენ, სიუზენ სონტაგი "აბუ გჰრაიბის ჩანახატების" თანამედროვეობას და მათ საყოველთაო ხელმისაწვდომობას უსვამს ხაზს. ის პარალელს ენდი უორჰოლის შემოქმედებასთან ავლებს, რაც, ერთი შეხედვით, თითქოს სიგიჟეა, მეორეს მხრივ კი, თუ დაუკვირდებით, სავსებით ლოგიკური გახლავთ: დიდი ამერიკელი ხელოვანიც ხომ ერთიმეორის მიყოლებით, დროის კვალდაკვალ, "ცხოვრების რითმს აყოლილი" ქმნიდა თავის ფილმებს, და ისინიც მილიონობით თანამედროვის არსებობის პარალელურად არსებობდა. სონტაგი წერს, რომ აბუ გჰრაიბის გაღიმებულ ჯალათებსაც სხვა არაფერი ამოძრავებდათ: "ქმედება დაუსრულებელი დარჩებოდა, თუ ერთიმეორეზე დაწყობილ შიშველ მამაკაცებს ფოტოს არ გადაუღებდნენ".



ფოტო, რომელმაც მსოფლიო შეძრა

ავტორის აზრით, ძირითადი პრობლემა ისაა, რომ სულ უფრო მეტი ადამიანისთვის ეროტიკული ცხოვრება იმაში მდგომარეობს, რასაც მათთვის მიწოდებული ფოტოსურათები თუ ვიდეოგადაღებები მოიცავს. აბუ გჰრაიბის შემთხვევაში სექსმა წამება უფრო მიმზიდველი გახადა, მეტი ადამიანის ყურადღება მიიპყრო, მეტი ვნება აღძრა. სონტაგის აზრით, წამება როგორც პორნოგრაფია უშუალოდ ამერიკული ყოველდღიური ცხოვრებიდან იღებს სათავეს: სისასტიკე და ადამიანური ფასეულობების გაუფასურება საზოგადოებისთვის მისაღები, მისი ქვენაგრძნობებისთვის სტიმულის მიმცემი მოვლენაა, და "ავადმყოფური ექსჰიბიციონიზმი "უსირცხვილობის კულტურად" ირაცხება" და "ძალადობის ფანტაზიები და პრაქტიკა კარგ გასართობად, Fun-ად ითვლება". ამ ფონზე ფოტოგრაფიის მოყვარული ჯალათებით უკმაყოფილება გაუგებარი ხდება – ბოროტსა და კეთილს შორის ზღვარი ხომ სრულიად მოშლილია! სონტაგის შეფასებით, მათ ოფიციალურად სანქციონირებილი რწმენა ჰქონდათ, რომ "არასრულფასოვანი" რასისა თუ აღმსარებლობის მქონე ადამიანებზე განუსაზღვრელ ძალაუფლებას ფლობდნენ, და აბუ გჰრაიბის ამბავი ამერიკაში ყოველდღიურად მეორდება: "ამერიკელთა დიდ ნაწილს ურჩევნია იფიქროს, რომ სხვა ადამიანების წამება და დამცირება სავსებით ნორმალურია – იმ ადამიანებისა, რომლებიც, ჩვენი აზრით, მტრები არიან და ყველა ჩვენს უფლებას აგდებით ეკიდებიან". სონტაგისთვის ეს ფოტოები საერთაშორისო მასშტაბით მოქმედი ცრუ, ამორალური პოლიტიკის გამოხატულებას წარმოადგენს.

ფეხბურთი

# შევჩენკო რჩება



ანდრეი შევჩენკო "მილანში" 2009 წლამდე ითამაშებს

უკრაინის ნაკრების ფორვარდი ანდრეი შევჩენკო 2009 წლამდე დაიცავს "მილანის" ღირსებას. ეს კი ნიშნავს, რომ ჩუკოტკის გუბერნატორმა როგორც არ უნდა მოინდომოს, შევჩენკოს "ჩელსიში" ვერ გადაიბირებს.

ფორვარდმა თავის კლუბთან კონტრაქტი ოთხი წლით გააგრძელა. მოქმედი კონტრაქტი კი 2005 წელს იწურებოდა. ამრიგად, "ჩელსის" გეგმებს, შეეძინათ უკრაინელი ფეხბურთელი, ასრულება არ უწერია. ამას წინათ რომან აბრამოვიჩმა, ყოველგვარი შუამავლის გარეშე, პირადად დაიწყო მოლაპარაკება ანდრეი შევჩენკოსთან. თანხა, რომელიც აბრამოვიჩმა იტალიელებს შესთავაზა, 20 მილიონ გირვანქა სტერლინგია.

დღეს რუსი ბიზნესმენი "მილანის" ხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლად იტალიაში უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ უკრაინელის მიერ კონტრაქტის გაგრძელების შემდეგ აბრამოვიჩი, ალბათ, გეგმებს შეიცვლის. იტალიის წლევანდელ ჩემპიონატზე შევჩენკო 24 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

უფრო ადრე "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ აღიარა, რომ მადრიდის "რეალი" ფეხბურთელის სანაცვლოდ 160 მილიონ ევროს იძლეოდა. ეს ამბავი 2001 წელს მოხდა. თუმცა, კლუბის პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ ამ წინადადების განხილვაზეც კი უარი განაცხადა. გასულ ზაფხულს რომან აბრამოვიჩი 50 მილიონ ევროზეც ყაბულს იყო, თუ "მილანი" მას შევჩენკოს ან ნესტას დაუთმობდა.

წლევანდელი სატრანსფერო დერეფნის გახსნის წინ გალიანიმ აღნიშნა, რომ "მილანს" ყველაზე დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს და ხელმძღვანელობას არ სურს ტრანსფერებზე ფიქრი. გალიანის აზრით, გუნდი მნიშვნელოვან გაძლიერებას არ საჭიროებს. "თუ შევძლებთ, მივაღწიოთ იმას, რისკენაც სეზონის განმავლობაში მიზანმიმართულად მივილტვოდით, ჩვენ არავინ დაგვჭირდება. შარშანდელი სეზონის შემდეგ გუნდის ყველა ფეხბურთელი იმსახურებდა კლუბში დარჩენას. ასეც მოხდა. მომავალ წელს "მილანი" თითქმის ისეთივე იქნება, როგორიც წლეულს. ჩვენს ფეხბურთელებს შეუძლიათ არ ინერვიულონ, მათაც კი, ვინც მინდორზე იშვიათად გამოდის. გუნდში დარჩენა ყველამ დაიმსახურა", - თქვა გალიანიმ.

# "მონეგასკური" ფიასკო

## ევროპას ახალი ლიდერი ჰყავს

### პორტუ - მონაკო 3:0

მონაკოს პრინცი ალბერი მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთხელ წამოდგა ფეხზე. 71-ე წუთზე, როცა ალენიჩევის გააზრებული გადაცემის შემდეგ დეკუმ მეორედ აიღო მეკარე რომას კარი, აღშფოთებულმა პრინცმა სწრაფად დატოვა საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილი ლოჟა.

ნათელი იყო - ყველაფერი დამთავრდა. ჟიულის გარეშე დარჩენილი "მონაკო" ორი ბურთის გამტანი არ იყო. ის კი არადა, დეკუს გოლიდან ოთხ წუთში ალენიჩევმა მესამეც გაუტანა დიდიე დეშამის გუნდს და გელზენკირხენის "აუფშალკეზე" პორტუგალიელთა ზეიმი დაიწყო.

17 წლის შემდეგ პორტუგალიის ჩემპიონმა დაიბრუნა ევროპის უძლიერესი კლუბის ტიტული. 1987 წელს "პორტუმ" ჩემპიონთა თასის ფინალში - 2:1 დაამარცხა მიუნხენის "ბაიერნი". გუშინ კი აბსოლუტურად გაანადგურა ფრანგული "მონაკო". ჟოზე მოურინიოს გუნდი ინგლისის "ლივერპულის" შემდეგ მეორეა, რომელმაც დუბლის შესრულება შესძლო - მოიგო უეფას თასი და მომდევნო წელს ჩემპიონთა თასიც მოიპოვა.

ფრანგების უბედურება ფრედერიკ ჟიულის მინდვრიდან გასვლის შემდეგ დაიწყო. "ჟიული "მონაკოს" ძრავია. მორიენტესი კი საუკეთესო შემსრულებელი და ეს ყველაფერი "მონაკოს" ძალაა, რომელმაც გუნდი ფინალში გაიყვანა" - ამბობდა დიდიე დეშამი და მართალიც იყო.

ჟიული ის ფეხბურთელია, ვინც მადრიდის "რეალთან" შეხვედრაში თამაშში გარდატეხა შეიტანა და გამარჯვების სასწორი ფრანგების მხარეს გადაწონა. მისი გასვლის შემდეგ კი აბსოლუტურად მოიშალა ხიდი ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის და პორტუგალიელებმაც გაილაღეს. 39-ე წუთზე კარლოს ალბერტომ ზიკოსის შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. ეს გოლი ლოგიკური გაგრძელება იყო იმისა, რაც ჟიულის გასვლის შემდეგ მინდორზე ხდებოდა.



"პორტუ" ახალი ჩემპიონი

"პორტუს" ხელ-ფეხი გაეხსნა. მას სრული უფლება ჰქონდა არ გაერისკა და მეტოქის შეცდომას დალოდებოდა. "პორტუს" უყვარს ასეთი თამაში. ამ დროს ის თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. საინტერესო კი ის არის, რომ "პორტუგალიელებმა სამჯერ დაარტყეს კარში და სამივე დარტყმა გოლით დამთავრდა. "მონაკოს" კი კარში არ დაურტყამს. ესეც ერთი ფაქტი "პორტუს" სასარგებლოდ.

ახლა ყველაფრის თქმა შეიძლება, რომ პორტუგალიელები ფსიქოლოგიურად უკეთ გამოიყურებოდნენ, რომ გამარჯვება მეტოქეზე უფრო სურდათ, რომ ჟოზე მოურინიომ ტაქტიკურად აჯობა თავის კოლეგა დიდიე დეშამს ("პორტუს" მწვრთნელმა პირველი გოლის ავტორი კარლოს ალბერტო დმიტრი ალენიჩევით შესცვალა. ალენიჩევმა კი ჯერ საგოლე პასი შეასრულა. შემდეგ კი თვითონაც გოლი გაიტანა სა დაასრულა კიდეც "მონაკოს" განადგურება), ფაქტი კი ის არის, რომ "პორტუ" ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია.

ევროპას ახალი ლიდერი ჰყავს.

# დინამიკური ფინალი




მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ორი საუკეთესო კლუბისთვის, თბილისის "დინამოსა" და ქუთაისის ტორპედოსთვის" დავით ყიფიანის თასის გუშინდელი ფინალი უკვე დასრულებულ სეზონში რაიმე ტიტულის მოპოვების ბოლო ცდა იყო. როგორც ერთ, ისე მეორე გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა ეს თასი, რათა გულშემატკივრების თვალში სეზონის წარუმატებლობების სარეაბილიტაციოდ ამ ჯილდოსთან ერთად, უეფას თასის საგზურიც დაებევებინა.

გუშინდლამდე "დინამო" ამ პრესტიჟულ ჯილდოს ექვსჯერ ფლობდა. რაც შეეხება "ტორპედოს", ქუთათურებს თასი 2-ჯერ ჰქონდათ მოპოვებული და არც მესამე დაუფლებაზე იტყოდნენ უარს. მიუხედავად იმისა, რომ თასის ფინალში როგორც ერთ, ისე მეორე გუნდს მონაწილეობა საკმაოდ ბევრჯერ მიუღია, აქამდე თასის გადამწყვეტ შეხვედრაში "დინამოს" და "ტორპედოს" გზები ჯერ არ გადაკვეთილა, რაც მატჩისადმი ინტერესს აორმაგებდა.

მატჩის წინა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ორივე გუნდის მწვრთნელი შეთანხმდა, რომ თასის ფინალში ორივე გუნდს წარმატების მიღწევაზე თანაბარი შანსი ჰქონდა. პრინციპში, მწვრთნელები არც შემცდარან - თამაშმა მათი ეს ვარაუდი დაადასტურა.

იმის გამო, რომ შეხვედრა სახელმწიფო ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, ხოლო თამაშზე დასწრების მსურველთ ამის გაკეთება სრულიად უფასოდ შეეძლოთ, მატჩის პერიპეტიების დაწვრილებით გადმოცემა აზრს მოკლებულია. ამიტომ მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე გავამახვილებ ყურადღებას.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, თამაში "ტორპედოს" აქტიურობით დაიწყო და ქუთათურებმა პირველივე წუთზე ძალიან სწრაფი, ლამაზი და შედეგიანი კომბინაცია გაითამაშეს; დამაგვირგვინებელ ფაზაში თოდუამ ფლანგიდან ერთი შეხებით გამჭოლი გადაცემა გააკეთა, რომელსაც დასწრებაზე პირველი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, დავითაშვილი გამოეხმაურა და ზოიძე ახლო მანძილიდან, ასე ვთქვათ, "დაცხრილა".

გატანილი გოლის შემდეგ "ტორპედომ" ინიციატივა კი დათმო, მაგრამ საკმაოდ კარგად ჰქონდა საკუთარი საჯარიმოს მისადგომები გამაგრებული, რის გამოც, დედაქალაქელებმა პირველ ტაიმში სახიფათო მომენტი სტურუას კართან თითქმის ვერ შექმნეს. ახალაიას თავის გამოჩენის შანსი მხოლოდ ერთხელ მიეცა, მაგრამ ახლო მანძილიდან არცთუ ძლიერად დარტყმული მეკარემ მოიგერია.

ცალკე საუბრის თემაა შესვენება, სადაც მაყურებლებმა, სამწუხაროდ, ბანანის რესპუბლიკების შესაფერისი საქციელით ისახელეს თავი. ლიგის გენერალურმა სპონსორმა, კომპანია "კოკა კოლამ" გულშემატკივრებისთვის სიურპრიზი მოამზადა - ფეხბურთის რამდენიმე ასეული ბურთი, რომელიც ნორჩ ფეხბურთელებს ძლიერი დარტყმით ტრიბუნებზე უნდა გაეგზავნათ. როგორც კი ბურთების პირველი ტალღა ტრიბუნებისკენ წამოვიდა, სტადიონზე მოსულებმა იხუვლეს და ყველა მხრიდან დაიწყეს გაზონზე შეჭრა, სადაც, ცენტრალურ ნაწილში, ბურთები ერთად იყო თავმოყრილი. მოედანი ბურთის დაუფლების რამდენიმე ათასი მსურველით რამდენიმე წამში გაივსო. ბედად, ნორჩმა ფეხბურთელებმა სახიფათო ადგილს გაცილება მოასწრეს და ზედახორაშიც სერიოზულად არავინ დაშავებულა.

შეხვედრის მეორე ნახევარი ზუსტად პირველის ანალოგიური სცენარით დაიწყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად დავითაშვილმა ბურთი მიზანს ააცილა. ძალიან მალე, ამუშავდა ულმობელი და დაუწერელი საფეხბურთო კანონი - "არ გაიტან, გაგიტანენ". და "დინამომ" 15 წუთში პირველი საპასუხო გოლი გაიტანა. ეს, ბრწყინვალე შორეული დარტყმით, გუნდს მეორე ეტაპზე "დინამო 2"-იდან შემატებულმა კაშიამ გააკეთა. სხვათა შორის, ეს გოლი, რომელიც თანამედროვე "დინამოს" ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, კაშიასთვის სადებიუტოა.

გატანილმა გოლმა "დინამოს", მართლაც, ფრთები შეასხა და კიდევ 2 წუთში სილაგაძემ გამარჯვების გოლი გაიტანა, რითაც შეხვედრის პირველ წუთზე დაშვებული საკუთარი შეცდომა გამოასწორა (სწორედ სილაგაძემ ვერ შეძლო გოლის გატანის დროს დავითაშვილისთვის ხელის შეშლა).

შეხვედრა ასევე დასრულდა და როგორ გგონიათ, ვინ გახდა მატჩის გმირი და "დინამოს" მიერ თასის მოპოვების მთავარი შემოქმედი? სადებიუტო გოლის ავტორი კაშია თუ გამარჯვების გოლის გამტანი სილაგაძე? არც ერთი და არც მეორე. ანგარიშში ჩამორჩენის შემდეგ, "ტორპედო" საგრძნობლად გააქტიურდა და სამჯერ გოლის გატანას აღარაფერი აკლდა, მაგრამ ვეტერანმა ზოიძემ, მართლაც, სასწაულები მოახდინა და გუნდი და თასი იხსნა. მატჩს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ფრანგი ალენ ჟირესი ესწრებოდა, რომელიც, ალბათ, ნანობს, ზოიძე რომ დღევანდელ მატჩზე გამოძახებული არ ჰყავს.

სერგო კვარაცხელიას საფინალო სასტვენის შემდეგ კი ქომაგი კიდევ ერთხელ გადავიდა მინდორზე, ამჯერად - საყვარელ გუნდთან თასის მოგების სიხარულის გასაზიარებლად.

მაშ ასე: თასი "დინამოსია". "24 საათი" ულოცავს საქართველოს ყველა დროის საუკეთესო კლუბს ამ გამარჯვებას და უეფას თასზე საქართველოს ღირსეულად წარდგენას უსურვებს.

TV-სპორტი

## ხუთშაბათი. 27 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**

08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1997. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "MIAMI HEAT" - "NEW YORK KNICKS". მე-7 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. "დეპორტივო კალი" (კოლუმბია) – "რივერ პლეიტი" (არგენტინა)
15:00 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "მონაკო" - "პორტუ"
17:00 თავისუფალი დარტყმა
17:15 წვრილმანები. "ვალერი ლობანოვსკის მემორიალი"
17:45 "დარტყმა გოლისთვის"
18:00 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
18:30 "FUTBOL MUNDIAL"
19:00 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. "დეპორტივო ტაჩირა" (ვენესუელა) – "სან პაულუ" (ბრაზილია)
20:45 თავისუფალი დარტყმა
21:00 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებთა შორის გერმანიაში. სერბია და მონტენეგრო – ხორვატია. პირდაპირი ტრანსლაცია
23:05 წვრილმანები. ავსტრია – რუსეთი
23:25 თავისუფალი დარტყმა
23:40 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებთა შორის გერმანიაში. იტალია – ბელორუსი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:35 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
03:30 03:30-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: პიტ მაროვიჩი
05:30 NBA TV. დღიური
06:00 NBA TV. დასავლეთ კონფერენციის ფინალი. "LOS ANGELES LAKERS" - "MINNESOTA TIMBERWOLVES". მე-4 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

11:00, 14:00, 17:00, 20:00 პრესცენტრი
11:20, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:25, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. "როლან გაროსი"
14:35 "ათენის გზაზე"
15:35 "Power week – NHL-ის კვირა"
16:05 ბოულინგი. "US Open"
17:15 როდეო. "Bull Riders"
18:00 სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი. ევროპული პროგრამა
19:00 დიდი თავგადასავალი ბორნეოზე. ნაწილი მეოთხე
20:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
20:45 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
21:15 "მოტოვებული კვირა"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:10 "სპორტის აკვატორია"
23:00 ჭადრაკი. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ელისტაში
23:30 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. გადაცემა იაპონიიდან
00:20 "კეგლის დროა"
00:50 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
01:20 ახალი ამბები
01:35 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
02:05 "სპორტის აკვატორია"
02:50 02:50-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. "TAMPA BAY LIGHTNING" - "CALGARY FLAMES". მეორე მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
12:30 სპიდვეი. ჩეხეთის გრან-პრი
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ლეგენდები
14:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
17:45 ველორბოლა. იტალიის ტური
20:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
23:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
00:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
01:00 ველოსპორტი. სატრეკო მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრალიაში
02:45 ახალი ამბები
03:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის საათი

ჩოგბურთი

# იმედგაცრუებული

სამწუხაროდ ირაკლი ლაბაძე დამარცხდა. მან ვერ შესძლო ფრანგი ფაბრის სანტოროს ბარიერის დაძლევა. ქართველ ჩოგბურთელს გადამწყვეტ მომენტში არც ფიზიკური და არც ფსიქოლოგიური მუხტი არ ეყო იმისთვის, რომ უპირატესობა ლოგიკურ დასასრულამდე მიეყვანა. არადა, სამი სეტის შემდეგ ირაკლი წინ იყო - 2:1. თუმცა, ფრანგის შემართებამ და გულშემატკივართა წარმოუდგენელმა მხარდაჭერამ თავისი გაიტანა. ფაბრის სანტორო მესამე წრეში ითამაშებს.

პარიზის კორტებზე დღისა და, ალბათ, მთელი ტურნირის უდიდესი სენსაცია გამოცხვა. ქალთა თანრიგში იტალიელმა ტატიანა გარბინიმ ორ სეტში მოულოდნელად დაძლია მსოფლიოს პირველი ჩოგნის, ბელგიელი ჟიუსტინ ენინ-არდენის წინააღმდეგობა - 7:5, 6:4 და დაუმარცხებელი ბელგიელი სამშობლოში გაისტუმრა. "არასდროს ვყოფილვარ ისეთი იმედგაცრუებული, როგორც დღეს", - მატჩის შემდეგ განაცხადა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა.

მის პირველობას საფრანგეთის ღია პირველობის შემდეგ არაფერი დაემუქრება, მაგრამ მაინც საწყენია, როცა მეტოქის მოწოდებას მოიგებ და ამ სიმწრით მოპოვებულ უპირატესობას გაფლანგავ. პირველ სეტში ჟიუსტინ ენინმა ერთადერთი სერიოზული შეცდომა დაუშვა და ეს შეცდომა თავისი გეიმისა და საბოლოო ჯამში სეტის წაგებად დაუჯდა. ტატიანა გარბინი ისეთი მობილიზებული იყო, როგორც არასდროს, მაგრამ მეორე სეტში მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მაინც მოახერხა მისი მოწოდების მოგება და ანგარიშით - 4:2 დაწინაურდა, მაგრამ ყველაფერი, შეიძლება ითქვას, ამის შემდეგ დაიწყო. ჟიუსტინ ენინ-არდენმა ზედიზედ ოთხი გეიმი დაუთმო გაყოყოჩებულ მეტოქეს და... "როლან გაროსსაც" დაემშვიდობა.

მეორე თვალსაჩინო სიურპრიზი ბელგიელი ხავიერ მალისესგან ტურნირის მეშვიდე ნომრის, გერმანელი რაინერ შუტლერის დამარცხება იყო. მალისემ საკმაოდ იოლად, სამ სეტში გაანადგურა მეტოქე - 6:4, 7:5, 6:4.


ჟიუსტინ ენინ-არდენი გაოცებული დარჩა

### ვაჟები:

| | |
|---|---|
| ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) - ირაკლი ლაბაძე (საქართველო) | 6:4, 3:6, 2:6, 6:1, 6:2 |
| გილიერმო კორია (არგენტინა, 3) - ხუან მონაკო (არგენტინა) | 7:5, 6:1, 6:3 |
| ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა, 22) - ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 7:5, 6:2, 6:2 |
| კარლოს მოია (ესპანეთი, 5) - ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) | 6:1, 6:2, 6:1 |
| ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) - ფლორიან მეიერი (გერმანია) | 6:4, 6:3, 6:4 |
| ალექს კორეჩა (ესპანეთი) - პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი, 13) | 6:4, 7:5, 6:3 |
| ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 4) - ტომი ჰაასი (გერმანია) | 3:6, 6:4, 6:4, 6:2 |
| გალო ბლანკო (ესპანეთი) - ლუის ჰორნა (პერუ) | 2:6, 6:4, 1:6, 6:2, 6:3 |
| ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 9) - ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) | 6:0, 6:3, 6:3 |
| მარიო ანჩიჩი (ხორვატია) - მარიანო საბალეტა (არგენტინა, 30) | 6:3, 6:4, 3:6, 6:4 |
| იგორ ანდრეევი (რუსეთი) - იან ვაცეკი (ჩეხეთი) | 6:3, 6:1, 6:4 |
| დავიდ ფერერი (ესპანეთი) - ოლივიე როხუსი (ბელგია) | 6:1, 6:1, 6:3 |
| ჟულიენ ბენეტი (საფრანგეთი) - მაქსიმ მირნი (ბელორუსი, 29) | 7:5, 7:5, 1:6, 6:3 |
| იონას ბიორკმანი (შვედეთი, 24) - ტეილორ დენტი (აშშ) | 6:3, 2:6, 6:3, 3:6, 6:2 |
| ტომას ენკვისტი (შვედეთი) - კენეტ კარლსენი (დანია) | 6:2, 6:3, 6:4 |
| ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი, 14) - ენტონი დიუპუა (საფრანგეთი) | 6:4, 6:4, 6:7 (4:7), 6:3 |
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 12) - არნო დი პასკუალე (საფრანგეთი) | 6:0, 7:6 (7:5), 4:6, 6:1 |
| იურგენ მელცერი (ავსტრია) - უეინ ფერეირა (სარ) | 6:7 (4:7), 6:2, 6:4, 6:3 |
| ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) - ჟან-რენე ლისნარდი (საფრანგეთი) | 7:5, 6:2, 6:4 |
| მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია, 19) - ჟულიენ ბუტერი (საფრანგეთი) | 7:5, 6:3, 6:1 |
| ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 26) - ფლავიო სარეტა (ბრაზილია) | 6:2, 6:2, 6:7 (2:7), 6:4 |
| კრისტოფ როხუსი (ბელგია) - მარკ ლოპესი (ესპანეთი) | 6:4, 6:1, 6:1 |
| დანიელ ელსნერი (გერმანია) - ალექსანდერ პეია (ავსტრია) | 6:1, 7:6 (7:4), 6:2 |
| ხავიერ მალისე (ბელგია) - რაინერ შუტლერი (გერმანია, 7) | 6:4, 7:5, 6:4 |

### ქალები:

| | |
|---|---|
| ტატიანა გარბინი (იტალია) - ჟიუსტინ ენინი (ბელგია, 1) | 7:5, 6:4 |
| ჟი ჩენგი (ჩინეთი) - ემილი ლუა (საფრანგეთი, 31) | 6:4, 6:1 |
| ტატიანა პერებიინისი (უკრაინა) - ეშლი ჰარლკროუდი (აშშ) | 6:1, 6:3 |
| ვერა ზვონარევა (რუსეთი, 10) - მეგი სერნა (ესპანეთი) | 5:7, 6:1, 6:4 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი, 18) - რიტა გრანდე (იტალია) | 6:2, 6:0 |
| მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) - მარი ელენა კამერინი (იტალია) | 4:6, 6:4, 6:4 |
| ნადია პეტროვა (რუსეთი, 8) - იულიანა ფედაკი (უკრაინა) | 6:0, 6:1 |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი, 3) - ანაბელ მედინა ჰარიგესი (ესპანეთი) | 6:0, 4:6, 6:1 |
| არანჩა პარა სანტონია (ესპანეთი) - ლიზა რეიმონდი (აშშ, 28) | 6:4, 6:0 |
| ელენა დემენტიევა (რუსეთი, 9) - ნიკოლ პრატი (ავსტრალია) | 6:2, 6:2 |
| ანა სმაშნოვა (ისრაელი, 19) - კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) | 6:1, 7:5 |

კრივი

# ჰოლიფილდმა, კლიჩკოო

ბიბა ბურასაშვილი

როდესაც კრივის სამყაროს ლენოქს ლუისი განაგებდა, ყველა პატივმოყვარე და ამბიციებმოძალებული მოკრივე ბრიტანელის ჰეგემონიის შეწყვეტას ლამობდა. როდესაც ლუისმა ხელთათმანები გაიძრო და ყველაზე პრესტიჟული კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) უმთავრესი საჩემპიონო სარტყელი სხვათა საჯილდაო გახადა, საჩემპიონოდ მოვარაყებული ქამრის დაუფლების მსურველთა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. თუმცა, საბჭოს ქამრისკენ რომ გაიხედო, ამასაც დამსახურება უნდა. ამიტომ ვაკანტურად გამოცხადებული უმთავრესი ტიტულისკენ მხოლოდ იმათ გაუხსნეს გზა, ვისაც სხვაზე მეტად შეიძლებოდა ჰქონოდა მისი დასაკუთრების პატივი. ქამრის დაუფლებაში არავის გაუბედავს, გზა გადაეღობა უკრაინელი ვიტალი კლიჩკოსთვის, რომელმაც გასაქანი არ მისცა სამხრეთაფრიკელ კორი სანდერსს და საბჭოს იერარქიაში შემთხვევის წყალობით დაწინაურებულის ამბავი კიდევ ერთხელ დაუდასტურა მსოფლიოს. მას შემდეგ თვე და სამი დღე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ გამოჩნდნენ ვიტალისთან გაჯიბრების მსურველნიც. ამბობენ, მათ რიგებს ოდესღაც დიდი ჩემპიონი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ევანდერ ჰოლიფილდიც შეემატაო. ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენად სარწმუნოა ეს ინფორმაცია, მაგრამ წარმოუდგენელიც არ უნდა იყოს, რადგან ჰოლიფილდს კვლავაც სურს საჩემპიონო ქამრების ერთიანად მოხვეჭა და, შესაბამისად, აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის წოდება. ასე რომ, ისედაც ცხადია, აბსოლუტური ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე საბჭოს ტიტულის დაუფლება ერთგვარი აუცილებლობაცაა. საბჭოს უმთავრეს სარტყელს კი, მოგეხსენებათ, უკრაინელი ფლობს. აქედან გამომდინარე, ვიტალისთან ჩხუბის სურვილი ოფიციალურადაც რომ არ იყოს გაცხადებული, ყველაფერი ისედაც ნათელია - ჰოლიფილდი კლიჩკო-უფროსის ტახტიდან ჩამოგდებაზე უნდა ფიქრობდეს.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად სარწმუნოდ და ოფიციალურად უნდა ჩაითვალოს ჰოლიფილდის სურვილი, როგორც New York Post-ის ერთ-ერთი რეპორტიორი ირწმუნება, ამის თაობაზე მას თავად ჰოლიფილდმა ამცნო. უფრო სწორად, პრომოუტერ დონ კინგს ევანდერისთვის საბჭოს ვერსიით საჩემპიონო ორთაბრძოლის კონტრაქტი გაუხერხებია, რაც, ბუნებრივია, ვიტალისთან ჩხუბს ნიშნავს. თუმცა, თავად მოკრივეს პირში წყალი აქვს ჩაგუბებული და არ ამხელს არც ბრძოლის ადგილს და არც თარიღს. იმავე გაზეთის თანახმად, კრივისთვის მობერებულ ჰოლიფილდს საბჭოს ტიტულისთვის ბრძოლის პერსპექტივა ერთ-ერთ ძვირფას რესტორან Nello's-ში აღუნიშნავს, თანაც, იაპონური ბიფშტექსებით. ცალი ბიფშტექსი 250 დოლარი ღირებულა. აი, ღვინო კი... ღვინო Screaming Eagle, რაც დაახლოებით მყვირალა თუ მკივანა არწივს ნიშნავს. მართლაც, რომ მყვირალა ფასი ჰქონია – ერთი ბოთლი 4000 დოლარი!

ის, რომ ჰოლიფილდს დიდი ბრძოლები მონატრებია, ადრეც არაერთხელ გვითქვამს. ამ მხრივ მარტი გამორჩეული დრო იყო. გაზაფხულის დადგომისთანავე ჰოლიფილდმა კრივის სამყაროს ამცნო: ფრთხილად, მე მოვდივარ, რათა მსოფლიოს კვლავაც აბსოლუტურ ჩემპიონად მოვევლინოო!

დასახული მიზნის განსახორციელებლად ჰოლიფილდს სურს, მთლიანად გადაახალისოს გუნდი. უფრო სწორად, უნდა, მომავალი იმ ადამიანებს დაუკავშიროს, რომლებიც საკუთარ თავზე აიღებენ ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა კრივის გარდა სხვა საზრუნავი არ ჰქონდეს.

"არ მინდა, შესახურებელი ორთაბრძოლები ნაკლებად ცნობილ მეტოქეებთან მქონდეს. მაგათ სავარჯიშო დარბაზშიც ვერჩხუბები, - დიდ გულზეა ჰოლიფილდი. – რომ არ მჯეროდეს, რომ კვლავაც შემიძლია გავაერთიანო სამივე საჩემპიონო ქამარი, კრივიდან წავიდოდი".

ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ბოლოს შარშან, ოქტომბერში, ლას ვეგასში წარდგა მაყურებლის წინაშე, თუმცა, წარუმატებლად. ჯეიმს ტონი, რომელსაც, სხვათა შორის, დებიუტი ჰქონდა სუპერმძიმეწონოსანთა შორის, მეცხრე რაუნდის დასრულებამდე 1:42 წუთში ჰოლიფილდთან გამარჯვებულად გამოცხადდა. უფრო სწორად, იმდენად აშკარა იყო ტონის უპირატესობა ჰოლიფილდზე, რომ ამ უკანასკნელის მწვრთნელს სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა ერთისა: დანებების ნიშნად რინგზე პირსახოცი გადაეგდო. ჰოლიფილდი ის ჰოლიფილდი აღარ იყო. ჯეიმს ტონისთან შერკინება ვეტერანი მოკრივისთვის 47-ე გახლდათ. რა თქმა უნდა, პროფესიულ რინგზე. 38 ბრძოლა მოიგო, შვიდში კი დამარცხდა. ამ ხნის განმავლობაში ჰოლიფილდმა ოთხჯერ შემოირტყა ჩემპიონის ქამრები და ამდენჯერვე დაკარგა.

დღესდღეობით ძირითად ფედერაციათა შორის WBC (საბჭო), IBF (ფედერაცია), WBA (ასოციაცია), WBO (ორგანიზაცია) ჰოლიფილდის სახელს მხოლოდ ასოციაციის რეიტინგში ვხედავთ და აქაც საუკეთესო თხუთმეტის ბოლოს. სხვათა შორის, იმავე რეიტინგში ორი კვირის წინათ ჰოლიფილდს მე-11 საფეხური ეკავა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, აქვე გთავაზობთ ძირითად ფედერაციათა დღევანდელ რეიტინგს.

P.S. მოგვიანებით გაირკვა, რომ დონ კინგს არანაირი კონტრაქტიც არ გაუხერხებია ჰოლიფილდისთვის. თუმცა, ერთი რამ მაინც უტყუარია: ჰოლიფილდს რინგზე დაბრუნება სურს.


შარშან ბერდმა ჰოლიფილდი მაგრად სცემა

**WBC**

**ვიტალი კლიჩკო**
1. ჯო მეზი
2. ხუან კარლოს გომესი
3. ჯეიმს ტონი
4. ჰასიმ რაჰმანი
5. ჰენრი აკინვანდე
6. ჯამილ მაკლაინი
7. დევიდ ტუა
8. მაიკ ტაისონი
9. მონტე ბარეტი
10. დავრულ უილიამსონი
11. ვასილი ჟიროვი
12. ოუენ ბეკი
13. ოლეგ მასკაევი
14. ვლადიმირ კლიჩკო
15. ელისერ კასტილო

**IBF**

**კრის ბერდი**
1. ვაკანტური
2. ვაკანტური
3. ჯამილ მაკლაინი
4. ჯეიმს ტონი
5. ხუან კარლოს გომესი
6. ჰასიმ რაჰმანი
7. ანჟეი გოლოტა
8. ჯო მეზი
9. ლანც ვიტაკერი
10. ვასილი ჟიროვი
11. დევიდ ტუა
12. ჰენრი აკინვანდე
13. მონტე ბარეტი
14. დავრულ უილიამსონი
15. დერიკ ჯეფერსონი

**WBA**

**ჯონ რუისი**
1. ვაკანტური
2. ჰასიმ რაჰმანი
3. ჯეიმს ტონი
4. ლენს უიტაკერი
5. ჯო მეზი
6. დევიდ ტუა
7. მონტე ბარეტი
8. ვლადიმირ კლიჩკო
9. კორი სანდერსი
10. ოუენ ბეკი
11. ნიკოლაი ვალუევი
12. ანჟეი გოლოტა
13. ფარუქ სალემი
14. ჯამილ მაკლაინი
15. ევანდერ ჰოლიფილდი

**WBO**

**ლეიმონ ბრიუსტერი**
1. ჯეიმს ტონი
2. ჯამილ მაკლაინი
3. ჰასიმ რაჰმანი
4. ხუან კარლოს გომესი
5. ჯო მეზი
6. ვლადიმირ კლიჩკო
7. ლენს უიტაკერი
8. მონტე ბარეტი
9. ანჟეი გოლოტა
10. რეი ოსტინი
11. დომინიკ გუინი
12. დავრულ უილიამსონი
13. ტიმო ჰოფმანი
14. მაიკლ მიურერი
15. ოუენ ბეკი

მოკლედ

# "ბარსელონა" ჰოლანდიელებს ემშვიდობება



ბარსელონაში ჰოლანდიელთაგან მარტო ბრონკჰორსტი დარჩება

ესპანეთის "ბარსელონამ", რომელმაც წლევანდელ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, გადაწყვიტა, ოთხ ჰოლანდიელ ფეხბურთელს დაემშვიდობოს. ფორვარდები პატრიკ კლუივერტი, მარკ ოვერმარსი, ნახევარმცველი ფილიპ კოკუ და მცველი მიხაელ რაიციგერი იძულებული გახდებიან, ახალი კლუბები მოძებნონ.

როგორც ჩანს, ეს იქნება ჰოლანდიური კოლონიის დასასრული, რომელიც "ბარსას" ყოფილმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა დააფუძნა. კლუბში ტიტების ქვეყნის მხოლოდ ორი წარმომადგენელი დარჩება - მწვრთნელი ფრანკ რაიკაარდი და ნახევარმცველი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, რომლის კონტრაქტიც წარმატებული სეზონის შემდეგ კლუბმა ლონდონის "არსენალისგან" გამოისყიდა.

ყველაზე დიდი გაოცება კოკუს გაშვებამ გამოიწვია. 6 სეზონის განმავლობაში კატალონიურ კლუბში მან 200-ზე მეტი მატჩი ჩაატარა და 31 გოლი გაიტანა. კოკუმ უარი განაცხადა, კლუბთან კონტრაქტი იგივე პირობებით, მაგრამ დიდი პრემიებით განეახლებინა.

კლუივერტის წასვლა ასეთ გაოცებას არ იწვევს. 27 წლის ფორვარდიც, კოკუსი არ იყოს, გუნდში 1998 წელს მივიდა. რაიკაარდის ხელმძღვანელობით კლუივერტმა სეზონის დიდი ნაწილი სათადარიგოთა სკამზე გაატარა და არაერთხელ უთქვამს, რომ სიამოვნებით ითამაშებდა ინგლისის პრემიერლიგაში.

ამ ფეხბურთელების გაშვების გადაწყვეტილება რაიკაარდმა და კლუბის სპორტულმა დირექტორმა ასე ახსნეს: ოვერმარსი მინდორზე იშვიათად გამოდიოდა, ხოლო კოკუ ითხოვდა მეტისმეტად დიდ ხელფასს, რომლის გადახდასაც კლუბი არ აპირებს.

# "ლეიკერსმა" "მგლები" დაამარცხა

"ლეიკერსი" - "მინესოტა" 100:89 (სერიის ანგარიში 2:1)

"ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" საკუთარ მოედანზე სერიის მესამე მატჩი მოუგო "მინესოტა თიმბერვულვზს" და ანგარიშში დაწინაურდა - 2:1. მიუხედავად იმისა, რომ მხრებზე მარკ მედსენი ეკიდა, გუნდის ლიდერი შაკილ ო`ნილი მაინც ზევიდან ყრიდა ბურთებს. კობი ბრაიანტს პირველი ნახევრის განმავლობაში ფაქტობრივად ხელი არ გაუნძრევია. მან ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვა, მაგრამ შესვენების შემდეგ შესანიშნავად ათამაშდა და გუნდმაც სასურველ შედეგს მიაღწია.

შედეგად, შაკილ ო`ნილმა გუნდს 22 ქულა და 17 მოხსნა შესძინა. საღათას ძილიდან გამოფხიზლებულმა ბრაიანტმა კი მეორე ნახევარში 22 ქულა მოინაგრა. საერთოდ, ამ პლეი-ოფში "ლეიკერსი" ყოველგვარი შოუს ელემენტების გარეშე თამაშობს და ორიენტირებულია სუპერმყარ დაცვაზე. სწორედ სანიმუშო დაცვის გამოისობით დაამარცხა "ლეიკერსმა" მინესოტელი "მგლები". მეტოქე კი მთელი მატჩის განმავლობაში ცდილობდა, შაკილ ო`ნილზე დაჯარიმებული ყო, რადგან ლოსანჯელესელი გიგანტი საჯარიმოების ტყორცნაში მოიკოჭლებს. სხვათა შორის, "შაკმა" 22 შესაძლებლიდან ამ მატჩში 8 საჯარიმო გამოიყენა.

გამარჯვებულთა ვეტერანებიდან გარი პეიტონმა გამოიჩინა თავი. ის სხვებზე უფრო სახიფათო იყო. პეიტონმა 18 ქულა მოაგროვა, აქედან 14 პირველ მეოთხედში ჩააგდო. ამასთან, კევინ გარნეტმა 22 ქულა და 11 მოხსნა გაახერხა, მაგრამ წლევანდელი სეზონის MVP-ს (საუკეთესო მოთამაშე) ექვსი პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი დაატოვებინეს. თავის მხრივ, უოლი შერბიაკმა გუნდს 21 ქულა შესძინა, ამათგან 19 - მეორე ნახევარში. მოედანზე გამოჩნდა სემ კესელიც, რომელმაც ამ გუნდების მეორე მატჩში მხოლოდ 48 წამი ითამაშა. ამ შეხვედრაში კი "მგლების" გამთამაშებლის ანგარიშზე 26 წუთში 18 ქულაა.

# დაკარგული ცხვირი და ბრილიანტები

"იაგუარის" საჯინიბომ, რომელიც მონაკოს დიდი პრიზის სტარტზე ბრილიანტებით დამშვენებული გავიდა, სამეფო რბოლათა გულშემატკივრებს შორის ბუნებრივი ინტერესი გამოიწვია. იმ დღეს სტარტზე გასულ მრავალრიცხოვან ბოლიდებს შორის ყველაზე ძვირფასი "იაგუარის" ბოლიდები იყო. წარმოიდგინეთ, თითოეული ბოლიდის ცხვირზე სპონსორთა ახირებით მიმაგრებული ბრილიანტი რამდენიმე მილიონი დოლარი ღირდა. უფრო სწორად, ძვირფასი ქვა რამდენჯერმე აღემატებოდა თავად საჯინიბოს სიამაყეს. ბრილიანტებთან დაკავშირებული ისტორია ბევრისთვის თავშესაქცევი გამოდგა, მაგრამ არა სპონსორთათვის. კომპანია "Steinmetz"-ს, რომლის დამსახურებაცაა "იაგუარის" ძვირფასი ცხვირი, იდეა ძვირად დაუჯდა. საქმე ისაა, რომ კრისტიან კლინის ავარიის შედეგად ბრილიანტი უგზოუკვლოდ დაიკარგა. მაგრამ უფრო საინტერესოა, რა ხდებოდა ავარიის დროს საჯინიბოში. პრესმდივან ნავ სიდხუს აღიარებით, ავარიისას მას ანაღვლებდა არა პილოტ კრისტიან კლინის ბედი, არამედ ბრილიანტებისა: "როდესაც ავარია მოხდა, რასაკვირველია, პილოტსა და მანქანაზე უნდა მენაღვლა, მაგრამ ფაქტია, რომ პირველად ბრილიანტებმა გამიელვა.

ათასამდე ადამიანი ეძებდა ბოლიდის ცხვირიდან დაკარგულ ძვირფას ქვას. ვეჭვობ, ერთ-ერთმა მათგანმა ტრასა განსაკუთრებული ნივთით დატოვა", - განაცხადა "იაგუარის" პრესმდივანმა და იქვე დასძინა, რომ საჯინიბოში აღარა აქვთ იმის იმედი, რომ ოდესმე მაინც მიაგნებენ ძვირფას ქვებს.

ახლა თავს იმითღა ინუგეშებენ, რომ "იაგუარი" მზად იყო ამგვარი შემთხვევისთვის: სხვაგვარად ასეთ აქციაზე არც წავიდოდით. კომპანია "Steinmetz"-იც შეეგუა დანაკარგსო.

# ამერიკული მარკეტინგი, რუსული დიპლომატია და

## ქართული ყვავილოვანი რევოლუცია

**დასასრული.
დასაწყისი იხ. NN122, 123**

ვახტანგ ძაბირაძე

განახლებული მოქკავშირის თავმჯდომარედ სახელმწიფო მინისტრის დანიშვნა იყო ღია განაცხადი იმისა, რომ მოქკავშირი კვლავ რჩება სახელისუფლებო პარტიად და მისი რეალური ხელმძღვანელი პრეზიდენტია. საოცარია, რომ განახლებული პარტიის საზოგადოებისთვის წარდგენაში თავმჯდომარეზე მეტად მასმედიაში ფიგურირებდნენ ის პირები საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლებიდან, რომელთა მიმართ საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება საყოველთაოდ იყო ცნობილი. ამავე ნიშნით წარიმართა ამომრჩეველთა სიების (ვინ გააყალბა ამომრჩეველთა სიები, დღემდე უცნობია. რეალურად ისე ჩანს, რომ სიების გაყალბება ორივე მხარის ინტერესში შედიოდა; ხელისუფლებას შეეძლო არაზუსტი სიები არჩევნების გაყალბებისათვის გამოეყენებინა, ოპოზიციას, იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შედეგები მისთვის არასასურველი იქნებოდა, არაზუსტი საარჩევნო სიები არჩევნების ჩაშლის საბაბად გამოადგებოდა, რაც მოხდა კიდეც, ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა, ოპოზიციამ კი არჩევნები ჩაშალა!) და საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ბეიკერისეული ვარიანტის ქართული ტრანსკრიფციის საპარლამენტო თუ საჯარო განხილვაც.

საწყის ეტაპზე მამალაძესთან მკვეთრი დაპირისპირების მიუხედავად, როგორც კი ა. ჯორბენაძემ მოახერხა მასთან ურთიერთობის დარეგულირება, მოქკავშირს შეუერთდნენ სოციალისტები და ეროვნულ-დემოკრატები. მათი შემომატებით მოქკავშირის არც იმიჯი შეცვლილა და არც გავლენა, ეს თავიდანვე ნათელი იყო, მაშ რისთვის იყო საჭირო სოციალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების შემოერთება? იქნებ შევარდნაძემ უარი ვერ უთხრა თავის ძველ თანამებრძოლებს ან იქნებ იმედი ჰქონდა, რომ ვ. რჩეულიშვილი და ი. სარიშვილი თავისი ამბიციებით დისონანსს შეიტანდნენ უკვე ჩამოყალიბებული პარტიის მმართველ ბირთვში? ალბათ უფრო მეორე, შემდგომი პროცესებიც ამ მოსაზრებას ადასტურებს. მაგრამ ვ. რჩეულიშვილსა და ი. სარიშვილს ამჯერად საკმაოდ მოკრძალებული მიზნები ჰქონდათ - ისინი ცდილობდნენ პარლამენტში მოხვედრით აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელებას, ამასთანავე შეეძლოთ საარჩევნო ტექნოლოგიების იმდაგვარად გამოყენება, რომ 15 პროცენტიანი წარმატების შემთხვევაშიც კი მაჟორიტარების ხარჯზე პარლამენტში ყველაზე მრავალრიცხოვან ფრაქციად ჩამოყალიბებულიყვნენ, რაც იმთავითვე გამორიცხავდა ზ. ჟვანიასა და ნ. ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევის შესაძლებლობას. სწორედ ამის დაშვება არ შეიძლებოდა და ეს რომ არ მომხდარიყო, შევარდნაძე თავისი თანაპარტიელებისთვის საკმაოდ მოულოდნელ გადაწყვეტილებას იღებს - საარჩევნო ბლოკში შეჰყავს თ. ნადარეიშვილი და ქრისტიან-დემოკრატები ვ. ლორთქიფანიძის მეთაურობით, და თანაც არა უბრალოდ შეჰყავს, არამედ ბლოკის პირველ ნომრად ვ. ლორთქიფანიძეს ასახელებს. ამ გადაწყვეტილებით სახელისუფლებო ბლოკი, ერთი მხრივ, იძენს პრორუსულ ელფერს (ოპოზიცია და მასმედია მაშინვე იწყებენ საუბარს პრეზიდენტის საგარეო ორიენტაციის შეცვლის თაობაზე) და მეორე მხრივ, რაც მთავარია, ბლოკში მყარდება სამხელისუფლებიანობა - ვ. ლორთქიფანიძე, ა. ჯორბენაძე, ლ. მამალაძე; და ეს ხდება მაშინ, როცა ურთიერთობათა დასარეგულირებლად სახელისუფლებო სამეულს არანაირი დრო აღარ რჩება! თითოეული მათგანი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მომხრე გაიყვანოს პარტიული სიით და ამისათვის არანაირ გაყალბებას, როგორი ტლანქი და უხეშიც უნდა იყოს, არ მოერიდება. ეგ კი არა, იწყება მოკავშირეთა ძებნა სხვა პარტიებში; ასე რომ, 1992 წლის არჩევნების გამოცდილების გამოყენება შეუძლებელია, ხოლო არჩევნების გაყალბება გარდაუვალი და, შესაბამისად, სახელისუფლებო ბლოკი განწირულია.

როგორც კი არჩევნების შედეგების წინასწარი მონაცემების გამოქვეყნება დაიწყო, ცხადი გახდა, რომ „ბურჯანაძე-დემოკრატები"-ს მაქსიმალური შედეგი 7 პროცენტიანი ბარიერის დაძლევა იქნებოდა, ამიტომ ზ. ჟვანია სასწრაფოდ იწყებს საპროტესტო აქციის ორგანიზებას, მას მხარს უჭერს მასმედია და არასამთავრობო სექტორი, გარკვეული დროის შემდეგ აქციაში ერთვება „ნაციონალური მოძრაობა" და აშკარა ხდება, რომ აქცია აგორდება, პრეზიდენტი კი ისე იქცევა, თითქოს მნიშვნელოვანი არაფერია მოსალოდნელი და ძირითადად უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან პირდაპირი თუ სატელეფონო კონსულტაციებით არის დაკავებული: შევარდნაძე ნოემბრის შუა რიცხვებში პარლამენტის წინ გამართულ გრანდიოზულ მიტინგს სენაკში ძროხების მონახულებითა და ბათუმში ვოიაჟით პასუხობს, რაც საზოგადოების აღშფოთებასა და გაოგნებას იწვევს და იწყება საუბარი პრეზიდენტის არაადეკვატურობასა და არაქმედუნარიანობაზე, იწყება საზოგადოებრივი აზრის დამუშავება ქვეყნის შიგნით და გარეთ, რასაც შემდგომში ნ. ბურჯანაძე გამოიყენებს ანუ მზადდება პრეზიდენტის გადაყენების იდეოლოგიური საფუძველი (როდესაც ნ. ბურჯანაძემ ძალაუფლება იკისრა, პირველივე განცხადებაში სწორედ პრეზიდენტის არაქმედუნარიანობაზე ალაპარაკდა), მაგრამ პრეზიდენტს უფრო მნიშვნელოვანი მისია აკისრია, ვიდრე სენაკში ძროხების მონახულება: მან უნდა შეძლოს ასლან აბაშიძისა და აღორძინების ჩათრევა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, ასლან აბაშიძე უნდა გახდეს მისი და მისი ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერი. ეს, რა თქმა უნდა, ვერ იხსნის შევარდნაძის ხელისუფლებას. მას არცა აქვს ამის იმედი, მიზანი სხვაა - საქართველოში არ უნდა დარჩეს თუნდაც ფორმალურად ნეიტრალური პოლიტიკური ძალა (აბაშიძის რეჟიმის სტაბილურობას მოსკოვის მხარდაჭერა და თბილისთან პარტნიორობა განაპირობებდა, თუმცა ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ თბილისთან პარტნიორული ურთიერთობა საზოგადოებაში თბილისთან კონფლიქტად წარმოეჩინათ). აბაშიძე ცდუნებას ვერ უძლებს - ის თანხმდება შევარდნაძის დესპანობას ერევანში, ბაქოსა და მოსკოვში, ხოლო პარლამენტის შენობის წინ ოპოზიციის მიერ გათავისუფლებულ ადგილს ბათუმიდან ჩამოყვანილი აბაშიძის მომხრეები იკავებენ.

წრედი, რომ იტყვიან, შეკრულია, დარჩა დეტალები, თუმცა მეტად მნიშვნელოვანი. ცესკო-მ შეაჯამა და დაამტკიცა არჩევნების შედეგები, ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა კანონის მოთხოვნით 22 ნოემბერს უნდა გაიმართოს; ოპოზიციამ ცესკო-ს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა და 22 ნოემბერს დღის ორი საათისათვის დანიშნა საპროტესტო აქცია თავისუფლების მოედანზე.

ოპოზიციის მოწოდება მოსახლეობისადმი მასმედიის საშუალებებით ფართოდ იქნა რეკლამირებული და ტირაჟირებული. ამის შესახებ, ბუნებრივია, საქართველოს პრეზიდენტიც ინფორმირებულია. ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანური ლოგიკით, სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, რა თქმა უნდა, ჯობია პარლამენტის სხდომა დილის 10, უკიდურეს შემთხვევაში 12 საათისთვის მაინც დაინიშნოს, მაგრამ "არაადეკვატური" პრეზიდენტი პარლამენტის სხდომას რატომღაც დღის ოთხი საათისათვის ნიშნავს, ანუ იმ დროისათვის, როცა თავისუფლების მოედანზე მოსვლას მოასწრებს ყველა, საქართველოს ყველაზე შორეული კუთხიდანაც კი, თუ ამის სურვილი გააჩნია და ოთხი საათისათვის მომიტინგეთა მაქსიმალური რაოდენობა იქნება! პრეზიდენტი ან მართლაც ძალიან "არაადეკვატურია", ან ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ აიძულოს მომიტინგენი, შტურმით აიღონ პარლამენტი, თუ კვორუმი შედგება და სხდომა გაიხსნება. კვორუმი შეიკრიბა და, შესაბამისად, შტურმიც განხორციელდა! პარლამენტის შენობიდან გამოძევებული შევარდნაძე ბათუმიდან ჩამოყვანილ მომიტინგეთა წინაშე მოკლე სიტყვით გამოდის და ისეთი სისწრაფით ტოვებს მომიტინგეებს, რომ მათ შორის ორთოდოქს კამიკაძესაც არ გაუჩნდებოდა სურვილი, წინააღმდეგობა გაეწია თავისუფლების მოედნიდან წამოსული ოპოზიციური მასისთვის. კრწანისში მობრუნებული შევარდნაძე საგანგებო მდგომარეობის შემოღებით იმუქრება, თუმცა გაუგებარია, რა ძალებზე დაყრდნობით შეიძლება საგანგებო მდგომარეობის შემოღება და განხორციელება, - ცხადია, ქართველი ძალოვანი სტრუქტურები ამ მისიას არ შეასრულებენ (როგორი ცუდი წარმოდგენაც უნდა გვქონდეს ქართულ პოლიციაზე, ერთი ფაქტია, მას საკუთარი ხალხის წინააღმდეგ იარაღი არასდროს გამოუყენებია) და აბაშიძის მოსკოვური ვოიაჟების ფონზე საზოგადოებაში ჩნდება რუსული აჩრდილი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ივანოვი სასწრაფოდ ჩამოდის თბილისში და მიტინგზე მისული ახმეტასთან თავის კავშირებსა და რუსული სამხედრო ძალების ნეიტრალიტეტზე ლაპარაკობს, შემდეგ კი წარმატებით შუამავლობს კრწანისში პრეზიდენტისა და ტრიუმვირატის შეხვედრას და ბათუმში მიემგზავრება. ე. შევარდნაძე გადადგომის შესახებ განცხადებას აკეთებს (როგორც ჩანს, მოსკოვი მისთვის და მისი თაობისათვის ყოველთვის "იმ" მოსკოვად დარჩება) და მიმდინარე პროცესებისადმი სრულიად ადეკვატური ხდება.

2001 წლის ნოემბრიდან გადადგომამდე ე. შევარდნაძის მოქმედების სრულიად ლოგიკური ჯაჭვი საკმარის საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქართველოში განხორციელებულ პოლიტიკურ სპექტაკლში გადამდგარი პრეზიდენტი თანაბარუფლებიანი მონაწილე იყო. დასავლეთის და, კერძოდ, ამერიკის მონაწილეობა ამავე სპექტაკლში ეჭვს არც ადრე იწვევდა, მაგრამ ახლა ექსპრეზიდენტმა კლინტონმა დავოსის შეხვედრაზე ლამის ოფიციალურად დაადასტურა და არც სახელმწიფო მდივანს დაუფარავს ამერიკის განსაკუთრებული ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ამცირებს იმ ადამიანთა ღვაწლს და თავგანწირვას, უბრალო მონაწილეებიდან დაწყებული ლიდერების ჩათვლით, რომელთა აქტიურობისა და თავდადების გარეშე ნოემბრის მოვლენების წარმატებით დასრულება შეუძლებელი იქნებოდა.


2003 წლის ნოემბერი

და კიდევ ერთი საინტერესო მომენტი: საქართველო რუსეთის ბოლო ორასწლოვანი ურთიერთობის მანძილზე 2003 წლის ნოემბრის მოვლენები იყო პირველი და ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც რუსეთი არ შეეცადა, საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, უფრო პირიქით - ივანოვის ჩამოსვლამ მთლიანად განმუხტა საზოგადოებაში არსებული ფსიქოლოგიური დაძაბულობა და დააჩქარა კვანძის გახსნა. იმის ფიქრი, რომ რუსეთს საკუთარი შიდა პრობლემები აქვს ან იმდენად დაუძლურდა, რომ პროცესებში ჩარევა ვერ შეძლო, ვფიქრობ, არარეალურია. რუსეთის მე-5 კოლონას საქართველოში ნამდვილად ექნება იმის ძალა, კრიზისულ სიტუაციაში არევ-დარევა და ქაოსი მაინც გამოიწვიოს, თუ პროცესების წარმართვას ვერ შეძლებს. იქნებ რუსეთი ფუნქციას იცვლის და საქართველოში და მთლიანად დსთ-ს სივრცეში საკუთარი გავლენის შენარჩუნებას ეკონომიკური ბერკეტებით აპირებს, ისევე როგორც ეს მიღებულია დღევანდელ ცივილიზებულ მსოფლიოში (საქართველოში "რაო-ეი-ეს-ისა" და"გაზპრომის" შემოსვლა). ღმერთმა ქნას, ასე იყოს! მაშინ ტერიტორიული მთლიანობისა და რუსეთთან ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა არც თუ ისე შორეული მომავლის საქმეა.

ან იქნებ რუსეთმა ამ ეტაპზე ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და მისი ქმედება, უფრო სწორად, უმოქმედობა, პოლიტიკური მანევრია ახალი დესტაბილიზაციის მოსაწყობად? ვინ იცის! ყოველ შემთხვევაში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში პრობლემის გადაწყვეტა სხვა ქვეყნების ინტერესებს უკავშირდება, ხელისუფლება ვალდებულია, ერთნაირი სერიოზულობით განიხილოს და გააანალიზოს ყველა შესაძლებელი თუ შეუძლებელი ვარიანტი მოვლენათა შემდგომი განვითარებისა, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ საქმე რუსეთსა და რუსეთის ინტერესებს ეხება.

ცვლის თუ არა რუსეთი პოლიტიკურ ორიენტირებს და ცდილობს თუ არა ახალი ფუნქციის შეძენას დსთ-ს სივრცეში, ამას მომავალი გვიჩვენებს. ისე კი, პრეზიდენტის შეჩერება ჩოლოქთან და საპასუხოდ ცენტრის მიერ მიღებული ნაჩქარევი და ემოციური გადაწყვეტილებები, ერთი შეხედვით, ძალიან წააგავს იმას, რაც თავის დროზე უკვე მოხდა, როდესაც ეროვნული მოძრაობის ერთ ნაწილს ცხინვალის მისადგომებთან გზა გადაუღობეს და ქალაქში არ შეუშვეს! თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომ ცენტრის მიერ განხორციელებულმა საკმაოდ მიზანმიმართულმა და გონივრულმა პოლიტიკამ, აგრეთვე რუსეთის აშკარად პოზიტიურმა პოზიციამ, რაც კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტია ქართულ-რუსული ურთიერთობებისა, შესაძლებელი გახადა აბაშიძის რეჟიმის უმტკივნეულოდ შეცვლა.

ალბათ, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ცენტრს სრული მორალური და ზნეობრივი უფლება აქვს, ნებისმიერი გზით, უკიდურეს შემთხვევაში, თუ სხვა გამოსავალი არ დარჩა, სამხედრო ძალის გამოყენებითაც, აღადგინოს საქართველოს იურისდიქცია რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე; მაგრამ, თუკი ხელისუფლება ძალის გამოყენებას გადაწყვეტს, მას უნდა ჰქონდეს სრული, 100 პროცენტიანი გარანტია იმისა, რომ სამხედრო ოპერაცია წარმატებით დასრულდება. თუ ასეთი გარანტია არ იქნება, მაშინ ცენტრი ვალდებულია, თავი შეიკავოს ძალის გამოყენებისგან და შესაფერისად მოემზადოს, რამდენად დიდი დროც უნდა დაჭირდეს ამისათვის, რადგან წარუმატებელი სამხედრო ოპერაცია უმართავ პოლიტიკურ პროცესებს გამოიწვევს მთელ საქართველოში და ხელისუფლების დამხობით დასრულდება.

როგორც აღვნიშნე - მიუხედავად იმისა, რას მოიმოქმედებს ახალი ხელისუფლება, თავად ის ფაქტი, რომ შევარდნაძე და მისი გუნდი უმტკივნეულოდ ჩამოშორდა ქვეყნის მართვის სადავეებს, უკვე დადებითი მოვლენაა და წესიერება მოითხოვს, მადლობა ვუთხრათ ყველას, ვინც პირდაპირ თუ ირიბად, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად დახმარება გაგვიწია და შესაძლებელი გახადა, მძიმე საზოგადოებრივი კატაკლიზმების გარეშე გადაგვეჭრა ეს პრობლემა; ვერც იმაში ვხედავ დიდ ტრაგედიას, რომ მათ, არა მარტო ე. შევარდნაძე და მისი გუნდი ჩამოაშორეს ხელისუფლებას, არამედ, რბილად რომ ვთქვათ, გარკვეულ პოლიტიკურ ძალასა და პოლიტიკურ ლიდერებს გაუწიეს "ლობირება" და შესაძლებლობა მისცეს, მართვის საკომანდო პუნქტები დაეკავებინათ, რაც სრულიად ლოგიკური, გამართლებული, მისაღებია იმ შემთხვევაში, თუკი პასუხისმგებლობას იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში, ხელისუფლებაში მოსულ ძალებთან ერთად, გაინაწილებენ ისინიც, ვინც უზრუნველყო მათი მოსვლა ხელისუფლებაში

როდესაც პასუხისმგებლობაზეა საუბარი, ალბათ, დასაზუსტებელია, თუ რას ვგულისხმობთ: ქართული საზოგადოებისთვის ე. შევარდნაძისა და მისი გუნდის ხელისუფლებიდან ჩამოშორება თვითმიზანი არ ყოფილა, ის ამას განიხილავდა, როგორც ქვეყანაში სოციალური სამართლიანობის აღდგენისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების აუცილებელ პირობას. დასავლურ ორიენტაციაშიც უპირველესად ქვეყნის შიგნით სოციალური სამართლიანობისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას გულისხმობს და არა მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებას.

რევოლუციის შემდგომი ხუთთვიანი პერიოდი ნაკლებ საშუალებას იძლევა, ვიმსჯელოთ ახალი ხელისუფლების რეალურ, და არა დეკლარირებულ, პოლიტიკურ ორიენტირებსა და ტენდენციებზე, თუმცა სრულიად საკმარისია წარმოვაჩინოთ ის არცთუ სასურველი სიმპტომები, რაც, შესაძლოა, შემდგომში პოლიტიკურ ტენდენციად ჩამოყალიბდეს და არანაკლები დილემის წინაშე დაგვაყენოს, ვიდრე 2003 წლის ნოემბერში ვიყავით.

ამ სიმპტომებს საზოგადოების ფართო ფენები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ, რაც სრულიად ბუნებრივია, მაგრამ გაუგებარია, როდესაც პოლიტიკური ელიტა და განსაკუთრებით ის არასამთავრობო სექტორი, რომელიც ნოემბრის დღეებში ხმალშემართული იბრძოდა დემოკრატიული პრინციპების დასაცავად, ამჯერად მხოლოდ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებით კმაყოფილდება. იგივე შეიძლება ითქვას იმ საერთაშორისო დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და ფონდებზე, რომლებიც საქართველოში ფუნქციონირებენ და რომელთა წვლილიც ნოემბრის მოვლენებში საკმარისად დიდია.

საკონსტიტუციო შესწორებები, საარჩევნო კოდექსი და ძალოვანთა მიერ ჩატარებული ოპერაციები - ეს ის სიმპტომებია, რომლებიც ნამდვილად იძლევა შეშფოთების საბაბს.

საქართველოს არც ერთ წინამორბედ ხელისუფლებას არ ჰქონია უფრო უკეთესი პოლიტიკური და უფრო მძიმე სოციალური გარემო, ვიდრე დღევანდელს.

ვფიქრობ, ხელისუფლებას უნდა გამოეყენებინა პოლიტიკურად კეთილგანწყობილი გარემო და დაეწყო რეალური დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება. თუ კონსტიტუციურ ცვლილებებზე მიდგებოდა საქმე, ეს ცვლილებებიც ამ მიმართულებით უნდა განხორციელებულიყო. სამწუხაროდ, ამჯერადაც მოხდა ის, რაც არაერთხელ - როდესაც ხელისუფლებაში მოსული ყოველი ახალი ძალა ცდილობდა, კონსტიტუციური ცვლილებები საკუთარ თავზე მოერგო და საკუთარი უფლებები გაეფართოვებინა. ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით მივიღეთ უუფლებო პრემიერი და პარლამენტი და ყოვლისშემძლე პრეზიდენტი. სხვა საკითხია, რამდენად იყო უფლებამოსილი ძველი პარლამენტი, გაეტარებინა საკონსტიტუციო ცვლილებები, მაგრამ ამგვარი ცვლილებების გამართლება იმით, რომ ვიღაცას პრემიერობა უნდოდა და ამაზე წინასწარი შეთანხმება არსებობდა, ღიმილის მომგვრელია. არა მგონია, ზ. ჟვანიას ამგვარი უფლებამოსილების მქონე პრემიერობა ეოცნებებოდა (საერთოდ, გულწრფელად რომ ვთქვათ, ზ. ჟვანია თანაბრად უნდა ინაწილებდეს პასუხისმგებლობას ყოფილ პრეზიდენტთან ერთად, როგორც არჩევნების გაყალბების ორგანიზატორი 1995-99 წლებში და პოლიტიკური კორუფციის იდეოლოგი); უფრო რეალურია ვივარაუდოთ, რომ ვიღაცა ფიქრობს, პრემიერისა და პარლამენტის დათხოვნის მექანიზმი მანევრირების საშუალებას მისცემს პრეზიდენტს მოსალოდნელი პოლიტიკური თუ სოციალური კრიზისი ხან ერთი, ხან მეორე მიმართულებით ისე წარმართოს, რომ თავად ხელშეუხებელი დარჩეს, ანუ პრემიერი და პარლამენტი განტევების ვაცად აქციოს, რაც, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ დიდი გულუბრყვილობაა. ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: ამ ცვლილებებით ჩვენი კონსტიტუცია რუსული კონსტიტუციის ერთ-ერთ ნაირსახეობად იქცა. თავი მხოლოდ იმით შეგვიძლია "დავიმშვიდოთ", რომ საქართველოში ხელისუფლების ცვლილება კონსტიტუციური გზით ჯერ არ მომხდარა და თუ აუცილებელი გახდა, იმავე მეთოდებით განხორციელდება, როგორც დღემდე ხორციელდებოდა.

საერთოდ, თუ ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ელიტა შეეცდება, ზერელედ მაინც გაიაზროს სიღრმე და მასშტაბურობა იმ კრიზისისა, რომელმაც ქვეყანა მოიცვა, იძულებული იქნება აღიაროს - პოლიტიკური ძალა თუ ლიდერი, რომელიც რეალურად დაიწყებს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას, რაც ჭეშმარიტი დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების გარეშე შეუძლებელია, მორიგ არჩევნებში დამარცხებისთვის იქნება განწირული. ამ მოსაზრებას ადასტურებს ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება - გამონაკლისი მხოლოდ ჩეხეთი და ჰაველია - ყველა სხვა ქვეყანაში პოლიტიკური ძალა, რომელმაც კრიზისი დაძლია და დემოკრატიული რეფორმები გაატარა, მორიგ არჩევნებში დამარცხდა და ოპოზიციაში აღმოჩნდა.

დღევანდელი ხელისუფლება, როგორც ჩანს, აცნობიერებს ამ საფრთხეს და ძალიან უჭირს მასთან შეგუება; სხვაგვარად, როგორ შეიძლება ავხსნათ ის გარემოება, რომ მაშინ, როდესაც საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალ-დემოკრატების მიერ სადეპუტატო მანდატთა აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვება ეჭვს არ იწვევდა, ხელისუფლება არ აღმოჩნდა მზად არც 7 პროცენტიანი ბარიერის 5 პროცენტამდე დასაწევად, არც ამომრჩეველთა სიების ნორმალურად შესადგენად და არც საარჩევნო კომისიებში უმრავლესობის დასათმობად. სახელისუფლებო ბერკეტებიც ისევე იქნა გამოყენებული, როგორც ადრე ხდებოდა და თუ არჩევნებმა შედარებით მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, ეს არა იმიტომ, რომ დარღვევები არ ყოფილა, არამედ იმიტომ, რომ პოლიტიკურად გაკოტრებულ ოპოზიციას მართლაც არ ჰქონდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა.

მ. სააკაშვილს ჰქონდა უნიკალური შანსი, დაეკომპლექტებინა არა მარტო აღმასრულებელი ხელისუფლება, არამედ საქართველოს პარლამენტიც, მაგრამ მან ქვეყნისათვის გამოსადეგ პარლამენტს საკუთარი პარლამენტი ამჯობინა. მას, როგორც ჩანს, არ უნდოდა პარლამენტში საწყის ეტაპზევე ჩამოყალიბებულიყო მკვეთრი ოპოზიციური დაჯგუფება. თუმცა, ამ პროცესის თავიდან აცილება შეუძლებელია, პარლამენტში ძალიან მალე გაჩნდება ოპოზიციური ჯგუფები, ხოლო თუ ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილებას გავიხსენებთ, ხელისუფლებისთვის გაცილებით სახიფათოა ოპოზიციურ ჯგუფებად უმრავლესობის დაშლა, ვიდრე იმთავითვე არსებული, თუნდაც რადიკალური ოპოზიცია.

მართალია, 2003 წლის ნოემბრის საპროტესტო მანიფესტაციები არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ იყო მიმართული და დემოკრატიულობისა და კანონიერების აღდგენის ლოზუნგით წარიმართა, მაგრამ მოსახლეობაში არსებული საპროტესტო განწყობილების რეალური მიზეზი მაინც უკიდურესად მძიმე სოციალური გარემოა, ამიტომ საზოგადოების ფართო ფენები ხელისუფლებისაგან სოციალური სამართლიანობის აღდგენასა და კორუმპირებული ჩინოვნიკების დასჯას მოითხოვენ და ნაკლებად აინტერესებთ ის სამართლებრივი ნორმები, რომლითაც ეს ოპერაციები ხორციელდება.

სოციალური სამართლიანობის აღდგენისა და კორუმპირებული მოხელეების დასჯის წინააღმდეგი არც შეიძლება ვინმე იყოს, ოღონდ ეგაა, კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლა კანონის დარღვევით, მით უფრო, თუ ეს ხელისუფლებისაგან მოდის, იმ შედეგს არ მოუტანს არც ქვეყანას და არც ხელისუფლებას, რომელსაც მოსახლეობა ელოდება.

ჩვენი საზოგადოების საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლებს ახსოვთ, რომ თავის დროზე, 1972 წელს, აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი ხელისუფლებაში სწორედ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის მოტივით მოვიდა და საბჭოთა რეპრესიული სისტემა მთელი ძალით აამუშავა, მაგრამ შედეგად მივიღეთ ის, რომ ძველ ვ. მჟავანაძის დროინდელ ბიუროკრატიულ აპარატს ე. შევარდნაძის ბიუროკრატიული აპარატი ჩაენაცვლა, გაიზარდა ე. წ. "სტავკები", ნეგატიური მოვლენები კი ნეგატიურ მოვლენებად დარჩა!

თუკი სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებული ღონისძიებები არ მოექცევა კანონიერების ფარგლებში და არ იქნება სრულად გამჭვირვალე დაპატიმრებიდან სასამართლო პროცესამდე, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ახლაც იგივე განმეორდეს, ე. შევარდნაძის ბიუროკრატიულ აპარატს ახალი, მ. სააკაშვილისა და მისი თანაგუნდელების ბიუროკრატიული აპარატი ჩაენაცვლოს, ბიზნეს სფეროები გადანაწილდეს, კორუფცია კი კორუფციად დარჩეს გაზრდილი "სტავკებით". მხოლოდ სასამართლოზე და საზოგადოებისთვის აბსოლუტურად გამჭვირვალედ უნდა ხდებოდეს იმის დადგენა, თუ რა რაოდენობის გამოსასყიდი თანხა (სხვას ვერაფერს დაარქმევ!) უნდა გადაიხადოს ამა თუ იმ ჩინოვნიკმა თუ ბიზნესმენმა - მხოლოდ ამგვარი გზებით არის შესაძლებელი და შედეგის მომტანი კანონიერების აღდგენა და კორუფციასთან რეალური ბრძოლა.

მინდა ვირწმუნო, რომ ის სახიფათო სიმპტომები, რაზეც ზემოთ ვწერდი, მაინც უფრო რევოლუციურ-ემოციური ფორით იყო გამოწვეული. და მას შემდეგ, რაც ახალი პარლამენტი მუშაობას შეუდგა, ისინი არც ტენდენციის და არც ხელისუფლების პოლიტიკური ორიენტირის სახეს არ მიიღებენ.

თვალსაზრისი

# ფილმი, რომელიც ლოცვის განწყობას იწვევს

## ქრისტეს ვნების კინემატოგრაფიული ხატი

ნინო ამონაშვილი-თევზაძე

მელ გიბსონის ფილმზე, "ქრისტეს ვნებანი" ქართულ პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიების ფონზე ჩვენი საზოგადოებისათვის აქტუალური თემები იკვეთება.

მესამე ათასწლეულში მცხოვრები ადამიანები რატომღაც თვლიან, რომ ამ ეპოქის მახასიათებელია ძალადობის გამოვლინება, კაცობრიობის ისტორია ძალადობათა დიდი პანოა, ეს იტვირთა იესომ საკუთარ არსებაზე და ამაზე მოგვითხრობს ფილმიც.

ბანალურობა კი არა, რეალობაა ის, რომ ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო თორმეტი საათის ეკრანიზაცია დიდ ვნებათა ღელვებს გამოიწვევდა. ეს ხომ კაცობრიობის ისტორიის კულმინაციური მომენტია, ესაა ტკივილსა და სიკვდილში შემოქმედისა და ქმნილების ერთიანობა, რაც საოცარი ძალითაა ნაჩვენები ფილმში.

სისხლიანი სცენები, ადამიანის ტანჯვა-წამების საშინელება, ეს ზოგადად კაცობრიობის ისტორიაა (თუნდაც ბოლო ჟამს ერაყში დაფიქსირებული). თვით ქრისტიანობის ისტორიას უთვალავი სისხლიანი ეპოქა თუ პიროვნებებზე მათი რეალური დემონსტრირება ახსოვს. ქრისტიანობა არაძალადობრივი რელიგიაა მორწმუნეთა ცნობიერების სიყვარულით ავსების გამო, რაც თავისთავად გულისხმობს ძალადობას უსიყვარულო სამყაროს მხრიდან, ამასთან მიმართებაში ტერტულიანე გავიხსენოთ - ყოველი ადამიანი ბუნებით ქრისტიანია...

ფილმში იესოს როლი და დანიშნულება მხოლოდ ჯვარცმით არ განისაზღვრება. ეს 12 საათიც საკმარისია რომის იმპერიის და არქაული მენტალიტეტის მოსაშლელად - ტკივილით ატანილი ხელები, სიყვარულით და მიტევებით მომზირალი იესოს თვალი, როცა იგი სხეულს კარგავს და სისხლად და ხორცად გარდაისახება, ესაა ხატი და ფრესკა, თანაც გულის კარებზე აღბეჭდილი, გულისა, რომელიც სისხლის ცხოველმყოფელობით სცემს და რომლის ამოქოლვას ვერ შეძლებს ლოდი - დიდი, ვეებერთელა, ისეთი -ფილმში რომაა აკლდამას აფარებული. ვერ შეძლებს, რადგან სინათლე მეტია, უსაშველოდ მეტი - აკლდამის განმხვნელია, სუდარის სისავსის სიცოცხლედ ამომყვანებელი...

იესოს სიტყვები - შეხედე, მე ვქმნი ახალს, - როცა მარიამი წაქცეულისაკენ გარბის და როგორც შვილის ბავშვობის ხილვაში, ადგომაში ეხმარება, საოცარ საიდუმლოდ გასდევს ფილმის კადრებს და ამ განცდის მატარებელნი არიან მარიამი, იოანე და სხვა მარიამი, რომელნიც


კადრი ფილმიდან "ქრისტეს ვნებანი"

არ ერევიან, მხოლოდ ფეხდაფეხ მიჰყვებიან ამ საიდუმლოს აღსრულებას და ბოლომდე დგანან მასთან...

ფილმის სხვა კინემატოგრაფიული სახეები - იესო გაროზგვისას, ძირს დავარდნილი ხედავს მხოლოდ ჯარისკაცთა სანდლებს და ხილვა - როგორ ხდის იგი სანდალს მოყვასს და ფეხს ბანს... ანდა სიმწრით ატანილი მარიამის ორივე ხელი, ქვიშით სავსე და უცებ მტკაველი რჩება ჯვარცმულის გადმოვარდნილ ჯვარსა და ქვიშას შორის, არ შეეხება იესოს და დედა მოკუმულ ხელებს ხსნის, ხრეში იბნევა...

კიდევ ერთმა კინორეჟისორმა მიიტანა თავისი შესაწირი უფლის დიდების საკურთხეველთან. ირონიის საგანი არ უნდა იყოს, როცა რაიმე განცდის გასაცნობიერებლად ფილმს უჩვენებენ ადამიანებს. ეს კინოხელოვნების, ადამიანისთვის ღვთისაგან მინიჭებული შემოქმედებითი უნარის ერთ-ერთი გამოვლინების როლი და დანიშნულებაა.

ფილმი, რომელიც ლოცვის განწყობას იწვევს, ამით არათუ მის კინემატოგრაფიულ უსუსურობას უსვამს ხაზს, არამედ მისივე ფუნქციის გამართლებას.

რატომ არის შეუძლებელი სახარების ეკრანიზაცია, გამოსახულება, ისევე როგორც სიტყვა, ფერი და ფორმა ხომ ადამიანის ღვთაებრივი ბუნების შემოქმედებითი გამოხატულებაა...

გარკვეულწილად მოდური გახდა რეცენზენტთა პოზიცია და არ დანახვა იმისა, რომ მთელი ფილმის განმავლობაში ისმის ხმა "მე ვარ აღდგომა და ცხორება".

ნატანჯი, გვემული იესოს მზერა, ყოველი ნაბიჯი გოლგოთის გზაზე გადმოდინდება სინათლედ და სიყვარულად, ამას დანახვა უნდა. დანახვასა და მოსმენას კი გვიშლის წინასწარგანზრახვით მისვლა მოვლენასა თუ საგანთან, ცივი გონებით - სუფთა გულისა და თვალების გარეშე, შიშისა და აგრესიის გავლენით.

ბევრმა დასვა უარყოფით კონტექსტში კითხვა - არის კი ფილმში სულიერება? კარგად დავუკვირდეთ, სადმე ხომ არ გამოკრთის ისეთი სუბსტანცია, რასაც ეს სახელი დაერქმევა? მართალია, კინემატოგრაფი ვიზუალური ხელოვნებაა, მაგრამ სულიერების დაფიქსირებას სამყაროში თავისი კანონები აქვს. ამას დანახვა სჭირდება, დანახვა სულიერი თვალით, რომელიც სუფთაა და მოსიყვარულე, გულუბრყვილო და ბრძენი ამავე დროს...

ფილმში ამას ხედავენ თითოოროლანი გოლგოთის გზაზე, სიმონი - რომელიც ჯვარს იტვირთებს, თვალგაოგნებული და შემდეგ მუხლმორთხმული ჯარისკაცები.. კაიაფას ეკლესია კი ვერ ხედავს, ბრმაა და ყრუა და ასეთი ნაკლოვანი ცდილობს მიწაზე ღვთის სამართლის განმგებლად ყოფნას..

პოლიტკორექტულობას რაც შეეხება, ფილმში უბრალო ხალხის გარდა, მმართველ კლასშიც, ამ შემთხვევაში ებრაელ ღვთისმსახურებაშიც ჩანან იესოს დამნახავი და მხარდამჭერებიც, რომელთაც აძევებენ სინედრიონიდან.

ფილმი არ სცილდება სახარების ტექსტს, როდესაც პილატე ხელს იბანს, რამდენიმე-გზის თხოვნის შემდეგ, რომ გაანთავისუფლონ იესო, "მე არცა ერთსა ბრალსა ვპოვებ ამისა თანა" (იოანე 18,38). ასევე სახარება მოგვითხრობს მღვდელმთავრების, მწიგნობრების, ფარისეველთა და სხვათა ყიჟინის შესახებ - "აღიღე, აღიღე და ჯუარს-აცუ ეგე" (იოანე 19,15) და რა შუაშია აქ ანტისემიტიზმი?

ებრაელებში კი არა, დანაშაულის კომპლექსი თითოეულ ჩვენგანში უნდა იყოს, გაცნობიერებული სახით, მოყვასისა თუ უცხოს და ყოველგვარი ტკივილისა და ტანჯვის მიმართ ჩვენს სამყაროში. ჩვენ ვფიქრობთ, ამის მიმანიშნებელია რეჟისორის ხელი, როდესაც ფილმში ჯვარცმულ იესოს საკუთარი ხელით ასობს ლურსმანს. ეს ნუთუ თვითგვემაა? შეგრძნება იმისა, რომ ამ ყველაფერში შენც ხარ მონაწილე და ეს დროში არაა დასრულებული, ჯვარცმა ყოველი ჩვენგანის თვალწინაა და გულის წინ, ყოველი პარასკევი ამ დარდისა და განცდის მატარებელია და ყოველი კვირა აღდგომას დღესასწაულობს...

ამ განცდებს ვერ გაამძაფრებდა "მოდური", არაგულწრფელი და ხელოვნური ფილმი. მაყურებელთა ხმამაღლა ქვითინი სულაც არაა გამაღიზიანებელი, მით უმეტეს, თუ ეს ეპოქათა გაერთიანებას ასახავს და დროისა და სივრცის საზღვრებს შლის.

ფილმის ძალადობრიობას რაც შეეხება, ხელოვნების ნაწარმოები თავისთავად "ძალადობრივია" თავისი გავლენით ცნობიერებაზე, შინაგანი კავშირებით, ხილული თუ უხილავი სიმძაფრით, გარკვეულწილად შოკირებითაც...

ბევრია შედარება სკორსეზესა და ასევე სხვა ფილმებთან, რასაც საფუძველი არ აქვს, რადგანაც ეს ფილმები არაა სახარების ეკრანიზაცია, არის თავისუფალი ნააზრევი ამ თემაზე, ან სხვა, ინდივიდუალური კუთხით დანახული. ან რატომ უნდა გადაეღო მელ გიბსონს ფილმი ისე, როგორც პაზოლინი გადაიღებდა, ანდა სკორსეზე... რატომ არ უნდა იყოს ყველაფერი ისე, "როგორც ამას გიბსონი ასახავდა" - უფლისათვის ხომ ყოველი ადამიანი და მისი მიტანილი ძღვენი განუმეორებელი და უძვირფასესია.

საპატრიარქოს პოზიციას რაც შეეხება, სულ არ ყოფილა გულგრილი. ჩვენების ოფიციალური პრეზენტაციის წინ, კინოთეატრში გამართულ პრესკონფერენციაზე ფილმის შესახებ დადებითი პოზიციები დაფიქსირდა და ისიც კი ითქვა, რომ ეს ვერ შეცვლის ეკლესიაში ლიტურგიკულად მიღებულ ერთობას უფალთან, რაც თავისთავად დიდი შეფასებაა. ასევე ნიშანდობლივია და გარკვეულწილად ფილმის დამსახურებაა, რომ ხსენებულ პრესკონფერენციაზე გვერდიგვერდ ისხდნენ საქართველოს მართლმადიდებლური და ბაპტისტურ-ევანგელისტური ეკლესიების ოფიციალური წარმომადგენლები, რისი პრეცედენტიც ამ ბოლო წლებში არ ახსოვს ქართულ საზოგადოებას.

ფილმის ზოგიერთ რეცენზენტთა პოზიცია - რა კავშირი აქვს ქრისტიანობასთან ადამიანის ორსაათიან, დახვეწილ წამების დემონსტრაციას, ან - თითქმის ორსაათიანი წამების ყურება შეუძლებელია გარკვეული სადისტური მიდრეკილების გარეშე, - გარკვეული ბრალდება და მესიჯია საზოგადოების დიდი ნაწილის მიმართ, ვისაც ინტელექტუალურ მსჯელობებსა და ცინიკურ თავდაჯერებაზე მეტად, ტკივილისა და მიტევების, სიყვარულისა და ამაღლების დანახვა შეურაცხყოფილ, დამცირებულ და ნაგვემ იესოს სახებაში შეუძლია.

**p.s.** ჟურნალისტურ (არც არანაირ) ეთიკას არ ეკადრება ბრბოდ მოიხსენიოს ფილმის მაყურებელი მილიონობით ადამიანი და არავის უსურვოს მათ ნაწილად ქცევა. ეს ნებისმიერი მორალისაგან შორს დგომაა და მსგავსი ცნობიერება საეჭვოა, მართებულად აღიქვამდეს ხელოვნების ნაწარმოებებს.

სკანვორდი



TV პროგრამა

27 მაისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგის ფინალი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **23.00** კურიერი **23.50** მხ. ფილმი "ვანილის ცა". მთ. რ-ში: პენელოპა კრუსი, ტომ კრუზი (18).

### TV5

**07.20, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.10** ჩინეთის ზღვა დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ტელეტურიზმი. **13.15** ექიმი სილვესტრი. სატურნის ხაფანგები. მხ.ფილმი. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.25** გადაცემა - აქტუალური საკითხი. **01.25** რეპეტიცია. მხ.ფილმი. რეჟისორი კატრინ კორსინი. 2001.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. ფილმი "გაბრიელ შანელი" **15.15** სერიალი "რვაფეხა-3" 1-ლი ს. **16.20** დოკ. ფილმი "ევროპის ბუნებრივი დიდებულება" **16.50** "არტე" წარმოგიდგენთ **17.00** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.30** ჯანმრთელობა **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** დოკ. სერიალი "გემრიელად მიირთვით ბავშვებო" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** სერიალი "სოლედადი" **22.05** სერიალი "ფსიქ-ფაქტორი" **23.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "იასამნისფერი ტაქსი" (12)

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" **03.00** პაუზის გარეშე

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "მკვლელისათვის" (18) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "დანარჩენი 48 საათი" (ედი მერფი) (15) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმ. ფილმი "დარდუბალა" **20.00** მხ. ფილმი "სიყვარულის ისტორია" (ჟან რენო) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** ანიმ. ფილმი "დარდუბალა 2" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "შიშველი იარაღი" (15)

### მზე

**09.00** არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** მინისერიალი "ხიროსიმა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "ვარსკვლავეთის კარიბჭე" (გ) (კურტ რასელი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "მეათე სამეფო" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომალაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.50** მინისერიალი "შოკის შემდეგ" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "მომხვიე ხელები" (18) (შანტალ ლობი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "სიმბა ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" (გ) **21.00** წყვილები და დუეტები **21.30** "ჩემი მშვენიერი ლედი" **22.00** მხ. ფილმი "წითელი და შავი" 1-ლი ს. (15)

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "გაქცევა" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 17.20, 02.10** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** მხ. ფილმი "ცისფერი მთები" **12.45** ანიმ. ფილმი "ჩვენ უწინ ჩიტები ვიყავით" **13.25, 01.40** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.20** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "იდეალური ქმარი" (გ) **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **21.30** საქმე ! **23.00** "ესტაფეტა" **23.30** მხ. ფილმი "ლუ:ინის დაცვა" (ე. უოტსონი) (გ)

### იბერია

**08.40** დოკ. ფილმი **10.30** კონცერტი **13.00** მხ. ფილმი "გზააბნეულები" (12) **15.00** კონცერტი **17.00** მხ. ფილმი "კლიენტი" **19.00** დოკ. ფილმი **20.30** მხ. ფილმი "თაგვზე ნადირობა" **22.00** კონცერტი **23.00** მხ. ფილმი "ასეთია ცხოვრება" (12)

### ОРТ

**07.00** "Доброе утро". **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости. **10.20, 22.35 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 11.20, 19.50** Сериал **"КЛОН". 12.20** "Ералаш". **12.40** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **13.20** Город женщин. **14.10** В. Шалевич в детективе **"ПОТЕРПЕВШИЕ ПРЕТЕНЗИЙ НЕ ИМЕЮТ" 16.20** Сериал **"БЕРЕГ МЕЧТЫ". 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** Док. детектив. "Маклеры" в погонах". **20.50** "Стирка на миллион". **21.00** Телесериал **"ДРУГАЯ ЖИЗНЬ". 22.00, 00.30** Время. **23.35** "Человек и закон" **00.50** "Фабрика звезд". **01.10** "Формула власти". Президент Египта Хосни Мубарак. **01.40** "Подлинные истории "Машины времени". **02.10** Максим Никулин в программе **"ФОРГАНГ". 02.40** Джеймс Каан в фильме **"СТРАЖ КРАСНОЙ СКАЛЫ". 04.20** Триллер Альфреда Хичкока **"ТОПАЗ".**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА". 11.00** Сегодня утром. **11.25** Квартирный вопрос. **12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.40** "Сегодня" **13.30** Евгений Леонов в фильме **"СТАРШИЙ СЫН".1** с. **15.10** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Парящие антилопы". **19.35** Протокол. **20.40** Сериал **"ГОСПОДА ОФИЦЕРЫ"**. Закл. серия. **21.45** Сериал **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО...". 23.00** "Страна и мир" **23.35** "К барьеру!" Ток-шоу **00.45** Тайны разведки: немецкая "Танечка". **01.20** Сериал **"ГОСПОДА ОФИЦЕРЫ". 03.05** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой.

# მატერიალური გოგონას დაბრუნება



შოუ დაიწყო

სამწლიანი შესვენების შემდეგ მადონამ ახალი მსოფლიო ტურნე დაიწყო. როგორც მოსალოდნელი იყო, ექსტრავაგანტულმა შოუმ, რომელიც მრავალ პოლიტიკურ და რელიგიურ მოტივს შეიცავს, პოპის დედოფლის უამრავი თაყვანისმცემელი მოიზიდა.

გახსნის საღამოს, ლოს ანჯელესის "ფორუმის" სავსე დარბაზის წინ მადონა, ჩვეულებისამებრ, უაღრესად სექსუალური სახით წარდგა - ბრჭყვიალა კორსეტში. მაგრამ სულ მალე "მატერიალურმა გოგონამ" რადიკალური ცვლილება განიცადა - ის მეომრად იქცა.

ვიდეოეკრანებზე სამხედრო ვერტმფრენები გამოჩნდა, რამაც უმალვე ყველაზე ცნობილი ანტივიეტნამური ფილმის, "აპოკალიფსისი დღეს" სული დაატრიალა. სექსუალური ქალბატონი უცებ ნახევრადშეშლილმა მებრძოლმა შეცვალა, ხოლო მასთან ერთად სცენაზე მოცეკვავენი ჯარისკაცებად იქცნენ. "მოკითხვა ჯიმი ჰენდრიქსისგან!" - ვუდსტოკზე შესრულებული შეერთებული შტატების ნაციონალური ჰიმნის, Star-Spangled Banner-ის ("ვარსკვლავებიანი და ზოლებიანი ალამი") და ჭურვების ზუზუნის თანხლებით მადონამ თავის American Life დაიწყო. უფრო ნათლად ვერაფერი მიანიშნებდა იმაზე, რომ მადონამ ერაყის ომის წინააღმდეგ დაუფარავად გალაშქრება განიზრახა – ალბათ, გახსოვთ, რომ თავის დროზე, ანუ ომის დაწყების წინ, ის რაღაცას უშნოდ იმშუშნებოდა და ვერავინ გაიგო, რა აზრის ბრძანდებოდა.

"ცრემლი მომადგა," გაუზიარა კონცერტის ერთ-ერთმა მსმენელმა ჟურნალისტებს, "როცა დასახიჩრებული ბავშვების სურათები ვნახე". ამ პატიოსან ქალბატონს, როგორც ჩანს, აქამდე ვერც კი წარმოედგინა, რომ ომის დროს ადამიანები სახიჩრდებოდნენ. ეს Re-Invention შოუს ყველაზე სულშიჩამწვდომი წუთები იყო: მადონასეული ჯონ ლენონის Imagine-ის ინტერპრეტაცია – ოცნება მშვიდობიანი სამყაროს შესახებ, სადაც არც სიხარბე არსებობს და არც შიშილი.

სანახაობას განსაკუთრებულ ხიბლს ძველებრაულ კაბალას მოძღვრებაზე მინიშნებებიც სძენდა: უკანა ფონზე ებრაული ტექსტები ირეკლებოდა – რასაკვირველია, თარგმანის გარეშე. არადა, პოპ-ვარსკვლავმა ისრაელში კონცერტების გამართვაზე უარი განაცხადა. ერთი ხანი ჭორი გავრცელდა, რომ პალესტინელი ტერორისტები მას და მის შვილებს, შვიდი წლის ლურდესსა და სამი წლის როკოს მოკვლით ემუქრებოდნენ, მაგრამ მადონას წარმომადგენელმა, საზოგადოებისთვის უკვე კარგად ცნობილმა ლიზ როზენბერგმა ეს ვერსია კატეგორიული უარყო: "მადონას არავინ დამუქრებია," განაცხადა მან, უბრალოდ, ვარსკვლავს საერთოდ არ უხარია ტერორისტული აქტის მსხვერპლად დაცემის პერსპექტივაო.

თუმცა, მადონას ახალ შოუში ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტსაც გარკვეული ადგილი დაეთმო: ერთ-ერთ კადრში ორ კარგ მეგობარს, პალესტინელ და ებრაელ ბიჭუნებსაც მოჰკრავთ თვალს – რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ კონცერტზე მოხვდებით. ლას ვეგასში, მაიამისა და ნიუ იორკში გამოსვლების შემდეგ, აგვისტოს შუა რიცხვებში, მადონა ევროპას ესტუმრება და კონცერტებს ლონდონსა და პარიზშიც გამართავს. დაგეგმილ 50 შოუს 750 ათასი ადამიანი დაესწრება – სწორედ ამდენ ადამიანს სურს თავისი საყვარელი შემსრულებლის ძველი ჰიტებისა თუ ახალი სიმღერების მოსმენა და სცენაზე კორსეტში მოცეკვავე მადონას ხილვა.

სასკოლო მეთოდიკური გაზეთები

შპს მედია ოჯახი "განათლებული საქართველო" და შპს "რუსთაველი 2 პრინტი" გთავაზობთ ხელმოსაწერად 19 დასახელების საგანმანათლებლო და საგნობრივ მეთოდიკურ გაზეთებს.

საგნობრივი მეთოდიკური გაზეთები მოგაწვდით ყველა კლასში პარალელური სასკოლო სახელმძღვანელოებით სწავლების გარანტირებულ მეთოდიკებსა და რეკომენდაციებს, თემატურ გეგმებს, საგაკვეთილო სცენარებსა და მოდელებს.

გაზეთებზე ხელმოწერა ჩატარდება 2004 წლის 1 აპრილიდან 1 ივნისამდე. გაზეთებს მიიღებთ ადგილებზე 2004 წლის 20 აგვისტოდან 2004 წლის 20 აგვისტოდან 2004/2005 სასწავლო წლის განმავლობაში.



მისამართი: თბილისი, შ რუსთაველის 42, მე-3 სართული, ტელ.:95-30-84, (899) 55-15-84

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

- იურიდიული (სამართლისმცოდნეობა)
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
- ფინანსები და საბანკო საქმე

მისაღები გამოცდები ჩატარდება ტესტირების წესით.

ინსტიტუტში ლექციებს კითხულობენ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები, პროფესორები ოთარ გამყრელიძე, იაკობ ფუტკარაძე, ნინო სავანელი, გრიგოლ თოდუა, შოთა ვეშაპიძე, მალხაზ ჩახნაშვილი, ნათია თურნავა და სხვები.

ინსტიტუტს გამოცემული აქვს შესაბამის კათედრებზე შედგენილი და სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორიგინალური სასწავლო პროგრამები.

ინსტიტუტთან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა აცხადებს მიღებას VII-XI კლასებში.

მისამართი: ქ. თბილისი, ბროსე 8
(46-ე საშუალო სკოლის შენობა)
ტელეფონები: 99 96 88, 8 99 51 80 84.

სიახლე!!!

ინგლისური ან ფრანგული ენის მცოდნე აბიტურიენტთა საყურადღებოდ

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**

აცხადებს საქართველოს და უცხოეთის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო წესით ინგლისური და ფრანგული სექტორების I კურსზე.

ჩარიცხვა იწარმოებს გასაუბრების საფუძველზე.

**დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ:
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსი, ოთახი 221 ან 215, ვაჟა-ფშაველას გამზ. 33ა, ტელ: 39 18 79, 39 15 67.**

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ღ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.